# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 6 ივნისი 2000 №105 (1127) | ფასი 50 თეთრი






16 გუნდი — 16 გვერდი;
ევროპის ჩემპიონატის კალენდარი;
ჩემპიონთა ლიგა;
უეფას თასი,
პოსტერი...

ორშაბათიდან იყიდება ჟურნალი

სარბიელი

მეოთხე ნომერი
ფასი 2 ლარი


# მეზობლის კარს ხელს ნუ ახლებ

## საქართველოს ნაკრებმა ვერც ერევანში გაიტანა და ვერც ბაქოში

საქართველოს ნაკრების და „კრილია სოვეტოვის“ მეკარე დავით გვარამაძემ აზერბაიჯანის ნაკრების და „შამქირის“ თავდამსხმელ ბადრი კვარაცხელიას იერიშებს გაუძლო და ჩვენმა ეროვნულმა გუნდმა მეზობელ აზერბაიჯანთან ნაგებების სერია უგოლო ფრით შეწყვიტა.


ლატიფ ნოვრუზოვის რეპორტაჟი ბაქოდან
იხილეთ მეორე გვერდზე




კვირას ბაქოში: აზერბაიჯანი — საქართველო 0:0. რუსლან მუსაევი (№14) და ზურაბ ხიზანიშვილი

# ბასკო — აზოტი

## პირველი ფინალი თბილისური გუნდის გარეშე



სტუ — აზოტი 69:86. არჩილ ქლენტმა (ბურთით) 38 ქულა გააკეთა და „აზოტი“ ფინალში გაიყვანა

საქართველოს ჩემპიონატი

გუშინ რუსთავის „აზოტმა“ საქართველოს საკალათბურთო ჩემპიონატის ნახევარფინალის მეოთხე მატჩში 86:69 მოუგო თბილისის სტუ-ს და ზედიზედ მესამედ გავიდა ფინალში. ორი დღით ადრე კი ფინალისტობა გაინაღდა ბათუმის „ბასკომ“, რომელსაც სამი თამაში ეყო თბილისის სდასუ-ს დასამარცხებლად. საქართველოს ჩემპიონატების ცხრაწლიან ისტორიაში პირველი შემთხვევაა, როცა ფინალში თბილისის გუნდი არ მონაწილეობს.

გუშინვე, გამთენიისას ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ფინალისტებიც გაირკვნენ: პლანეტის უძლიერესი ლიგის ჩემპიონობისთვის „ლოს ანჯელეს ლეიკერსი“ და „ინდიანა პეისერზი“ იბრძოლებენ.


იხილეთ მეცხრე, მეათე და მეთერთმეტე გვერდები



აზერბაიჯანის ნაკრების თავდამსხმელ ბადრი კვარაცხელიას საქართველოს ნაკრების მცველი ლევან სილაგაძე (№2) მეურვეობს

ანარ ისმაილოვი ბაქოდან



საუკეთესო: დავით გვარამაძე!

რდამხარ ალეკპეროვის ... რაც შეეხება ... დომებულები იყვნენ და ასე თუ ... რძელეს, კიდევ ბევრს გაამწარებს.

და რაც ყველაზე მთავარია, აზერბაიჯანის ნაკრებმა არ წააგო. ეს კი ფეხბურთში არეულობის გათვალისწინებით ჩვენთვის ბევრს ნიშნავს. საქართველოს ნაკრებთან თამაშისას აზერბაიჯანის ეროვნული გუნდის შესაძლებლობებიც კარგად გამოჩნდა.

მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე დავით ყიფიანი არ ყოფილა, თავს შეუძლოდ ვგრძნობო, გვითხრა. სამაგიეროდ, რევაზ ძოძუაშვილმა თქვა:

— ამ ეტაპზე ჩვენი მიზანია, რომ სტაბილური შემადგენლობა შევარჩიოთ. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების დაწყებამდე ბევრი ფეხბურთელის გამოცდა გვაქვს ჩაფიქრებული. აზერბაიჯანის ნაკრებზე კარგის მეტი არაფერი მეთქმის, ძლიერი გუნდი ყოფილა. ჩვენი ვერმოგების მიზეზი კი ისაა, რომ ფეხბურთელები ზედმეტად თავდაჯერებულნი იყვნენ.

ასკერ აბდულაევი შენ ნათამაშევ ფრით კმაყოფილი დარჩა.

— ფეხბურთელებმა ჩემი დავალება კარგად შეასრულეს. სამწუხაროა, რომ ეს შედეგზე არ აისახა. შეგვეძლო, მოგვეგო, მაგრამ არ გაგვიმართლა. საქართველოს ნაკრებს ჩინებული მეკარე ჰყოლია. აზერბაიჯანის ნაკრებიდან ვერავის გამოვყოფ, ყველასი კმაყოფილი ვარ. მომავალში ეს ახალგაზრდები თავის სიტყვას იტყვიან.

# მეზობლის კარს ხელს ნუ ახლებ

ბაქო
4 ივნისი
18 საათი
ტოფიკ ბახრამოვი
13 000 (ტევადობა 35 000)

**აზერბაიჯანი 0:0 საქართველო**

ამხანაგური მატჩი

აზერბაიჯანი: მაჰმუდოვი, ალიევი (ასლანი 61), აღაყელოვი, აბბასოვი, ღურბანოვი, ახმედოვი, კ. გულიევი, რზაევი (გამბაროვი 62), ე. გულიევი (მუსაევი 86), ისმაილოვი, კვარაცხელია (მამედოვი 75)

საქართველო: გვარამაძე, სილაგაძე, თოდუა, სიხარულიძე, ჩიხრაძე, ხიზანიშვილი, კობიაშვილი, ქეცბაია (რ. არველაძე 70), ა. არველაძე (იაშვილი 70), ქინქლაძე (ალექსიძე 80), შ. არველაძე (გოგიჩაიშვილი 86)

გაფრთხილებები: სილაგაძე (8), სიხარულიძე (12), ასლანოვი (29), კობიაშვილი (70), რ. არველაძე (89)

მსაჯები: ხ. მამედოვი; ა. ხუსეინოვი, თ. აგაევი; ჩ. ისმაილოვი (ყველა აზერბაიჯანი)

ლატიფ ნოვრუზოვი ბაქოდან
საგანგებოდ „სარბიელისთვის"

ვეთანხმები საქართველოს ნაკრების ერთ-ერთ მწვრთნელ რევაზ ძოძუაშვილს, რომელმაც მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე თქვა, ჩვენებმა მასპინძელთა ძალა სათანადოდ ვერ შეაფასეს, ეგონათ, აზერბაიჯანელებს იოლად მოუგებდნენო.

მართლაც არ ველოდი, საქართველოს ნაკრები ბაქოში ასე სუსტად თუ ითამაშებდა, არადა, ძოძუაშვილმა და ყიფიანმა საკმაოდ ძლიერი შემადგენლობით მოუყარეს თავი. ქართველების დარი ლეგიონერებით აბა, აზერბაიჯანელები როგორ დაეკავშირნენ და მით უმეტეს, ამის ფონზე იყო საკვირველი სტუმართა ინერტულობა. საქართველოს ეროვნულ გუნდს მთელი მატჩის განმავლობაში ერთი რეალური საგოლე მომენტიც არ შეუქმნია მასპინძელთა კართან მაშინ, როცა აზერბაიჯანელებს გვარამაძემ რამდენჯერმე ისეთი დარტყმული აუღო, სასწაულებრივს რომ ეძახიან. თითქმის ყველა მომენტი ასკერ აბდულაევის შეგირდებმა მეორე ტაიმში შექმნეს ჯერ აზერბაიჯანის მოქალაქეობამიღებულ ქართველ ბადრი კვარაცხელიას აჯობა გვარამაძემ, კარი დროულად დატოვა, მასთან პირისპირ გასულ თავდამსხმელს საჯარიმოს ხაზთან დაასწრო და ბურთი მოიგერია, მერე აგაევმა დარტყა შეუჩერებლად, მაგრამ მეკარემ იმარჯვა, ნახტომში ბურთი კუთხურზე მოიგერია; მესამე კი გვარამაძემ ერჯან ყულიევის დარტყმულისას პოზიცია კარგად შეარჩია და არც მას გაატანინა. ქართველების უპირატესობად მხოლოდ იმას თუ ჩავთვლით, რომ მასპინძლებმა დიდხანს აკონტროლებდნენ ბურთს, თუმცა რა, გუსეინოვის კარს არ დამუქრებიან და...

სტუმართაგან პირველ ყოვლისა დაცვის შუაში მოთამაშე სილაგაძეს გამოვყოფდი, რომელსაც მატჩისას შეცდომა არ დაუშვია, მასპინძლებსაც კარგად მეურვეობდა. ნორმალურად ითამაშა ასევე ქეცბაიამ და შოთა არველაძემ, თუმცა ვიცი, მათ გაცილებით მეტი შეუძლიათ.

აზერბაიჯანელთაგან სხვებზე უკეთესი შთაბეჭდილება კაპიტანმა ახმედოვმა და რზაევმა დატოვეს. 35 წლის ბადრი კვარაცხელია კი „ტოფიკ ბახრამოვის" სტადიონზე შეუდარებელი იყო. თითქმის ყველა ჯარიმას ის რტყამდა, ძალიან სახიფათოდ, თითქმის ყველა შეტევა მისი წამოწყებული გახლდათ, ბევრს მოძრაობდა და მცველებს გვარიანად აწვალებდა. მერე, მატჩის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე, დაიღალა და შესაცვლელი შეიქნა. კვირას სწორედ ის და გვარამაძე იყვნენ საუკეთესონი.

აზერბაიჯანის ნაკრების თამაშით კი სტადიონზე მყოფთაგან უკმაყოფილო არავინ დარჩენილა. ასკერ აბდულაევმა საამაყოდ ახალგაზრდები მიიწვია და მათაც გაამართლეს, კვარაცხელიას მხა-

სუმგაითი
3 ივნისი
18 საათი
მეჰთი ჰუსეინზადე
(ტევადობა 15 000)

**აზერბაიჯანი 2:2 საქართველო**

ახალგაზრდულები

ქართველებიდან გოლები ... გაიტანეს.
საქართველო: ლომაია, სალუქვაძე, ნ. ... ხიზანიშვილი, ჯ. მუჯირი, ო. გელაშვილი, მახარაშვილი, ... ი. შენგელია (მ. ბობოხიძე), იმედაძე

სუმგაითი
3 ივნისი
15 საათი
მეჰთი ჰუსეინზადე
(ტევადობა 15 000)

**აზერბაიჯანი 2:1 საქართველო**

18-წლამდელები

ქართველებიდან გოლი ... გაიტანა
საქართველო: მამალაძე, აშოთიაშვილი, ... ჩიქაძე, ... ნოზაძე, ... სანიკიძე, ახალაია, ნოზაძე, ... შეცვლის ... ი. მა... ია, მამიაშვილი, ... ბ. ლაბაძე, ...
მსაჯები: ახალაია, სანიკიძე

# მსაჯებმა გურამ გაბისკირია გაიხსენეს

ზუგდიდი
3 ივნისი
16.30 საათი
ცენტრალური
3 000 (ტევადობა 7 500)

**სამეგრელო 8:5 იმერეთი**

1:0 მესხი (10), 2:0, 3:0 ინალიშვილი (15, 18), 3:1 შალამბერიძე (61), 3:2 ბრეგვაძე (64), 4:2, 5:2 ინალიშვილი (65, 75), 5:3 ბრეგვაძე (78), 6:3 ერქვანია (80), 6:4 ბუიშვილი (83), 7:4 ნარმანია (83), 7:5 კიკაჩეიშვილი (87), 8:5 ჭაჭუა (88)

სამეგრელო: ლ. კვარაცხელია, სამხარაძე, მესხი, ერქვანია, ტყემალაძე, გ. ცირდავა, ინალიშვილი, ბ. ცირდავა, სანაია, ჭაჭუა, კაკულია

სათადარიგონი: კვიტაიძე, გოგინავა, ა. გუნთაძე, ნარმანია, ნაკაიძე, ქედიშვილი

იმერეთი: გ. დოგრაშვილი, ბერაძე, შალამბერიძე, მელაძე, მაღრაძე, პ. დოგრაშვილი, ბრეგვაძე, ბუიშვილი, ქათამაძე, ფილიპაშვილი, მიქელაძე

სათადარიგონი: კიკაჩეიშვილი, სვანიძე, გაბრიაძე, მაჭარაშვილი, ხუჭუა, ჩიგოგიძე, ჯულაყიძე

მსაჯები: ა. მილჩენკო (სოხუმი); მ. ვეკუა (გულრიფში), რ. ფარცვანია (ზუგდიდი)

თენგიზ ძოჩუა ზუგდიდიდან

ერთად შეკრებილი ამდენი მსაჯი პირველად ვნახე. მთელი სამეგრელოსა და იმერეთის „შავოსნებმა" შაბათს ზუგდიდის ცენტრალურ სტადიონზე მოიყარეს თავი. რამდენიმე არბიტრი გურიიდანაც ჩამოვიდა.

მათ ფეხბურთი ითამაშეს — იმერეთი სამეგრელოს დაუპირისპირდა. ამ შეხვედრის შედეგებით დასავლეთ საქართველოს ნაკრები შეიქმნება და 19 ივნისს თბილისს გაემგზავრება, სადაც მსაჯთა დღისადმი მიძღვნილ ზეიმში მიიღებს მონაწილეობას.

მატჩს სხვა დატვირთვაც ჰქონდა. იგი ცნობილი პიროვნების, „ცხუმის" ყოფილი პრეზიდენტის გურამ გაბისკირიას ხსოვნას მიეძღვნა. დაწესდა კიდეც „გურამ გაბისკირიას თასი".

შეხვედრა ნახევარი საათის დაგვიანებით დაიწყო. სტადიონზე ექიმი არ არისო, თქვა ანატოლი მილჩენკომ და... ნახევარი საათი მოუნდნენ მის მოყვანას. ბოლოს არბიტრმა მსაჯები (ესე იგი, მოთამაშეები) გააფრთხილა, ხომ ხედავთ, ამხანაგურ მატჩშიც საჭიროა წესრიგიო.

ისე, ყველა მონაწილე მსაჯი როდი იყო. მასპინძლებს რეგიონის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი გელა ინალიშვილი ეხმარებოდა, ხოლო სტუმრებს გელას კოლეგა გურამ ფილიპაშვილი, „სამგურალის" პრეზიდენტი გრიგოლ ქათამაძე და სფფ-ს თანამშრომელი ნოდარ კაკულია შეუერთდნენ.

შეხვედრა მეტად საინტერესო გამოდგა და საბოლოოდ მასპინძელთა გამარჯვებით 8:5 დასრულდა. იყო გოლთაცვენა, ახალგაზრდული ალტყინება და...

არბიტრმა ანატოლი მილჩენკომ მაყურებელი გააოცა — ამ ხნის კაცი ასე სწრაფად და დაუღლელად რომ დარბის, ყმაწვილკაცობაში რა იქნებოდაო. ნეტავ ასეთები გვიმრავლოსო, ნატრობდა ხალხი.

ამ ლამაზ შეხვედრას გულშემატკივრები არ მოჰკლებია. 3000 კაცი საქართველოს ჩემპიონატის პირველი ლიგის მატჩებსაც იშვიათად ესწრება. ძირითადად ახალგაზრდებმა შეავსეს ტრიბუნები. ისინი მხიარულად ქომაგობდნენ თავიანთ „პირველ მტრებს" — მსაჯებს.

შეხვედრის შემდეგ ბანკეტი გაიმართა. ეს დღე არასოდეს დაავიწყდებათ ზუგდიდში.

9 ივნისს ქუთაისში საპასუხო მატჩი ჩატარდება. ახლა საპასუხო სიტყვა იმერლებზეა.

# ინტერტოტოელები

ინტერტოტოს თასზე მონაწილე ქართული გუნდის ვინაობა, თბილისის „დინამოს" გადამკიდე გაურკვეველი რომ იყო, საბოლოოდ დადგინდა. მიუხედავად იმისა, რომ ბრინჯაოს პრიზიორ „დინამოს" შეცვლის სურვილი მეოთხეადგილოსან „ბათუმს" ჰქონდა, 18 ივნისს ბელგიურ ლიეჟის „სტანდარდს" მაინც ექსჩემპიონი დაუხვდება.

გუშინ უეფამ იმ გუნდების ნუსხაც გამოაქვეყნა, რომლებიც ინტერტოტოს თასის პირველი ეტაპის წყვილებს შეადგენენ:

ტორსჰაგენი (ფარერები) — ტატაბანია (უნგრეთი)
ტრანსი (ნარვა, ესტონეთი) — ჩეჰლაული (რუმინეთი)
არაქსი (სომხეთი) — სიგმა (ჩეხეთი)
ფლორიანა (მალტა) — სტაბეკი (ნორვეგია)
ქოჯაელისფორი (თურქეთი) — ატლანტასი (ლიტვა)
ლინცერი (ავსტრია) — ჰაპოელი (ფეთაჰ თიქვა, ისრაელი)
გლენავონი (ჩრდ. ირლანდია) — სლავენი (ხორვატია)
ზაგლებიე (პოლონეთი) — ვილიაში (აზერბაიჯანი)
ტრენჩინი (სლოვაკეთი) — დინაბურგი (ლატვია)
პრიმორიე (სლოვენია) — ვესტერლო (ბელგია)
ფრიოლუნდა (შვედეთი) — ზრინსკი (ბოსნია)
ციბალია (ხორვატია) — ობილიჩი (იუგოსლავია)
დნეპრტრანსმაში (ბელარუსი) — სილკებორგი (დანია)
ქსამაქსი (შვეიცარია) — მიუპა (ფინეთი)
ლეიფტური (ისლანდია) — ლუცერნი (შვეიცარია)
დუბლინი (ირლანდია) — ველბაჟდი (ბულგარეთი)
ნეა სალამინა (კვიპროსი) — ვლაჟნია (ალბანეთი)
პელისტერი (მაკედონია) — ჰობშაიდი (ლუქსემბურგი)
ქუიმბრან თაუნი (უელსი) — ნისტრუ უნისპორტი (მოლდოვა)

*მეორე ეტაპიდან (1-2 და 8-9 ივლისი) ჩაებმებიან:*

ზალცბურგი (ავსტრია), ზენიტი (რუსეთი), პერუჯა (იტალია), აუსტრია (ვენა, ავსტრია), ოსერი (საფრანგეთი), ოლბორგი (დანია), დუკლა (ჩეხეთი), ბრედფორდი (ინგლისი), მალიორკა (ესპანეთი), ბლშანი (ჩეხეთი), სედანი (საფრანგეთი), შტუტგარტი (გერმანია)

*მესამე ეტაპიდან (15-16 და 22 ივლისი) ჩაებმებიან:*

სელტა (ესპანეთი), უდინეზე (იტალია), ვოლფსბურგი (გერმანია), ასტონ ვილა (ინგლისი), კალამატა (საბერძნეთი), ლანსი (საფრანგეთი), ვალვაიკი (ჰოლანდია), როსტსელმაში (რუსეთი)

ეროვნული ბიბლიოთეკა



შტრელაუ, კობიაშვილი, იაშვილი და მეკარეთა მწვრთნელი

# კარლსრუე: ვემსახურები ქართულ ფეხბურთს

ბასულ კვირას თბილისს სამდღიანი საქმიანი ვიზიტით „კარლსრუეს“ საფეხბურთო სკოლის ხელმძღვანელები სტუმრობდნენ.

გერმანიაში (ევროპაში) ცნობილი საფეხბურთო სკოლის დირექტორი ლოთარ შტრელაუ და მეკარეების მწვრთნელი ს.კ. „ირაოს“ მოწვევით იმყოფებოდნენ საქართველოს დედაქალაქში. „ირაოს“ ხელმძღვანელობამ მათთან კავშირი ძველი მეგობრის, რობერტ მირალის საშუალებით დაამყარა.

სფფ-ს ასოციაციებთან ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარის, ლევან ყიფიანის თქმით, სტუმრები ხელცარიელნი არ ჩამოსულან, თან ჩამოუტანიათ ბავშვთა მომზადების სპეციფიკური პროგრამა, რომელიც სულ მალე ითარგმნება და ამ სფეროში მომუშავე ქართველ მწვრთნელებს ძალიან გამოადგებათ.

სამდღიანი ვიზიტის პირველ დღეს გერმანელმა სტუმრებმა „ირაოში“ სხვადასხვა ასაკის ფეხბურთელები წაავარჯიშეს, მათ საწვრთნელ ციკლს ქართველი მწვრთნელებიც ადევნებდნენ თვალყურს და სტუმართა გარჯით ფრიად კმაყოფილნი დარჩნენ. ვარჯიშების შემდეგ ლოთარ შტრელაუმ ქართველ მწვრთნელ-ფეხბურთელთათვის სემინარიც გამართა. სტუმრებმა მეორე დღეს „შევარდენის“ საფეხბურთო სკოლაში გადაინაცვლეს და თავიანთი ცოდნა იქაურებსაც გაუზიარეს.

სამდღიანი ვიზიტის დროს შტრელაუს დიდმის საწვრთნელი ბაზა დაუთვალიერებია და გაოცებულა, ასეთი ტრენაჟორებით ფეხბურთელებს როგორ ზრდითო. ჩვენი ყოფით გულაჩუყებულ გერმანელს წასვლის წინ დაუბარებია, შეძლებისდაგვარად დაგეხმარებითო.

კარლსრუელთა სტუმრობას სხვამხრივაც არ ჩაუვლია უშედეგოდ. ლევან ყიფიანის თქმით, ამ ვიზიტის წყალობით ივლისში სამი ქართველი ნორჩი ფეხბურთელი კარლსრუეს გაემგზავრება სტაჟირებაზე. ქართველები სტაჟირებას აგვისტოშიც გაივლიან. გადაწყვეტილია ორი ირაოელი ფეხბურთელის და ერთ-ერთი მათი მწვრთნელის ავსტრიაში გამგზავრება. ხარჯებს „ირაო“ გაიღებს. „ირაოსვე“ დაფინანსებული იყო კარლსრუელთა სტუმრობაც.

დაბოლოს, მოწყალე სტუმრებს გერმანიიდან ივნისის ბოლოსთვისაც ელიან. გერმანელები საფეხბურთო ფორმებით და ბურთებით ხელებდამშვენებულნი ეწვევიან თბილისს.

**პაატა ქვანტალიანი**

# აგვისტოში გამოჩნდება

ივნისის პირველ დღეს დასრულდა საქართველოს ჩემპიონატი რეგიონალურ ლიგაში. გამოვლინდა ის რვა კლუბი, რომელიც აგვისტოდან საქართველოს ჩემპიონატის მეორე ლიგაში ითამაშებენ. ჩემპიონატი დამთავრდა, მაგრამ შესაძლებელია, 8 საუკეთესოდან ზოგიერთმა კლუბმა მეორე ლიგაში თამაშზე უარიც განაცხადოს (უჭირთ ქართულ გუნდებს), ასეთ შემთხვევაში მათ ქვეჯგუფებში უკეთეს ადგილებზე გასულები შეენაცვლებიან.

დასავლეთ და აღმოსავლეთ ჯგუფში გუნდები ორ-ორ ზონად იყვნენ დაყოფილნი და ორ-ორი საუკეთესო ადგილისთვის იბრძოდნენ.

დასავლეთ ჯგუფის „ა“ ზონაში ფაქტობრივად ერთი ადგილისთვის მიდიოდა ჭიდილი, რადგან ზესტაფონის „მარგვეთმა“ თავიდანვე ხელთ იგდო უპირატესობა და მეორე წრის დასაწყისში საგრძნობი სხვაობით უსწრებდა მეტოქეებს, მარგველებმა წაუგებლად დაასრულეს გათამაშება და 22 მატჩში მხოლოდ 8 ქულა დაკარგეს. მეორე ადგილი მეორე ზესტაფონურ კლუბსაც ამოეჭრა გულში, მაგრამ „მეტალურგმა“ ბოლო ტურში სტუმრად „გურიასთან“ წაიფორხილა. მისმა უშუალო კონკურენტმა სამტრედიის „ოკეანემ“ შინ ქუთაისის „ინტერი“ გაანადგურა და მეორეობაც დაიბევა.

დასავლეთში უცილობელი ფავორიტი „ბ“ ზონასაც ჰყავდა. „შუქურაც“ დასაწყისშივე დაწინაურდა და ბოლო ტურამდე ხუთ ქულაზე ახლოს არც მიუშვია მდევარი. მეორე ადგილისთვის კი ერთბაშად სამი ზუგდიდური გუნდი იბრძოდა. „ლაზიკას“, „მეგრის“ და „ზუგდიდის“ მარათონულ ჭიდილში ამ უკანასკნელმა იმარჯვა და „შუქურას“ გზას დაადგა. აღსანიშნავია, რომ „ზუგდიდმა“ თავისი ბედი ბოლო ტურის მატჩის ბოლო წუთებზე გადაწყვიტა — „კოლხეთი 2“-თან მატჩში მასპინძლები 84-ე წუთზე ჩიქობავამ იხსნა.

აღმოსავლეთ ჯგუფის „ა“ ზონაში სამი გუნდი იბრძოდა ორი ადგილისთვის — „ცხინვალი“, „თორი“, „ივერია“. ბოლოს ხაშურელებს ერგოთ მესამე ადგილი. არადა, ყოფილი პირველჯგუფელები კარგა ხანს ფავორიტებად ითვლებოდნენ, მაგრამ მეორე წრის დასაწყისში ჰაერივით საჭირო ქულები გაანიავეს და გაისად ალბათ რეგიონალურ ლიგაში მოუწევთ თამაში. თერთმეტგუნდა ზონაში ათმა გუნდმა დაასრულა გათამაშება. კასპის „განთიადმა“ ფინანსურ სიდუხჭირეს ვერაფერი მოუხერხა და ფეხბურთს და მეტოქეებს ნაადრევად დაუქნია ხელი, და ეს იმ დროს, როცა პირველი წრის ბოლოს კასპელები ლიდერთა შორის იყვნენ.

უფროს ძმას არც „ლოკომოტივი 2“ ჩამორჩა და ტრიუმფით დაასრულა სეზონი რეგიონალური ლიგის დასავლეთ ჯგუფის „ბ“ ზონაში. რკინიგზელები მთელი სეზონი სტაბილურად თამაშობდნენ და დამსახურებულადაც გახდნენ პირველები. მეორე ადგილისთვის კი „ალაზანი“ და „ჭაბუკიანი“ იბრძოდნენ, ზონაში მესამე საფეხურზე „არსენალი 2“ კი გავიდა, მაგრამ მეორეობის შემთხვევაში მათი მეორე ჯგუფში თამაში მაინც არ მოხერხდებოდა, რადგან ამ ჯგუფის წევრი პირველი ლიგიდან დაქვეითებული „არსენალი“ გახდა, ერთი კლუბი („არსენალი 2“ „არსენალის“ ფარმკლუბია) ორი შემადგენლობით ერთ ჯგუფში თამაში კი დებულებით აკრძალულია.

„ალაზანმა“ რომ მისამართი შეიცვალა და გურჯაანიდან ძველ ანაგას გადაბარგდა, ადრეც ვიუწყებოდით. ყოფილი „ლარწყალის“ ფეხბურთელებით გაძლიერებულმა გუნდმა სეზონებს შორის შესვენებისას უცხოური შეკრებაც გაიარა (სოჭში) და რა გასაკვირია, რომ ფინანსურად წელგამართულმა გუნდმა მეორე ჯგუფის საგზური მოიპოვა, ეს „ალაზანმა“ ბოლო ტურში „ამირანის“ 8:2 ძლევით შეძლო. „ა“ ზონის მსგავსად, გათამაშება აქაც ათმა გუნდმა დაასრულა — „განთიადის“ გზას მის დღეში ჩავარდნილი „დურუჯიც“ დაადგა.

ერთი სიტყვით, რვა საუკეთესო გუნდი „მარგვეთი“, „ოკანე“, „შუქურა“, „ზუგდიდი“, „ცხინვალი“, „თორი“, „ლოკომოტივი 2“ და „ალაზანი“ გახდა.

**პაატა ქვანტალიანი**

# მწვრთნელებმა მწვრთნელები დაიბარეს

აზერბაიჯანის ნაკრებთან კვირას ფრედ დამთავრებული მატჩის შემდეგ თბილისში დაბრუნებულმა საქართველოს ნაკრების მწვრთნელებმა რევაზ ძოძუაშვილმა და დავით ყიფიანმა გადაწყვიტეს, მწვრთნელთა საბჭოს წევრების მორიგი შეკრება მოაწყონ.

11 ივნისს ესტონეთის ნაკრებთან ამხანაგურ მატჩამდე ეროვნული გუნდის მწვრთნელები 7 ივნისს 5 საათზე შეხვდებიან თავიანთ კოლეგებს. დაახლოებით საათნახევარს ითათბირებენ და მერე, 7 საათზე, ეროვნულ სტადიონზე საქართველოს ნაკრების ორმხრივ მატჩს დაესწრებიან. ძოძუაშვილსა და ყიფიანს საესტონეთო შემადგენლობის შერჩევა სურთ და იმედოვნებენ, რომ ამ საქმეში მწვრთნელთა საბჭოს წევრებიც დაეხმარებიან.

**ლუკა თალაკვაძე**

# რეგიონალური ლიგა

## დასავლეთი

### „ა“ ზონა

XXII ტური

31 მაისი

**გურია 4:2 მეტალურგი**

1:0 კუკულაძე (12), 2:0 იმნაიშვილი (30), 2:1 აბაზაძე (36), 2:2 ქურციკიძე (38), 3:2 ფირცხალაიშვილი (48), 4:2 ქიქავა (75)

გაფრთხილება: ლორია, იმნაიშვილი (ორივე გურია), გავაშელიძე, ქურციკიძე (ორივე მეტალურგი)

გაძევება: მემარნიშვილი (მეტალურგი, 74), აჭარაძე (მეტალურგი, 88)

მსაჯი: კ. გაბრიაძე (ქუთაისი)

1 ივნისი

**სულორი 0:1 იბერია 2**

0:1 ნაროუშვილი (44)

გაფრთხილება: შ. გელაშვილი (სულორი)

მსაჯი: დ. სანაია (სოხუმი)

**გაგრა 4:5 რაჭა**

1:0 ტ. მანაგაძე (15), 1:1 მეტონიძე (35), 2:1 თ. მანაგაძე (33), 2:2 კიკვაძე (50), 3:2 ტ. მანაგაძე (60), 4:2 თ. მანაგაძე (70), 4:3 კიკვაძე (75), 4:4, 4:5 პაპიძე (80, 87)

გაფრთხილება: შარაბიძე (რაჭა)

გაძევება: პ. ჯელაძე (რაჭა, 78)

მსაჯი: კ. მესხი (ზუგდიდი)

**ოკეანე 5:0 ინტერი**

1:0 ჯიქიძე (23), 2:0 ლორთქიფანიძე (35), 3:0 რ. ცომაია (44), 4:0 კაცაძე (65), 5:0 კრავეიშვილი (75)

გაფრთხილება: მეგრელიშვილი (ინტერი)

მსაჯი: ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა)

**მარგვეთი 3:0 მალაროელი**

მალაროელი არ გამოცხადდა

**რწმენა 3:0 მეშახტე**

მეშახტე არ გამოცხადდა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარგვეთი | 22 | 18 | 4 | 0 | 71:18 | 58 |
| ოკეანე | 22 | 13 | 6 | 3 | 51:23 | 45 |
| იბერია 2 | 22 | 12 | 6 | 4 | 47:26 | 42 |
| მეტალურგი | 22 | 12 | 5 | 5 | 42:27 | 41 |
| ინტერი | 22 | 9 | 6 | 7 | 34:30 | 33 |
| გაგრა | 22 | 6 | 8 | 8 | 31:37 | 26 |
| რაჭა | 22 | 6 | 7 | 9 | 31:37 | 25 |
| გურია | 22 | 7 | 1 | 14 | 36:45 | 22 |
| რწმენა | 22 | 5 | 7 | 10 | 16:29 | 22 |
| სულორი | 22 | 5 | 6 | 11 | 30:54 | 21 |
| მალაროელი | 22 | 3 | 6 | 13 | 28:47 | 15 |
| მეშახტე | 22 | 3 | 4 | 15 | 24:68 | 13 |

## დასავლეთი.

### „ბ“ ზონა

XXII ტური

1 ივნისი

**მერცხალი 1:1 სქური**

1:0 მეგრელიშვილი (23), 1:1 ჯაბუა (67პ)

გაფრთხილება: ჯოლია (სქური)

მსაჯი: ლ. მიქელაძე (სამტრედია)

**ბათუმი 2 3:0 ჩელა**

1:0, 2:0 ფურცხვანიძე (51, 66), 3:0 დარჩიძე (77)

დარჩიძემ ვერ გაიტანა პენალტი (60)

მსაჯი: თ. გიორგაძე (სამტრედია)

**ზუგდიდი 1:0 კოლხეთი 2**

1:0 ჩიქობავა (84პ)

ჯოლოხავამ ვერ გაიტანა პენალტი (ზუგდიდი, 44)

მსაჯი: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

**მეგრი 4:3 ლაზიკა**

1:0 იოსავა (3), 2:0, 3:0 გოგოხია (9, 45), 3:1 თოდუა (60), 3:2 ჭითანავა (64პ), 4:2 თოლორაია (76), 4:3 გამსახურდია (80)

მსაჯი: გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი)

**ფაზისი 3:0 ბახმარო**

ბახმარო არ გამოცხადდა

**შუქურა 3:0 სამეგრელო**

სამეგრელო არ გამოცხადდა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შუქურა | 22 | 18 | 2 | 2 | 66:20 | 56 |
| ზუგდიდი | 22 | 16 | 3 | 3 | 65:21 | 51 |
| მეგრი | 22 | 16 | 2 | 4 | 40:17 | 50 |
| კოლხეთი 2 | 22 | 14 | 4 | 4 | 34:15 | 46 |
| ლაზიკა | 22 | 12 | 5 | 5 | 56:24 | 41 |
| ფაზისი | 22 | 10 | 3 | 9 | 36:37 | 33 |
| სქური | 22 | 6 | 3 | 13 | 25:52 | 21 |
| სამეგრელო | 22 | 5 | 5 | 12 | 23:43 | 20 |
| ბათუმი 2 | 22 | 4 | 8 | 10 | 26:38 | 20 |
| მერცხალი | 22 | 3 | 7 | 12 | 20:43 | 16 |
| ჩელა | 22 | 2 | 4 | 16 | 19:55 | 10 |
| ბახმარო | 22 | 2 | 2 | 18 | 38:63 | 8 |

გამთავრულებული გუნდები გაისად მეორე ლიგაში ითამაშებენ

## აღმოსავლეთი

### „ა“ ზონა

XX ტური

31 მაისი

**ცხინვალი 9:1 ვარძია**

1:0 გრიგალაშვილი (2), 2:0 ნარუაშვილი (4), 3:0 ბოჭორაძე (14), 4:0, 5:0 ეჯოშვილი (24, 36), 6:0 ტილკავაშვილი (37), 7:0 გრიგალაშვილი (43), 8:0 გუგულაშვილი (49), 9:0 ზ. მაისურაძე (51), 9:1 ჯავახიშვილი (67პ)

გაფრთხილება: გ. გელაშვილი (ვარძია)

მსაჯი: ი. აფციაური (დუშეთი)

**ივერია 1:0 იბერია**

1:0 ლურსმანაშვილი (23)

გაფრთხილება: ხატიაშვილი, თოდაძე (ორივე იბერია), ვლასოვი, ბ. ჩიტაია (ორივე ივერია)

მსაჯი: ა. კრიჭაშვილი (თბილისი)

**ცხუმი 0:2 მესხეთი**

0:1 სუდაძე (37), 0:2 ინასარიძე (88პ)

გაფრთხილება: ნარმანია, საჯაია (ორივე ცხუმი), სუდაძე, ხაჩიძე, მერებაშვილი, გვირჯიშვილი (ყველა მესხეთი)

მსაჯი: ბ. ბრეგვაძე (ჭიათურა)

1 ივნისი

**მრეტები 3:2 არაგვი**

1:0 ბოგვერაძე (14), 1:1 ბ. ტრაპაიძე (21), 2:1 გელაძე (40), 3:1 ბოგვერაძე (65), 3:2 მოსიაშვილი (84პ)

მსაჯი: ო. ხეცაძე (თბილისი)

**თორი 3:0 განთიადი**

განთიადს ჩაეთვალა წაგება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცხინვალი | 20 | 15 | 2 | 3 | 47:8 | 47 |
| თორი | 20 | 15 | 2 | 3 | 41:14 | 47 |
| ივერია | 20 | 14 | 0 | 6 | 45:20 | 42 |
| იბერია | 20 | 11 | 2 | 7 | 28:18 | 35 |
| მესხეთი | 20 | 9 | 4 | 7 | 44:36 | 31 |
| ცხუმი | 20 | 9 | 2 | 9 | 36:27 | 29 |
| განთიადი | 20 | 7 | 1 | 12 | 23:44 | 22 |
| მრეტები | 20 | 5 | 5 | 10 | 20:37 | 20 |
| საუ | 20 | 6 | 1 | 13 | 24:39 | 19 |
| ვარძია | 20 | 4 | 2 | 14 | 17:55 | 14 |
| არაგვი | 20 | 4 | 1 | 15 | 22:49 | 13 |

განთიადი მოხსნილია გათამაშებიდან

1 ივნისი

მატჩი I ადგილისთვის

**ცხინვალი 1:0 დ.დ. (0:0) თორი**

1:0 მარგიევი (115პ)

ცხინვალი: ქურანაშვილი, გრიგალაშვილი, ხოხობაშვილი (ხახიშვილი 117), ტყემალაძე, ყაჩლავაშვილი, მოსიაშვილი, ეჯოშვილი, მარგიევი, ტილკავაშვილი (გუგულაშვილი 119), ნარუაშვილი (ზ. მაისურაძე 119), ბოჭორაძე (შ. ცხადაძე 46)

სათადარიგონი: დ. მაისურაძე, ნ. ცხადაძე

თორი: ა. ლაბაძე, ლეკიშვილი, კობესაშვილი, ელისაშვილი, გ. ლომიძე, ფირცხალავა (რცხილაძე 54), სეფერთელაძე, პ. მესხი, მინაძე, ვარდიაშვილი, გლუნჩაძე

სათადარიგონი: სულავა, დენისკინი, შალიკაშვილი

გაფრთხილება: რცხილაძე (70), გლუნჩაძე (118)

მსაჯი: თ. ლაცაბიძე (სურამი)

## აღმოსავლეთი

### „ბ“ ზონა

XX ტური

1 ივნისი

**ალაზანი 8:2 ამირანი**

0:1 ფურცელაძე (6), 1:1 გუდურაშვილი (7), 2:1 ტოკლიკიშვილი (35), 3:1 ლაცაბიძე (44პ), 4:1 ვარამიშვილი (53), 4:2 ფურცელაძე (55), 5:2 ტოკლიკიშვილი (57), 6:2, 7:2 ვარამაშვილი (61, 67), 8:2 ყალაბეგაშვილი (83)

გაფრთხილება: ლოლიაშვილი (ამირანი)

მსაჯი: მ. მაისურაძე (თბილისი)

**ლოკომოტივი 2 1:4 არსენალი 2**

0:1 ეგაძე (12), 1:1 ნ. ბაქრაძე (21), 1:2, 1:3, 1:4 საბიაშვილი (58, 61, 69)

გაფრთხილება: პ. აფციაური (არსენალი 2)

მსაჯი: ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

**ჭაბუკიანი 5:0 თბილისი 2**

1:0 ე. გელაშვილი (19), 2:0 მ. ყაველაშვილი (30), 3:0 მეტრეველი (49), 4:0 გუნია (64პ), 5:0 ლებანიძე (77)

გაფრთხილება: გ. თარხნიშვილი (თბილისი 2)

გაძევება: მანჭარაული (თბილისი 2, 24)

მსაჯი: ლ. სილაგავა (თბილისი)

**ხალიბი 4:1 აკადემია**

1:0 სოხაძე (13), 2:0 ზაზაშვილი (20), 3:0 სივსივაძე (35), 4:0 სოხაძე (85), 4:1 ბახტაძე (87)

გაფრთხილება: მახარაძე (აკადემია), მ. მაჩაიძე (ხალიბი)

მსაჯი: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

**დურუჯი 0:3 ზოოვეტი**

დურუჯს ჩაეთვალა წაგება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი 2 | 20 | 14 | 3 | 3 | 35:16 | 45 |
| ალაზანი | 20 | 14 | 2 | 4 | 58:20 | 44 |
| არსენალი 2 | 20 | 13 | 4 | 3 | 43:22 | 43 |
| ჭაბუკიანი | 20 | 13 | 3 | 4 | 41:13 | 42 |
| ზოოვეტი | 20 | 10 | 5 | 5 | 40:29 | 35 |
| ხალიბი | 20 | 7 | 3 | 10 | 27:33 | 24 |
| ამირანი | 20 | 7 | 3 | 10 | 31:44 | 24 |
| აკადემია | 20 | 5 | 6 | 9 | 16:18 | 21 |
| თბილისი 2 | 20 | 4 | 4 | 12 | 21:41 | 16 |
| სამგორი | 20 | 3 | 2 | 15 | 20:53 | 11 |
| დურუჯი | 20 | 2 | 1 | 17 | 12:53 | 7 |

„დურუჯი“ მოხსნილია გათამაშებიდან

ბადრი კოთოლაშვილის ფოტოები



„ლოკომოტივის“ პრეზიდენტი აკაკი ჩხაიძე



„ლოკომოტივის“ ფეხბურთელები და მთავარი მწვრთნელი რევაზ ძოძუაშვილი



„ლოკომოტივს“ ბოშურიც უცეკვეს

# ლაიტმოტივი: ლოკომოტივი!

ᲬᲚᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ 26 მაისის გამოძახილი იყო გუშინ რკინიგზელთა კულტურის ცენტრში — ქართული და პეწიანი საღამო.

თბილისის „ლოკომოტივის“ წარმატება თურმე არც ქვეყნის პრეზიდენტს დაუტოვებია უყურადღებოდ და საქართველოს თასის მფლობელთათვის მილოცვაც გაუგზავნია, რომელიც საკონცერტო დარბაზში წაიკითხეს, სიტყვით გამოვიდა ტრიუმფატორთა მთავარი შემოქმედი რევაზ ძოძუაშვილია. შემდეგ კლუბის პრეზიდენტმა და რკინიგზელთა შეფმა ისაუბრა — აკაკი ჩხაიძემ აღნიშნა, რომ „ლოკომოტივს“ ახლა გარდამავალი პერიოდი უდგას. მომავალში ის კიდევ უფრო მოღონიერდება, სტრუქტურა დაიხვეწება, ევროტურნირებში სისტემატურად მიიღებს მონაწილეობას და — მომავალ სეზონში მხოლოდ დუბლისთვის იბრძოლებს.

გუნდის კაპიტანმა გიორგი ჩიხრაძემ ერთხელაც აღმართა სანუკვარი თასი და დადგა ჯერი მუზისა — კოტე მახარაძე ჩვეული მჭევრმეტყველებით, ფოლკლორი, თემურ წიკლაური და თემურ თათარაშვილი, სიცილის დედოფალი მზია კვირიკაშვილი, რევაზ ძოძუაშვილისადმი მიძღვნილი ლექსი ნორჩი დეკლამატორის შესრულებით, ბადრი ბეგალიშვილის იუმორესკა, ბოშური ცეკვა და „მხოლოდ შენ ერთს“... უშუალო, თბილმა სიმებმა დააკავშირა სცენა და დარბაზი. ლაიტმოტივი ეს იყო: საფეხბურთო კლუბი თბილისის „ლოკომოტივი“ საქართველოს თასის მფლობელია!



## გერმანია 3:2 ჩეხეთი

1:0 იანკერი (38), 1:1 კუკა (54), 2:1 ბირჰოფი (62პ), 2:2 ბერგერი (80), 3:2 ბირჰოფი (90)
გერმანია: კანი, ნოვოტნი (რემერი 78), რამელო, ლინკე, ბაბელი (დაისლერი 46), ჰამანი, ციგე, ჰესლერი (ვოში 57), შოლი (ბოდე 46), იანკერი (ბირჰოფი 57), პაულო რინკი
მწვრთნელი: ერიხ რიბეკი
ჩეხეთი: სრნიჩეკი, რეპკა, ფუკალი, რადა, გაბრიელი, პობორსკი (ლატალი 60), ნედვედი, ნემეცი (ბერგერი 79), ბეიბლი, შმიცერი (კუკა 50), კოლერი (ლოკვენცი 74)
მწვრთნელი: იოჟეფ ჰოვანეცი
მსაჯი: ალფრედო ტრენტალანჯე (იტალია)
30 000 მაყურებელი

გერმანელთა კაპიტანმა ოლივერ ბირჰოფმა ყოველგვარ ეჭვს ბოლო მოუღო: მისმა გუნდმა ჩეხეთისას 3:2 მოუგო და სამიდან ორი გოლი სწორედ ბოლო დროს გაკრიტიკებულმა მილანელმა გაიტანა. ამ ორიდან ერთი ბოლო წუთზე, გამარჯვებისა გახლდათ.

ამრიგად, ევრო 96-ის ფინალის გმირმა (მაშინაც, „უემბლიზე", გერმანია და ჩეხეთი თამაშობდნენ და გერმანელთა ორივე გოლი (2:1) ბირჰოფმა გაიტანა) ევროპის ჩემპიონთა გულის გასამაგრებელი გამარჯვება აჩუქა.

აღსანიშნავია, რომ ბირჰოფი მოედანზე თავიდანვე არ ყოფილა, 57-ე წუთზე შეცვლაზე შევიდა, მაგრამ ეს დრო მისთვის საკმარისი აღმოჩნდა. 62-ე წუთზე ზუსტად დარტყმული თერთმეტმეტრიანით მან 616 უგოლო წუთის დენა დაასრულა.

„უწინდელზე გაცილებით უკეთ ვითამაშეთ. ბურთს კარგად ვაკონტროლებდით და თითოეულმა ჩვენთაგანმა მაქსიმუმი გაიღო".

გერმანელთა თამაშს დიდი გამომგონებლობა ნახევარმცველებმა, მეჰმეთ შოლმა და თომას ჰესლერმა შემატეს და შეხვედრის დასაწყისშივე შექმნეს სახიფათო მომენტი: კარსტენ იანკერმა ლამაზი ყირამალა დარტყმით ბურთი ხარიხას ოდნავ ააცილა.

შემდეგ, 22-ე წუთზე, ბრაზილიური წარმოშობის პაულო რინკმა დასცხო საჯარიმო მოედნის კიდიდან, მაგრამ ინგლისური „შეფილდ უენსდის" გოლკიპერმა პაველ სრნიჩეკმა მოიგერია.

გამოხდა ხანი და 38-ე წუთზე იანკერმა იენს ნოვოტნისგან მიიღო საუცხოო პასი. კარისკენ ზურგით მდგომი შემოტრიალდა, მეურვეს, კარელ რადას ბურთი ფეხებს შორის გაუძვრინა და გოლი შეაგდო.

ჩეხებმა, რომლებიც ევრო 2000-ზე, შესარჩევში 10 მოგებით მოხვდნენ, შესვენებამდე ორი სახიფათო მომენტის შექმნა მოახერხეს. ერთი გახლდათ პაველ ნედვედის მიერ მეორე წუთზე დარტყმული ჯარიმა, მეორე კი 23-ე წუთზე იან კოლერის დაბალი ტრაექტორიით გაშვებული ბურთი, მაგრამ ორივე ეპიზოდს შეუვალმა ოლივერ კანმა აუღო ალღო.

ანგარიში 54-ე წუთზე გათანაბრდა, როდესაც კონტრშეტევა პაველ კუკას გოლით დასრულდა, თუმცა 8 წუთის შემდეგ ჩეხებმა თავიანთ საჯარიმოში მარკო ბოდე წააქციეს და ბირჰოფმა ზემოხსენებული პენალტი გაიტანა.

თამაშის დამთავრებამდე 10 წუთი რომ რჩებოდა, „ლივერპულში" მოთამაშე პატრიკ ბერგერმა საჯარიმო დარტყა და ბურთი რიკოშეტით გერმანელთა კარში შევარდა, მაგრამ ბოლოს ისევ ბირჰოფმა იყოჩაღა.

„გაირკვა, რომ სწორი გეზით მივდივართ" — აღნიშნა მატჩის დამთავრების შემდეგ გერმანიის ნაკრების მწვრთნელმა ერიხ რიბეკმა, რომელსაც ამ დღეს ორი დაშავებული ლიდერი, ლოთარ მათეუსი და იენს იერემისი აკლდა — „გარკვეული სამუშაო ჯერ კიდევ ჩასატარებელი გვაქვს, მაგრამ პრინციპში, ძალიან კმაყოფილი ვარ, ფეხბურთელებმა მთელი გულით ითამაშეს და დამსახურებულად გაიმარჯვეს".

ჩეხთაგან კი პაველ კუკამ გამოთქვა აზრი: „ჩვენ კიდევ უფრო მეტი თამაშობა გვმართებს. ძლიერი გუნდი გვყავს და შიში არაფრისა მაქვს".

## რუმინეთი 2:1 საბერძნეთი

1:0 ჩებოტარიუ (8), 2:0 პეტრე (78), 2:1 ლიბეროპულოსი (83)
რუმინეთი: ლობონტი (პრუნია 83), პეტრესკუ, ჩებოტარიუ (ბელოდედიჩი 82), ფილიპესკუ, გალკა (ჰილდანი 62), პოპესკუ, მუტუ (პეტრე 66), მუნტეანუ (ჩივუ 76), ილიე (როსუ 68), ლუპესკუ, განეა (მოლდოვანი 46)
მწვრთნელი: ემერიხ იენეი
საბერძნეთი: ელეფთეროპულოსი, მავროგენიდისი (ვენეტიდისი 83), გეორგატოსი, დაბიზასი (გუმასი 76), უზუნიდისი, პურსანიდისი (ბასინასი 67), გეორგიადისი, ამანატიდისი, ლიბეროპულოსი, ცარტასი (ნინიადისი 46), ნალიტისი (კიპარისისი 61)
მწვრთნელი: ვასილის დანიელი
მსაჯი: მარიან სალომირი (რუმინეთი)
13 000 მაყურებელი

რუმინეთმა კაპიტანი, გეორგე ჰაჯი დაასვენა და საბერძნეთს 2:1 ძლივს მოუგო — ევრო 2000-ის ფინალისტთა მოქმედებებში სიმტკიცე არ ჩანდა.

თამაშის შემდეგ გუნდის მწვრთნელმა, ემერიხ იენეიმ განაცხადა, 35 წლის ვარსკვლავი გადაღლილია და ამიტომაც არ იყო მოედანზეო.

რუმინელებს მოედანზე სამი თავდამსხმელი ჰყავდათ, მაგრამ ჰაჯის პასების გარეშე ისინი ფრთაშეკვეცილნი ჩანდნენ.

„ჰაჯი საკვანძო ფიგურაა" — თქვა იენეიმ — „ჩვენ ბევრი კარგი ფეხბურთელი გვყავს, მაგრამ მისებრ თამაში არავის შეუძლია. ბერძნებთან ფორვარდებმა დამაკმაყოფილეს, დაცვამ კი ვერ ივარგა".

## ამხანაგური მატჩები



REUTERS ობიექტივიდან

ნორვეგია — იტალია 1:0. ოლე გუნარ სოლსკიაერმა (№20) ფაბიო კანავარო დაჯაბნა

## ნორვეგია 1:0 იტალია

1:0 კარეუ (52)
ნორვეგია: მირე, ბერგდოლმო, ბრაგსტადი, მიუკლანდი, ფლო (რისეტი 79), სკამელსრუდი, ჰეგემი (ბიორნებიუ 67), ეგენი (ანდერსენი 60), კარეუ (რიისე 93), ე. ბაკე (სტრანდი 66), სოლსკიაერი
მწვრთნელი: ნილს იოჰან სემბი
იტალია: ბუფონი (ტოლდო 55), მალდინი, ალბერტინი, კანავარო, კონტე (ამბროზინი 27), ინძაგი, პესოტო, ნესტა (იულიანო 86), ძამბროტა, ფიორე (დელ პიერო 46), ტოტი
მწვრთნელი: დინო ძოფი
მსაჯი: გრემ ბარბერი (ინგლისი)
25 248 მაყურებელი

ნორვეგიამ და იტალიამ ევროპის ჩემპიონატის წინ ბოლო ამხანაგური შეხვედრა გამართეს. მატჩი ოსლოში გაიმართა და უკვე „ვალენსიას" ვარსკვლავის, 20 წლის იონ კარეუს გოლის წყალობით მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა.

მოგეხსენებათ კარეუ ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ესპანურ „ვალენსიაში" გადადის და ამიტომ მისი თამაშით ნორვეგიელთა და კონკურენტთა გარდა ჩემპიონთა თასის ფინალისტებიც იყვნენ დაინტერესებული. მათ დასაიმედებლად, ახალგაზრდა ფორვარდმა მცველის, ვეგარდ ჰეგემის მშვენიერ პასს ისეთი თავური შეაგება, რომ იტალიელთა მეკარეს, ჯანლუიჯი ბუფონს ევროპის ჩემპიონატზე თამაშის შანსი არ დაუტოვა. დიახ, ჯანლუიჯი ბუფონმა ამ ეპიზოდში სერიოზული ტრავმა მიიღო და ბელგია-ჰოლანდიაში ველარ მიდის. ორიოდ წუთში იგი აწ, ალბათ უკვე პირველმა მეკარემ, ფრანჩესკო ტოლდომ შეცვალა. მოგეხსენებათ, ბუფონისა და ტოლდოს შემდეგ იტალიის ნაკრების განაცხადში, მესამე მეკარედ „რომას" ფრანჩესკო ანტონიოლი იყო შეყვანილი. ახლა კიდევ ერთის გამოძახება გახდა საჭირო და დინო ძოფმაც „მილანის" გოლკიპერი კრისტიან აბიატი იხმო.

ამ ეპიზოდის გარდა ნორვეგიული ფეხბურთის ყველაზე ძვირმა ექსპორტმა „სკუადრა აძურას" მთელი თამაშის განმავლობაში გვარიანი პრობლემები შეუქმნა. თუნდაც ერთი ეპიზოდი გავიხსენოთ, როდესაც ანდრე ბერგდოლმოს ჩაწოდებული კუთხურის შემდეგ კარეუს მორიგი თავურით ბურთი ოდნავ გადაცდა ხარიხას.

8,5 მილიონ დოლარად შეფასებული თავდამსხმელის გოლით ნორვეგიელებმა, ასე თუ ისე, 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე იტალიელთაგან ასეთივე ანგარიშით დამარცხებისთვის იძიეს შური.

საგულისხმოა: ნორვეგია სამჯერ იყო მსოფლიოს ჩემპიონატზე, 1938, 1994 და 1998 წლებში და სამივეჯერ იქიდან „სკუადრა აძურამ" გამოაგდო.

იტალიელთა სისუსტეებს შორის კი, ოსლოს შეხვედრაში, ყველაზე თვალშისაცემი თავდამსხმელთა უსუსური თამაში გახლდათ. მათ ნორვეგიელთა დაცვას, ფაქტობრივად პრობლემა ვერ შეუქმნეს. აღსანიშნავია, რომ ამ რგოლში ჩრდილოეთელებს 1998 წლის შემდეგ ეროვნულ გუნდში პირველად დაბრუნებული დან ეგენი წაეშველათ.

ეგენი სწორედ ის მცველია, რომელსაც 98-ის მსოფლიოს ჩემპიონატზე იტალიასთან ზემოხსენებულ შეხვედრაში ერთადერთი გოლის გაშვებაში დასდეს ბრალი. მაშინ მან კრისტიან ვიერის ვერ შეუშალა ხელი.

„კარგად ვითამაშეთ. იტალიელებზე აშკარად ძლიერები ვიყავით, მომეწონა ჩემი ფეხბურთელების ორგანიზებულობა და ის, რომ მოწინააღმდეგეს ინიციატივის გამოჩენის საშუალება არ მივეცით" — განაცხადა მატჩის შემდეგ ნორვეგიელთა მწვრთნელმა ნილს იოჰან სემბმა.

სემბის ხელმძღვანელობით ნორვეგიამ სამად სამი თამაში წააგო და ბოლო ამხანაგურშიც ერთობ ყოჩაღად გამოიყურებოდა. მეტიც, ამბობენ, რომ გუნდს პერსპექტივაც აქვს. კერძოდ, იტალიასთან შეხვედრაში ცნობილმა ფორვარდმა ტორე ანდრე ფლომ, ფაქტობრივად ერთადერთხელ შექმნა ხიფათი მოწინააღმდეგის კართან — საფინალო სასტვენამდე 15 წუთით ადრე თავურით ოდნავ ააცილა მიზანს. მოსალოდნელია, რომ ევრო 2000-ის შეხვედრებში იგი გაცილებით ძლიერად ათამაშდება.

დავუბრუნდეთ იტალიას, სადაც კრისტიან ვიერის არყოფნის გამო დინო ძოფმა მოედანზე ფილიპო ინძაგისა და ფრანჩესკო ტოტის წყვილი მოსინჯა, მაგრამ, როგორ, ზემოთ მოგახსენეთ, იმ დღეს ნორვეგიის დაცვა შეუვალი აღმოჩნდა.

„თამაშით მეც კმაყოფილი ვარ. ერთადერთი სირთულე ნორვეგიელებმა ეგრეთწოდებულ მეორე სართულზე შეგვიქმნეს" — თქვა პრესკონფერენციაზე დინო ძოფმა და დასძინა, რომ ოსლოს შეხვედრამ კითხვას, ვინ ითამაშებს „სკუადრა აძურას" თავდასხმაში, პასუხი ვერ გასცა.

## მალტა 1:2 ინგლისი

0:1 კიოუნი (23), 1:1 რაიტი (29ს.კ.), 1:2 ჰესკი (75)
მალტა: ბერი (მუსკატი 90), დებონო (კამილერი 34), ჯ. ბუტიგეგი (ჩეტკუტი 55), საიდი (დიმეში 78), სპიტერი (ოკონკვო 78), კარაბოტი (ჩინატარი 90), ველა (ტეუმა 41), ტურნერი (ვესელი 87), კ. ბუზუტილი (ნვოკო 46), ბრინკატი (ჰოლანდი 83), აგიუსი (მალია 60)
ინგლისი: რაიტი, ფ. ნევილი, გ. ნევილი, კემპბელი, კიოუნი (საუთგეიტი 59), ბარმბი, უაიზი (ინსი 69), სქოულზი (მაკმანამანი 69), ბექემი (ბერი 80), ფილიპსი (ფაულერი 59), შირერი (ჰესკი 51)
მწვრთნელი: კევინ კიგანი
მსაჯი: სტეფანო ბრასკი (იტალია)
17 000 მაყურებელი

საოცარი რამ ჩაიდინა „იფსვიჩ თაუნისა" და ინგლისის ნაკრების მეკარე რიჩარდ რაიტმა გასულ კვირაში: ორშაბათს, პრემიერლიგაში გადასასვლელ ფინალში „ბარნსლისთან" გოლი თავის კარში გაიტანა, მაგრამ მერე პენალტი მოიგერია და ამით შეცდომა გამოასწორა. გავიდა ხუთიოდ დღე და კევინ კიგანმა რაიტს ნაკრების ბოლო საწვრთნელ მატჩში მალტასთან კარის დაცვა ანდო. რა გააკეთა რაიტმა? ისევ მოიგერია პენალტი და ავტოგოლის ავტორობაც კვლავ მიითვალა.

პირველი ეპიზოდი შაბათის მატჩის 29-ე წუთზე მოხდა. ამ დროისთვის ინგლისელები უკვე იგებდნენ — ბექემის ჩაწოდებულს მცველი მარტინ კიოუნი დახვდა საჭირო ადგილას. ჰოდა, ანგარიშის გახსნიდან ექვს წუთში სტუმართა კარში პირველი პენალტი დაინიშნა — უხეშად სწორედ რაიტმა ითამაშა. მალტელი კარაბოტის დარტყმული ბურთი მოხვდა ძელს, იქიდან ამ მიმოხილვის გმირს და ანგარიშიც გათანაბრდა.

„გვეგონა, უფრო იოლად მოვიგებდით" — თქვა მატჩი შემდეგ ალან შირერმა, რომელიც მეორე ტაიმის დაწყებისთანავე ემილ ჰესკიმ შეცვალა (სულ მეტოქეებმა 17 შეცვლა გააკეთეს). სწორედ „ლივერპულის" ზანგი ფორვარდის ზუსტმა დარტყმამ გაამარჯვებინა კიგანის გუნდს, თუმცა ეს მოგებაც თამაშის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე ეჭვქვეშ იდგა — რაიტის მორიგი უხეშობა, როცა ამის აუცილებლობა სულაც არ იყო, სტუმრებს მათ კარში დანიშნულ მეორე პენალტად დაუჯდათ. გმირ-ანტიგმირის მოლიპულ გზას შეგუებულმა იფსვიჩელმა იმავე კარაბოტის დარტყმას ამჯერად ფეხები შეაგება და ანგარიში უცვლელი დატოვა.

კევინ კიგანი მატჩის შემდეგ დაცვის ხაზის უკეთ დაბალანსებაზე ალაპარაკდა, თუმცა ერთობ აქო სოლ კემპბელი, ვინც ევროპის ჩემპიონატზე ტონი ადამსთან ერთად, ალბათ, ინგლისელთა დაცვის ცენტრს გაამაგრებს. მატჩის საუკეთესო მოთამაშედ კი ყველამ ნიკ ბარმბი აღიარა: „ერთი სული მაქვს, როდის დაიწყება ჩემპიონატი" — განაცხადა ვეტერანმა ევერტონელმა.

უფერული შედეგით გაწბილებული ხალხი კაპიტანმა, ალან შირერმა დააწყნარა: „გულშემატკივრები ამბობენ, რომ ასეთი თამაშით ევრო 2000-ზე არაფერი გვესაქმება და მართლებიც არიან. თუმცა გარწმუნებთ — სადაც საჭიროა, იქ გაცილებით უკეთ ვითამაშებთ. ასე რომ, გულს ნუ გაიტეხთ".

## ჰოლანდია 3:1 პოლონეთი

1:0 ფ. დე ბური (29), 1:1 კრიჟალოვიჩი (38), 2:1, 3:1 კლუივერტი (56, 61)
ჰოლანდია: ვან დერ სარი, რაიციგერი, სტამი, ფ. დე ბური, ვან ბრონკჰორსტი, ვინტერი (დავიდსი 46), კოკუ, ზეედორფი (ბოსველტი 77), კლუივერტი (ვან ჰოიდონკი 62), ბერხკამპი (რ. დე ბური 46), ზენდენი (ვან ფოსენი 46)
მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი
პოლონეთი: დუდეკი, კლოსი (ზიელინსკი 77), ბაკი, მიხალ ჟევლიაკოვი, ვალდოხი, მურავსკი (ზდებელი 67), სვიერჩევსკი, ივანი, კრიჟალოვიჩი (ფრანკოვსკი 82), მარტინ ჟევლიაკოვი (გილევიჩი 46), რზასა (კიელბოვიჩი 79)
მწვრთნელი: იანუშ ვოიჩიკი
6 000 მაყურებელი

## შვედეთი 1:1 ესპანეთი

0:1 გვარდიოლა (43პ), 1:1 ნილსონი (76პ)
შვედეთი: ჰედმანი, ნილსონი (გუსტაფსონი 90), პ. ანდერსონი, ბიორკლუნდი, სუნდგრენი (მელბერგი 46), ალექსანდერსონი (მილდი 68), დ. ანდერსონი, მიალბი, ლიუნგბერგი, კ. ანდერსონი (ლარსონი 66), პეტერსონი (ოსმანოვსკი 66)
მწვრთნელი: ტომი სოდერბერგი
ესპანეთი: მოლინა (კასილიასი 46), მიჩელ სალგადო, იერო (ელგერა 46), პაკო ხემესი, არანსაბალი, ეჩებერია (სერხი 46), გვარდიოლა, ვალერონი (ენგონგა 64), ფრანი (მენდიეტა 46), ალფონსო (ხერარდი 64), ურსაისი (მუნიტისი 46)
მწვრთნელი: ხოსე ანტონიო კამაჩო
მსაჯი: ფიორენცო ტრეოსი (იტალია)
35 215 მაყურებელი

## დანია 2:2 ბელგია

1:0 ტომასონი (37), 1:1 სტალენსი (53პ), 2:1 შმაიხელი (61პ), 2:2 ვილმოტსი (73)
დანია: შმაიხელი, ჰაინცე, ლაურსენი (შონბერგი 80), ჰენრიკსენი, კოლდინგი, ბისგაარდი (გოლდბეკი 80), სტენ ნილსენი (ტოფტინგი 34), ნილსენი, გრონკიაერი, ტომასონი (გრავესენი 46), სანდი (მოლნარი 46)
მწვრთნელი: ბო იოჰანსონი
ბელგია: დე ვილდე (დე ვლიგერი 28), დეფლანდრე (ვან კერკჰოვენი 46), ვალგაერენი, სტალენსი, ვანდერჰეიგი, ვილმოტსი, გოორი, ე. მპენზა (პეეტერსი 85), შტრუპარი (ნილისი 62), ვერპეინი (დე ბილდე 85), ლეონარი (ჰენდრიქსი 46)
მწვრთნელი: რობერ ვასეჟი
მსაჯი: ჰელმუტ კრუგი (გერმანია)
26 993 მაყურებელი

## სლოვენია 2:0 საუდითი

1:0 ზაჰოვიჩი (16), 2:0 აჩიმოვიჩი (46)
სლოვენია: დაბანოვიჩი (სიმეუნოვიჩი 46), გალიჩი (კნავსი 46), მილანიჩი, მილინოვიჩი, რუდონია (ოსტერცი 72), ნოვაკი (გაიზერი 75), პავლინი (პავლოვიჩი 57), ჩეპი, ზაჰოვიჩი, უდოვიჩი (აჩიმოვიჩი 46), სილიაკი (კარიჩი 46)
მწვრთნელი: სრეჩკო კატანეცი
საუდის არაბეთი: ალ ანტაიფი, ალ ჯაჰანი, სულეიმანი, ალ საქრი, ალ ოტაიბი (ალ ჯაბერი 62), ალ შელჰუბი (მ. ალ დოსარი 62), ხ. ალ დოსარი (ჰუსანი 75), ალ შაჰრანი (ალ ჯამბი 66), ჰასან ალ იამი (ალ მეშალი 62), ა. ალ დოსარი, ალ შეჰრი
მსაჯი: ედო ტრივკოვიჩი (ხორვატია)
10 000 მაყურებელი

## სამხრეთ ჩინეთი 4:2 იუგოსლავია

1:0, 2:0 გავრილოვიჩი (10, 25), 3:0 სიუ ჩუნგი (26), 3:1 კეჟმანი (65), 4:1 ვაი ტიკი (70), 4:2 მიხაილოვიჩი (90)
იუგოსლავია: კრალი, დუდიჩი, დ. სტანკოვიჩი, იუგოვიჩი, მიატოვიჩი (მიხაილოვიჩი 46), სტოიკოვიჩი, საველიჩი, დრულოვიჩი, კოვაჩევიჩი (კეჟმანი 46), ნადი (მილოშევიჩი 46), ბუნიევჩევიჩი
მწვრთნელი: ვუიადინ ბოშკოვი
20 000 მაყურებელი

## უნგრეთი 2:1 ისრაელი

1:0 ილეში (90), 2:0 ჰორვატი (51), 2:1 ბალილი (90)
უნგრეთი: კირალი, შებოკი, დრაგონერი, ჰრუტკა, ჩ. ფეჰერი (კორსოში 65), ჰამარი (სალამონი 90), ჰალმაი, ლენდვაი (ლისტეში 46), ილეში, ფ. ჰორვატი (პრეისინგერი 90), მ. ფეჰერი (ეგრეში 82)
მწვრთნელი: ბერტალან ბიჩკეი
ისრაელი: კოენი, იანივი, შელაჰი, ბენადო, კეისი, ტალქარი (ილანი 46), ტალასნიკოვი (დაიანი 80), ეიალი (ვალიდი 57), ბერკოვიჩი, ნიმნი, ტიკვა (ბალილი 80)
მწვრთნელი: რიქარდ მიოლერ-ნილსენი
მსაჯი: ჟელკო სირიჩი (ხორვატია)
5 000 მაყურებელი

## პორტუგალია 3:0 უელსი

1:0 ფიგუ (21), 2:0 სა პინტუ (44), 3:0 ნუნო კაპუჩო (66)
პორტუგალია: ვიტორ ბაია, დიმაში, ფერნანდო კოუტუ, ჟორჟე კოშტა, სეკრეტარიუ, პაულო ბენტუ, ვიდიგალი, რუი კოშტა, სა პინტუ, ჟოაო პინტუ, ფიგუ
მწვრთნელი: უმბერტო კოელიუ
უელსი: კროსლი, დილანი, პეიჯი, მელვილი, რობინსონი, ბარნარდი, ჯოუნსი, სპიდი, გ. რობერტსი, ბელამი, ი. რობერტსი
მწვრთნელი: მარკ ჰიუზი
მსაჯი: ფრანკ დე ბლეკერი (ბელგია)
20 000 მაყურებელი

## მოლდოვა 0:1 რუსეთი

0:1 ბუზნიკინი (13)
მოლდოვა: ხმარუკი, კოვალენკო, სოსნოვსკი, ტესტიმიცანუ, რებეჟა (პოპესკუ 68), ოსიპენკო (გაიდამაშჩუკი 53), კურტიანუ, ოპრია, შიშკინი (კატინსუსი 46), ეპურეანუ (როგაჩევი 79), კლეშჩენკო
რუსეთი: ნიგმატულინი, ხლესტოვი, ბულატოვი (ხოხლოვი 54), ნიჟეგოროდოვი, გუსევი, ბუშმანოვი, ონოპკო (დროზდოვი 59), ბესჩასტნიხი (სემაკი 54), ტიტოვი, ბუზნიკინი (პანოვი 51), ტიხონოვი (ლოსკოვი 76)
მწვრთნელი: ოლეგ რომანცევი
გაფრთხილება: დროზდოვი
გაძევება: დროზდოვი (78)
მსაჯი: აბრაჰამი (უნგრეთი)
16 000 მაყურებელი

## ნიგერია 3:2 მალავი

1:0 შაიბუ (22პ), 2:0 გასპერი (36), 3:0 ისაჰი (46), 3:1, 3:2 ჩიტსულო (64, 90)
20 000 მაყურებელი

## ესტონეთი 2:0 ბელარუსი

1:0, 2:0 ოპერი (4, 82)
550 მაყურებელი

# უფერული და უსენსაციო

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი

## სამხრეთ ამერიკა

III ტური

### არგენტინა 1:0 ბოლივია

1:0 გუსტავო ლოპესი (82)
არგენტინა: ბონანო, სენსინი, რ. აიალა, სამუელი, ძანეტი (გუსტავო ლოპესი 71), სიმეონე, კილი გონსალესი, ვერონი, ორტეგა (აიმარი 81), ბატისტუტა, კლაუდიო ლოპესი (ალმეიდა 85)
მწვრთნელი: მარსელო ბიელსა
ბოლივია: ფერნანდესი, კარვალიო, პენა, სანდი, რიბერა, კრისტალდო, კასტილიო, ბოტერო (კოიმბრა 81), ბალდივიესო, ეჩევერი (გალინდო 77), სუარესი (გარსია 65)
მწვრთნელი: ანტონიო პერეირა
მსაჯი: მარსიო რესენდე (ბრაზილია)
გაძევება: კარვალიო
60 000 მაყურებელი

შეხვედრის 82-ე წუთზე არგენტინელებმა ბოლივიელთა კართან კუთხური ჩააწოდეს. მცველთა მოგერიებული ბურთი საჯარიმო მოედნის გარეთ მყოფ შეცვლაზე შესულ გუსტავო ლოპესს მოუვიდა. მისი დარტყმული კი კარის ბადეში გაეხვია. ეს ერთადერთი შემთხვევა იყო, როდესაც ბოლივიელებმა თავის დაცვა ვერ შეძლეს, იქამდე კი...

მატჩი მეტად უცნაურად წარიმართა. არგენტინელები უდავო ფავორიტებად ითვლებოდნენ, ბოლივიელები — უდავო აუტსაიდერებად. მასპინძლებს ჯერ ქულა არ დაეკარგათ, სტუმრებს ერთი თამაშიც ვერ მოეგოთ. ამას მეორე ტაიმში ბოლივიელი მცველის, მარსელო კარვალიოს გაძევებაც დაემატა და მატჩის სანახავად მისული ხალხი სტუმართა სრულ განადგურებას ელოდა, მით უმეტეს, არგენტინელებს აქამდე შეხვედრაში ოთხ ბურთზე ნაკლები არ გაჰქონდათ. მაგრამ გოლი, რომელიც ზემოთ აღვწერეთ, ერთდერთი გამოდგა და ბოლივიელებს ბოლო წუთებზე ისევე თავგანწირვით რომ ეთამაშათ, როგორც მანამდე, ესეც არ გავიდოდა. სტუმართა მონდომების გარდა, მინიმალური ანგარიში გაბრიელ ბატისტუტას, კლაუდიო ლოპესისა და ხუან სებასტიან ვერონის უნიათო გარჯამ განაპირობა — მათ მხოლოდ თითო ხეირიანი მომენტი შექმნეს.

ისე, ბოლივიელებსაც შეეძლოთ გოლის გატანა. ჯერ იყო და არგენტინელთა მეკარე რობერტო ბონანომ როხერ სუარესის შეტევის ჩასაშლელად საჯარიმოს გარეთ გასვლა და თავდამსხმელის წაქცევაც არ იუკადრისა. ამ ეპიზოდში ბონანომ გაფრთხილება მიიღო. მეორე შემთხვევაში კი ის უძლური გახლდათ — იმავე სუარესის დარტყმულს ბონანომ მხოლოდ თვალი გააყოლა, მაგრამ სუარესს სიზუსტე ოდნავ დააკლდა.

ამრიგად, არგენტინის ნაკრებმა ნაკლებშთამბეჭდავად, მაგრამ საქმე მაინც გააკეთა — მორიგი სამი ქულა და გათამაშების ცხრილში კვლავაც პირველი ადგილი.

### პერუ 0:1 ბრაზილია

0:1 ძაგო (35)
პერუ: მირანდა, ხორხე სოტო, პაულო, ოლივარესი, რებოსიო, პალასიოსი, დე სოლარი, ხაიო (სერანო 50), ზუნიგა, ჰოლსენი (სიურლისა 46), ჰუამანი (მალდონადო 46)
მწვრთნელი: ფრანსისკო მატურანა
ბრაზილია: დიდა, კაფუ, ძაგო, ალდაირი, რობერტო კარლოსი, სეზარ სამპაიო, ემერსონი, ალექსი (დენილსონი 65), რივალდო (ვამპეტა 46), ფრანკა (ზე რობერტო 75), ედმუნდო
მწვრთნელი: ვანდერლეი ლუქსემბურგო
მსაჯი: დანიელ ხიმენესი (არგენტინა)
გაძევება: ედმუნდო (89)
45 000 მაყურებელი

პერუში ნასტუმრევ ბრაზილიელთა მწვრთნელ ვანდერლეი ლუქსემბურგოს ქომაგები აკრიტიკებდნენ. მიზეზი მისი გადაწყვეტილება გახდა — მინდორზე გრემიოელი რონალდინიოს ნაცვლად ედმუნდო გაეყვანა, ვინძლო თავი გამოიჩინოსო. გამოიჩინა კიდეც, ოღონდ არა ისე, მწვრთნელს რომ სურდა. 89-ე წუთზე ვარსკვლავყოფილმა, ვისაც ნაკრებში ბოლო ორი წელია, არ უთამაშია, მეტოქეს ორივე ფეხი ჩააზილა და მსაჯისგან წითელი ბარათი დაიმსახურა. კიდევ კარგი, ამ გაძევებამ საბოლოო ანგარიშზე ვერ იმოქმედა, თორემ ლუქსემბურგო ხალხის რისხვას ვერ გადაურჩებოდა.

არგენტინელთა მსგავსად, ბრაზილიელებმაც მინიმალური ანგარიშით მოიგეს. ეს გოლი რომაელმა მცველმა ძაგომ გაიტანა. მან გრძელი პასი მიიღო, მასპინძელთა მეკარე მიგელ მირანდასთან პირისპირ დარჩენილმა ეს უკანასკნელიც მოატყუა და სანამ პერუელები ხელებაწეულნი იდგნენ, თამაშგარეაო, გოლიც გავიდა. მსაჯმა აქ წესების დარღვევა ვერ შენიშნა და ამჯერად გოლი ჩათვალა. ამჯერად, რადგან შვიდი წუთით ადრე ფრანკას გატანილი ამ მიზეზით გაუქმდა.





არგენტინა — ბოლივია 1:0. არგენტინელთა შეტევა ამჯერად უგოლოდ დამთავრდა

45 ათასი ერთგული ქომაგისგან გამხნევებულ პერუელებს მცდელობა არ დაუკლიათ, მაგრამ ხან მეკარე დიდა ყოჩაღობდა, ხანაც დარტყმას მცირედი სიზუსტე აკლდა. ბრაზილიელთაგან კი ედმუნდომ, სანამ გააძევებდნენ, ბურთი ძელს გაარტყა.

ბრაზილიამ მოიგო, თუმცა გულშემატკივრები თამაშის ხარისხით უკმაყოფილონი დარჩნენ. ამიტომაც განაცხადა მატჩის შემდეგ ვანდერლეი ლუქსემბურგომ: „ხალხს ვერ მოვატყუებთ. შესარჩევ ეტაპზე რაიმე განსაკუთრებულს არ უნდა ველოდეთ. ჩვენი მიზანი მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლაა. დანარჩენ შეხვედრებშიც ასეთი ძალით ვითამაშებთ, რაც მიზნის მისაღწევად საკმარისია".

### კოლუმბია 3:0 ვენესუელა

1:0 ვივეროსი (27), 2:0 ი. კორდობა (42პ), 3:0 ვალენსიანო (88)
კოლუმბია: ო. კორდობა, მარტინესი, ი. კორდობა, ორტეგონი, ბედოია, რინკონი, ბოლანო, ოვიედო (კანდელო 70), ვივეროსი (დინასი 77), პაბლო ანხელი, კასტილიო (ვალენსიანო 81)
მწვრთნელი: ლუის აუგუსტო გარსია
ვენესუელა: დუდამელი, ფილოსა, გონსალესი, ალვარადო, ეჩენაუსი, არანგო, ვერა (ფარიასი 55), მეა, ბიდოლიო (დე ორნელასი 67), კასტელინი (სავარესე 52), მორანი
მწვრთნელი: ხოსე ომარ პასტორისა
მსაჯი: ოსკარ გოდოი (ბრაზილია)
22 000 მაყურებელი

კოლუმბიელებმა ტრადიცია არ დაარღვიეს — ვენესუელელებს აქამდე არავინ გაატანინა და მათაც იგივე გააკეთეს. თუმცა, შეიძლებოდა ყველაფერი სხვაგვარად მომხდარიყო — 26-ე წუთზე რუბერტ მორანის შეტევა მეტად სახიფათო იყო. მერე ყველაფერი დალაგდა. ალექს ვივეროსის შორეულ ყუმბარისებურ დარტყმულს მასპინძელთა პირველი გოლი მოჰყვა, ხოლო ტაიმის მიწურულს ხაირო კასტილიოს წაქცევისთვის დანიშნულ პენალტს — ინტერელი ივან რამირო კორდობას მეორე.

შესვენებიდან მობრუნებულ კოლუმბიელებს რამდენიმე ისეთი მომენტი ჰქონდათ, ასპროცენტიანს რომ უწოდებენ, მაგრამ მესამე გოლამდე კარგა ხანს ლოდინი მოუხდათ. მხოლოდ მატჩის ბოლოს იხეირა შეცვლაზე შესულმა რენე ვალენსიანომ.

ვენესუელის ნაკრები გათამაშების ცხრილის ფსკერზე უიმედოდაა ჩაძირული, თუმცა მის წარმატებას არც არავინ ელოდა. კოლუმბიელებმა კი ორი ფრის მერე პირველი გამარჯვება იზეიმეს და მეხუთე ადგილზე აინაცვლეს.

### პარაგვაი 3:1 ეკვადორი

1:0 ტოლედო (11), 2:0, 3:0 ბრისუელა (43, 64), 3:1 გრაციანი (87)
პარაგვაი: ჩილავერტი, კანისა, გამარა, ს. აიალა, ტოლედო, პარედესი, სტრუვაი (ენკისო 82), კინტანა, ტორო აკუნია, ბრისუელა (გონსალესი 71), ბაესი (ბენიტესი 66), მარკარინი
მწვრთნელი: სერხიო მარქარიანი
ეკვადორი: სებალიოსი, დე ლა კრუზი, პოროსო (კავიედესი 66), მონტანო, კაპურო, ბლანდონი, ი. ურტადო, ტენორიო (კალა 46), აგინაგა, ხუარესი, დელგადო (გრაციანი 61)
მწვრთნელი: ერნან გომესი
მსაჯი: გუსტავო გალესიო (ურუგვაი)
22 000 მაყურებელი

კოლუმბიელთა დარად, მესამე ტურში პარაგვაელებმაც იოლად მოიგეს. რა გასაკვირია, მათი მეტოქე ეკვადორელთა უსუსური გუნდი იყო.

პირველი გოლი მე-11 წუთზე გავიდა და სტანდარტული სიტუაციის გამოყენებას მოჰყვა — კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს დელიო ტოლედომ თავი დაუხვედრა. მასპინძელთა ორი დანარჩენი გოლის ავტორი კი უგო ბრისუელა გახდა. ერთ შემთხვევაში მან რიჩარტ ბაესის წამოწყებული კომბინაცია ზუსტად დაასრულა, ხოლო შესვენების მერე შორეული და უძლიერესი დარტყმით ანგარიში 3:0 გახადა. უნდა ითქვას, რომ ბრისუელა ნაკრებში სრულიად შემთხვევით მოხვდა. საქმე ის გახლავთ, რომ მწვრთნელს თავდასხმაში ბაიერნელი როკე სანტა კრუზის გამწესება სურდა, რასაც ამ უკანასკნელის ტრავმამ შეუშალა ხელი. ჰოდა, გამოვიდა ბრისუელა და ორი გოლით ტურნირის სხვა ბომბარდირებს, ხუან ვერონს, არიელ ორტეგას, რივალდოს, ალექს აგინაგას და იგივე ძაგოს შეუერთდა.

სტუმრებმა შეხვედრის მიწურულს ერთი ბურთის გატანაღა მოახერხეს, რაც უკვე არაფერს წყვეტდა.

### ურუგვაი 2:1 ჩილე

1:0 დარიო სილვა (34), 1:1 სამორანო (37პ), 2:1 მონტერო (42)
ურუგვაი: კარინი, მენდესი, ლემბო, მონტერო, როდრიგესი, პაბლო გარსია, გუიგო, ონილი, ოლივერა, რეკობა (ჯაკომაცი 89), დარიო სილვა (ალონსო 81)
მწვრთნელი: დანიელ პასარელა
ჩილე: ტაპია, როხასი, ვარგასი, რეიესი, ოლარა (როზენტალი 68), გალდამესი, ესტაი (ნუნესი 87), ვილასეკა, ტელო, სამორანო, სალასი
მწვრთნელი: ნელსონ აკოსტა
მსაჯი: რობერტ ტრომპლერი (პარაგვაი)
60 000 მაყურებელი

მონტევიდეოში სტადიონზე შეკრებილმა 60 ათასმა გულშემატკივარმა პირველი ტაიმის რვაწუთიან მონაკვეთში სამი გოლი იხილა და მათდა საბედნიეროდ, ორი — სტუმართა კარში.

34-ე წუთზე დარიო სილვამ ჩილელებს ცაციათი გაუტანა. თუმცა მისი სიხარული სამიოდ წუთში მწუხარებამ შეცვალა. სილვამ თავის საჯარიმოში ხელით ითამაშა, რისთვისაც მსაჯმა პენალტი დანიშნა. ბურთთან ივან სამორანო მივიდა და ზუსტად დაარტყა. როგორც ვთქვით, მესამე გოლმაც არ დააყოვნა. ჩილელებმა თავიანთი კარის სიახლოვეს ბურთი დაკარგეს. ამით პაოლო მონტერომ ისარგებლა და ურუგვაის ნაკრებს მეორე გამარჯვება მოუტანა.

ჩილელებს კი რა? ჯერჯერობით ბევრი არაფერი. სამ მატჩში ერთადერთი ქულა — სულ ესაა სამორანოსა და სალასის გუნდის მონაგარი. ჩილე, რომელმაც ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატზე დიდი სიმპათია დაიმსახურა, ორი წლის შემდეგ, შესაძლოა ამ ტურნირს მიღმა დარჩეს.

გიორგი დარჯანია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 3 | 3 | 0 | 0 | 9:1 | 9 |
| ბრაზილია | 3 | 2 | 1 | 0 | 4:2 | 7 |
| პარაგვაი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| ურუგვაი | 3 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 6 |
| კოლუმბია | 3 | 1 | 2 | 0 | 4:1 | 5 |
| პერუ | 3 | 1 | 1 | 1 | 3:2 | 4 |
| ეკვადორი | 3 | 1 | 0 | 2 | 5:6 | 3 |
| ბოლივია | 3 | 0 | 1 | 2 | 1:3 | 1 |
| ჩილე | 3 | 0 | 1 | 2 | 3:7 | 1 |
| ვენესუელა | 3 | 0 | 0 | 3 | 0:9 | 0 |

## უკრაინა

27-ე ტური: კარპატი — დინამო 2:3; მეტალისტი — ჩორნომორეცი 1:1; ცსკა — მეტალურგი 1:0; ნივა — ზირკა 3:0; მარიუპოლი — ტავრია 0:0; პრიკარპატიე — დნიპრო 0:0; შახტარი — კრივბასი 3:1; ზაპოროჟიე — ვორსკლა 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 26 | 23 | 3 | 0 | 72:17 | 72 |
| შახტარი | 27 | 18 | 3 | 6 | 50:13 | 57 |
| კრივბასი | 26 | 16 | 6 | 4 | 49:25 | 54 |
| ვორსკლა | 27 | 13 | 7 | 7 | 46:29 | 46 |
| მეტალისტი | 27 | 11 | 7 | 9 | 38:33 | 40 |
| ზაპოროჟიე | 26 | 10 | 8 | 8 | 35:29 | 38 |
| მეტალურგი | 27 | 9 | 10 | 8 | 31:28 | 37 |
| კარპატი | 27 | 11 | 3 | 13 | 35:34 | 36 |
| ცსკა | 27 | 9 | 8 | 10 | 29:29 | 35 |
| მარიუპოლი | 27 | 9 | 4 | 14 | 35:42 | 31 |
| დნიპრო | 27 | 7 | 9 | 11 | 21:42 | 30 |
| ტავრია | 27 | 6 | 9 | 12 | 29:43 | 27 |
| პრიკარპატიე | 26 | 6 | 8 | 12 | 21:36 | 26 |
| ნივა | 27 | 5 | 10 | 12 | 34:53 | 25 |
| ჩორნომორეცი | 27 | 5 | 8 | 14 | 14:43 | 23 |
| ზირკა | 27 | 0 | 9 | 18 | 11:54 | 9 |

## საბერძნეთი

პლეი ოფი. I მატჩი

ირაკლისი 2:0 არისი

1:0 ძებაძე (26), 2:0 დება (50)

*საპასუხო მატჩი გაიმართება 11 ივნისს*

## შვეიცარია

13-ე ტური: გრასჰოპერი — ბაზელი 3:0; ლოზანა — სენტ გალენი 1:3; ლუცერნი — ივერდონი 2:1; სერვეტი — ქსამაქსი 3:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სენტ გალენი | 13 | 9 | 3 | 1 | 32:13 | 53 |
| ლოზანა | 13 | 7 | 2 | 4 | 19:13 | 41 |
| ბაზელი | 13 | 5 | 6 | 2 | 16:13 | 40 |
| გრასჰოპერი | 13 | 5 | 4 | 4 | 29:25 | 36 |
| ლუცერნი | 13 | 5 | 2 | 6 | 16:27 | 31 |
| სერვეტი | 13 | 3 | 5 | 5 | 22:20 | 28 |
| ქსამაქსი | 13 | 3 | 3 | 7 | 22:28 | 26 |
| ივერდონი | 13 | 2 | 1 | 10 | 15:32 | 22 |

## ჰოლანდია

პლეი ოფი. VI ტური

A ჯგუფი

ემენი — ჰერაკლესი 2:1; გრონინგენი — მაასტრიხტი 1:1

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრონინგენი | 6 | 5 | 1 | 0 | 19:6 | 16 |
| ემენი | 6 | 2 | 2 | 2 | 8:10 | 8 |
| მაასტრიხტი | 6 | 1 | 2 | 3 | 10:14 | 5 |
| ჰერაკლესი | 6 | 1 | 1 | 4 | 10:17 | 4 |

*ახალი სეზონიდან „გრონინგენი" I დივიზიონში ითამაშებს*

B ჯგუფი

ექსელსიორი — როოსენდალი 2:4; ცვოლე — კამბური 5:0

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| როოსენდალი | 6 | 3 | 2 | 1 | 10:7 | 11 |
| ცვოლე | 6 | 3 | 1 | 2 | 14:7 | 10 |
| ექსელსიორი | 6 | 2 | 1 | 3 | 11:14 | 7 |
| კამბური | 6 | 1 | 2 | 3 | 6:13 | 5 |

*ახალი სეზონიდან „როოსენდალი" I დივიზიონში ითამაშებს*

## ანდორა

თასის ფინალი

ენკამპი 0:6 *კონსტელაციო*

0:1 ბარა (8), 0:2 ბარდინა (13), 0:3 ალვარესი (45), 0:4 სივერა (68), 0:5 ხუნკერა (86პ), 0:6 სანჩესი (89)
1 000 მაყურებელი

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი

## კონკაკაფი

კუბა 0:1 კანადა

0:1 დე ვოსი (42)
6 000 მაყურებელი

ჰონდურასი 4:0 ჰაიტი

1:0 ნუნესი (31), 2:0 ფ. პავონი (40), 3:0 კ. პავონი (76), 4:0 კაბალიერო (88)
21 000 მაყურებელი

# სარეკორდო ტრანსფერი პრემიერლიგაში

## ჰასელბაინკი ჩელსელია

ლონდონის „ჩელსიმ" ოფიციალურად დაადასტურა, რომ „ატლეტიკოდან" ჰოლანდიელი ფორვარდი ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი შეიძინა და მადრიდულ კლუბს მის სანაცვლოდ 15 მილიონი გირვანქა (22,5 მილიონი დოლარი) გადაუხადა. ეს ბრიტანეთში არაინგლისელი ფეხბურთელის სატრანსფერო რეკორდია, მანამდე ყველაზე ძვირადღირებული, ინგლისელი ალან შირერი გახლდათ, რომელიც 1996 წელს „ბლექბერნიდან" „ნიუკასლ იუნაიტედში" გადავიდა.

ჰასელბაინკმა ლონდონურ კლუბთან 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. მან განაცხადა: „მოხარული ვარ, რომ ლონდონში გადავედი. რამდენიმე ძლიერი კლუბი მიწვევდა, მაგრამ საბოლოოდ „ჩელსი" ვარჩიე. მომავალ სეზონის დაწყებას მოუთმენლად ველი. ინგლისში ადრეც მითამაშია და პრემიერლიგით კმაყოფილი ვარ. ვიმედოვნებ, მომავალ სეზონში ჩემს შესაძლებლობებს სრულად გამოვავლენ."

„ჩელსის" დირექტორმა კოლინ ჰაჩისონმა, რომელიც არდადეგებიდან ცოტა ხნის წინ დაბრუნდა, განაცხადა: „პრესა წერს, რომ ჩვენ ბევრ ფეხბურთელს ვყიდულობთ და მომავალი სეზონისთვის ახალი გუნდის შექმნას ვაპირებთ, მაგრამ ეს არ არის მართალი. შესაძლოა, რამდენიმე ახალი მოთამაშე მართლაც შევიძინოთ, მაგრამ გუნდის ძირითადი ბირთვი თითქმის უცვლელი დარჩება."

ჰასელბაინკთან დაკავშირებით ინგლისში ერთი საინტერესო ცნობაც გავრცელდა: თითქოს ჰოლანდიელის შეძენას „ჩელსი" ჯერ კიდევ წინა სეზონში აპირებდა, მაშინ ჰასელბაინკი „ლიდსში" ასპარეზობდა, მაგრამ „ლიდსმა" შეგნებულად ჩაშალა შეთანხმება.

ჰასელბაინკი ამბობს: — შარშან, როცა „ლიდსს" ვტოვებდი, „ჩელსიდან" შემეხმიანენ, ლონდონში გადასვლა დავაპირე, მაგრამ გუნდის ხელმძღვანელობამ არ გამიშვა, ამიტომ მადრიდის „ატლეტიკოში" გადაბარგებამ მომიწია.

„ჩელსის" დირექტორ ჰაჩისონი ადასტურებს: — ჰასელბაინკის შეძენა ერთი წლის წინაც გვსურდა, მაშინ ფორვარდი „ლიდსში" ასპარეზობდა. მიხარია, რომ მიზანს ახლა მაინც მივაღწიეთ.

გავრცელებულ მოსაზრებას ლიდსელები მალევე გამოეხმაურნენ — ფეხბურთელის ინგლისში ტრანსფერი შეგნებულად არასდროს ჩაგვიშლია, „ჩელსიდან" მაშინ არავინ შეგვხმიანებია.

„ჩელსისა" და „ლიდსს" შორის რატომღაც გაუგებრობაა. მაგრამ ახლა მთავარი მაინც ისაა, რომ ჰასელბაინკი უკვე ჩელსელია, ხოლო პრემიერლიგაში ახალი სატრანსფერო რეკორდი დამყარდა.

ჯანლუკა ვიალის ასისტენტი რეი უილკინსი აცხადებს: „ჰასელბაინკის დონის ფეხბურთელის შეძენა ნამდვილად სასიამოვნოა, ჯიმი ჭეშმარიტი ბომბარდირია. „ატლეტიკო" პრიმერადივიზიონიდან გავარდა, მან კი 24 გოლი გაიტანა. ეს ყველაფერი მის სიძლიერეზე მეტყველებს.

ქირავდება

ერთოთახიანი, იზოლირებული, კეთილმოწყობილი ბინა ქავთარაძის ქუჩაზე



☎ 93 15 72

# იტალია ჩემპიონია

## ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი

### ფინალი

**იტალია 2:1 ჩეხეთი**

1:0 პირლო (42პ), 1:1 ტ. დოშეკი (51), 2:1 პირლო (81)

იტალია: აბიატი, გრანდონი, ძანკი, გატუზო, კომანდინი (ვენტოლა 73), ბარონიო, პირლო, კოკო, ჩირილო, ძანეტი (ფირმანი 85), სპინეზი (ვანუკი 90)

მწვრთნელი: მარკო ტარდელი

ჩეხეთი: ჩვალოვსკი, ლ. დოშეკი, პეტროუსი, ლენგიელი, ტაისი, სიონკო (ბაროში 61), იუფალუსი, ტ. დოშეკი, იაროლიმი (გრიგერა 65), პაინცი (პოლაკი 80), დროზნი

მწვრთნელი: კარელ ბრუკნერი

გაფრთხილება: ტაისი, გრანდონი, გატუზო

გაძევება: კოკო (90)

მსაჯი: კარლ-ერიკ ნილსონი (შვედეთი)

9 170 მაყურებელი

### მატჩი მესამე ადგილისთვის

**ესპანეთი 1:0 სლოვაკეთი**

1:0 იორდი (58)

ესპანეთი: არანსუბია, ლაკრუსი, კაპდევილა, ამაია, მარჩენა, გაბრი, ხოსე მარი (ველამასანი 87), ხავი, პუიოლი, ტამუდო (იორდი 46), ლუკე მარტოსი (ივან ანია 46)

მწვრთნელი: ხოსე იგნასიო საესი

სლოვაკეთი: ჩენტოფალსკი, გრეშკო, გლინკა, ლერანტი, კისელი, ნემეტი, ზინეგი (სედლაკი 71), ბაბნიჩი (პრნჩარი 67), ბარჩიკი (მინტალი 82), ჩისოვსკი, ბარტალსკი

მწვრთნელი: დუშან რადოლსკი

გაფრთხილება: ხოსე მარი, ხავი, ჩენტოფალსკი, პუიოლი

გაძევება: გრეშკო (64)

მსაჯი: ლესლი ირვინი (ირლანდია)

9 120 მაყურებელი



იტალიელთა თავკაცი მარკო ტარდელი




მატჩის უდავო გმირი ანდრეა პირლო, ხოლო მისი დუბლი ტიტულის მომტანი აღმოჩნდა... იტალია ევროპის 21-წლამდელთა ნაკრებების ჩემპიონია. „სკუადრა აძურამ“ კვირას ფინალში ჩეხეთი 2:1 დაამარცხა და საპატიო ჯილდოს დაეუფლა. იტალიელებმა ბრატისლავას სტადიონზე შეკრებილი 9 170 მაყურებლის თვალწინ ლამაზი და გააზრებული ფეხბურთი ითამაშეს და დამსახურებულად გაიმარჯვეს. მათი მეტოქე ჩეხები ძალიან ცდილობდნენ, მაგრამ აპენინელებს ვერაფერი მოუხერხეს.

იტალიელებმა ჩეხთა კარს მატჩის დებიუტშივე შეუტიეს. ჯონათან სპინეზიმ, რომელმაც ძირითად შემადგენლობაში ნიკოლა ვენტოლას ნაცვლად იასპარეზა, რეალური საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა. მალე ჩეხებიც მოეგნენ გონს და რამდენჯერმე წამოიწყეს სახიფათო იერიში. ზოგიერთ ეპიზოდში მეკარე კრისტიან აბიატის ოსტატობის გამოვლენა მოუხდა. აღსანიშნავია, რომ „მილანის“ გოლკიპერი მალე ევროპის ჩემპიონატზეც იასპარეზებს, დინო ძოფმა კრისტიან აბიატი ტრავმირებული ჯანლუიჯი ბუფონის ნაცვლად იტალიის მთავარ ნაკრებში მიიწვია.

ძლიერად ითამაშა იტალიელმა რობერტო ბარონიომ, იგი ერთობ აქტიურობდა და ჩეხთა კართან არაერთი მომენტი შექმნა. ბარონიო მომავალი სეზონიდან კვლავაც „ლაციოს“ დაუბრუნდება. იგი „რეჯინაში“ განათხოვრებით თამაშობდა.

უპირატესობის მიუხედავად, „სკუადრა აძურამ“ პირველი გოლის გატანა მხოლოდ შესვენებამდე სამი წუთით ადრე მოახერხა. ჯანი კომანდინიმ სამი ჩეხი მცველი ჩამოიშორა ეფექტურად, და მეტოქის საჯარიმოში შეიჭრა. რომან ტაისმა მას ვერაფერი მოუხერხა და წააქცია. შვედმა არბიტრმა კარლ-ერიკ ნილსონმა უმალ თერთმეტმეტრიანის ნიშნულისკენ მიუთითა. ანდრეა პირლომ პენალტი ზუსტად დაარტყა.

მეორე ტაიმი ჩეხებმა აქტიურად დაიწყეს. ისინი უბრძოლველად დანებებას სულაც არ აპირებდნენ, 51-ე წუთზე მარეკ პეტროუსისა და ტომაშ დოშეკის კომბინაცია ამ უკანასკნელის გოლით დარსულდა.

ანგარიშის გათანაბრებამ ჩეხებს ფრთები შეასხა. მათ იტალიელებზე ზეწოლა გააძლიერეს, მაგრამ აპენინელთა დაცვა საიმედოდ თამაშობდა. დარჩენილი წუთები მათ თითქმის უშეცდომოდ ჩაატარეს და გოლი აღარ გაუშვეს. აღსანიშნავია მარკო ძანკის ოსტატობა, რომელიც „სკუადრა აძურას“ დაცვის ხაზს ჩინებულად წარუძღვა.

შეხვედრის დასრულებამდე 9 წუთით ადრე ისევ ანდრეა პირლომ გამოიჩინა თავი — დაახლოებით 25 მეტრიდან ჯარიმა ზუსტად დაარტყა, თავად დუბლი შეასრულა, გუნდს კი ჩემპიონობა მოაპოვებინა, შეხვედრის გმირადაც სწორედ პირლო დაასახელეს.

90-ე წუთზე იტალიელმა ფრანჩესკო კოკომ წითელი ბარათი მიიღო და მოედანი ნაადრევად დატოვა, მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა.

მესამე ადგილისთვის მატჩში ესპანეთი და სლოვაკეთი შეხვდნენ ერთმანეთს. ეს თამაში ფინალამდე რამდენიმე საათით ადრე ჩატარდა. ესპანელებმა მასპინძელი სლოვაკები 1:0 დაამარცხეს და ეს ერთადერთი გოლი 58-ე წუთზე ფერონ ფორდე იორდიმ გაიტანა. ადრეც გაუწყეთ, რომ ოთხეული — იტალია, ჩეხეთი, ესპანეთი და სლოვაკეთი რომელთაც შესაბამისად პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე ადგილები დაიკავეს, სიდნეიში გაემგზავრებიან და მომავალ ოლიმპიურ თამაშებზე იასპარეზებენ.

**ნიკა ზუბლაძე**



იტალია — ჩეხეთი 2:1. ჩეხი ადამ პეტროუსისა და იტალიელი ჯონათან სპინეზის (№20) ჭიდილი


სიახლე!

პირველად საქართველოში!

რადიო „ევრიკა“ გთავაზობთ პროექტს „ევრო 2000“

RADIO EVRIKA 100.3 FM

გადაცემაში „ევრო 2000“ თქვენ თამაშების წინ მოისმენთ:

- ცოტაოდენი რამ ევროპის ჩემპიონატის ისტორიიდან
- ინფორმაცია ფეხბურთელთა პირადი ცხოვრებიდან
- კურიოზები და ანეკდოტები ფეხბურთზე
- სტატისტიკური ცნობები ევროპის ჩემპიონატის შესახებ
- გასული თამაშის მიმოხილვა
- საუბარი იმ გუნდების შესახებ, რომელთა თამაშიც არის იმ დღეს, ხოლო გადაცემის ბოლოს მიიღებთ მონაწილეობას საინტერესო ვიქტორინაში.


## ესპანეთი

### მეორე დივიზიონი

XLII ტური

**ატლეტიკო B 0:0 მერიდა**

**ოსასუნა 2:1 უელვა**

0:1 ხოსე (12), 1:1 ორბაისი (54პ), 2:1 ტრეჩაკი (65)

**კომპოსტელა 1:1 სპორტინგი**

1:0 სიონი (27), 1:1 დავიდ კანო (78)

**კორდობა 2:1 ტენერიფე**

1:0 რამოსი (36), 1:1 ბარატა (39), 2:1 არმადა (88)

**ლას პალმასი 2:1 ლევანტე**

1:0 ოლიასი (23), 1:1 ტორესი (62), 2:1 პირი (87)

**ლოგრონიესი 1:0 ვილიარეალი**

1:0 კიკო (22)

**სალამანკა 2:1 ეიბარი**

1:0 მუნტეანუ (23), 1:1 ოლანო (46), 2:1 მორალესი (81)

**ალბასეტე 0:1 ხეტაფე**

0:1 პარადო (57)

**ესტრემადურა 2:2 ბადახოსი**

0:1, 0:2 ბრაკამონტე (12, 17), 1:2 ვარელა (19), 2:2 ტიტო (26)

**ლეგანესი 1:2 ტოლედო**

0:1 მიგელ ანხელი (46), 1:1 მერინო (50), 1:2 პედრო ალბერტო (70)

**ლეიდა 5:2 ელჩე**

1:0 ხავი პენა (9), 1:1 არმენტანო (16), 1:2 კრისტიან დიასი (21), 2:2, 3:2 ხავი პენა (25, 38), 4:2 კალდერონი (86), 5:2 ხავი პენა (90)

გასულ უქმეებზე ესპანეთის მეორე დივიზიონში ბოლო, 42-ე ტური შედგა და გათამაშების ცხრილმაც საბოლოო სახე მიიღო.

მომავალი სეზონიდან უძლიერესთა შორის თამაშის უფლება ჯერ კიდევ ორი კვირის წინ „ლას პალმასმა“ მოიპოვა. კანარის კუნძულელები 60-იანი წლების ბოლოს ესპანეთში ერთ-ერთი საუკეთესონი იყვნენ, 1969-ში ისინი ვიცე-ჩემპიონები გახდნენ. მერე გუნდი ნელ-ნელა დაბლა დაეშვა და აგერ თორმეტი წელია, პრიმერა დივიზიონში არ ეთამაშა, ხოლო ოთხი სეზონის წინ ლასპალმასელები სულაც მესამე დივიზიონში იბრძოდნენ.

„ვილიარეალი“ საბოლოოდ მესამე ადგილს კი დასჯერდა, მაგრამ პრიმერადივიზიონელობა მეორეადგილოსან „ოსასუნაზე“ ერთი კვირით ადრე დაიბევა. აღსანიშნავია, რომ შარშან სეგუნდა დივიზიონში დაქვეითებულთაგან („ესტრემადურა“, „ტენერიფე“, „სალამანკა“, „ვილიარეალი“) მხოლოდ ამ უკანასკნელმა შეძლო უკან დაბრუნება.

ამის შანსი ბოლო ტურამდე „სალამანკასაც“ ჰქონდა, ოღონდ „ოსასუნა“ უნდა დამარცხებულიყო. ძნელი წარმოსადგენი გახლდათ — „ოსასუნა“ პრიმერა დივიზიონში გადასასვლელად იბრძოდა, ხოლო მისი მეტოქე „უელვა“ ცხრილის ფსკერზე მოთავსებულიყო, თუმცა შეხვედრა დაიწყო და სტუმრები დაწინაურდნენ. „ვილიარეალთან“ ერთად „უელვასაც“ იმედი მიეცა — გამარჯვების შემთხვევაში მეორე დივიზიონში დარჩენის შანსი ჰქონდა, მაგრამ თამაში ბოლოს ლოგიკურად დასრულდა — „ოსასუნამ“ მოიგო და 1994 წლის მერე უძლიერესთა შორის დაბრუნდა.

მესამე დივიზიონში დაქვეითებული კი ოთხი გუნდია. „ტოლედომ“, „ლოგრონიესმა“ და „უელვამ“ ეს სასჯელი ცუდი შედეგის გამო მიიღო. აი, „ატლეტიკო B“ კი ამას კლუბის პირველ გუნდს უნდა „უმადლოდეს“. ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ ბრძანა, პრიმერას მსგავსად დაბალ დივიზიონებშიც იკრძალება ერთი კლუბის მიერ ორი გუნდის გამოყვანა და „ატლეტიკო B“-საც „ხეტაფეს“ ნაცვლად მესამე დივიზიონში მიეჩინა ადგილი.

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლას პალმასი | 42 | 20 | 12 | 10 | 60:41 | 72 |
| ოსასუნა | 42 | 20 | 7 | 15 | 50:36 | 67 |
| ვილიარეალი | 42 | 18 | 12 | 12 | 61:46 | 66 |
| სალამანკა | 42 | 18 | 12 | 12 | 54:43 | 66 |
| ლეიდა | 42 | 18 | 9 | 15 | 66:52 | 63 |
| მერიდა | 42 | 16 | 15 | 11 | 41:34 | 63 |
| ლევანტე | 42 | 16 | 13 | 13 | 55:52 | 61 |
| ესტრემადურა | 42 | 16 | 13 | 13 | 49:47 | 61 |
| სპორტინგი | 42 | 17 | 9 | 16 | 54:49 | 60 |
| ალბასეტე | 42 | 15 | 14 | 13 | 51:53 | 59 |
| ეიბარი | 42 | 14 | 15 | 13 | 48:49 | 57 |
| კორდობა | 42 | 15 | 12 | 15 | 46:49 | 57 |
| ლეგანესი | 42 | 15 | 14 | 13 | 42:43 | 56 |
| ელჩე | 42 | 12 | 17 | 13 | 48:58 | 53 |
| ტენერიფე | 42 | 13 | 13 | 16 | 46:51 | 52 |
| ბადახოსი | 42 | 9 | 24 | 9 | 38:39 | 51 |
| *ატლეტიკო B* | *42* | *13* | *11* | *18* | *44:57* | *50* |
| კომპოსტელა | 42 | 10 | 19 | 13 | 50:53 | 49 |
| ხეტაფე | 42 | 13 | 9 | 20 | 39:51 | 48 |
| ლოგრონიესი | 42 | 11 | 13 | 18 | 52:56 | 46 |
| უელვა | 42 | 12 | 9 | 21 | 40:54 | 45 |
| ტოლედო | 42 | 10 | 10 | 22 | 34:55 | 40 |

## იტალია

### სერია B

XXXVII ტური

**სავოია 1:2 ატალანტა**

0:1 კაჩა (44), 0:2 დონი (84), 1:2 ჟირარდელო (90პ)

**პისტოიეზე 0:1 ნაპოლი**

0:1 შვოხი (25)

**მონცა 2:1 ვიჩენცა**

1:0 მაცეო (10), 2:0 ლანტინიოტი (43), 2:1 ლუიზო (65)

**სალერნიტანა 0:2 ტერნანა**

0:1, 0:2 არტიკო (24, 28)

**ჯენოა 3:2 რავენა**

0:1 გრაბი (38), 0:2 დელ ანო (52), 1:2 მოსკარდი (59), 2:2 ფრანკიოზო (62), 3:2 მანფრედინი (73)

**ფერმანა 1:2 სამპდორია**

1:0 დი ფაბიო (7), 1:1 დიონიჯი (58), 1:2 დორივა (89)

**კიევო 2:1 ტრევიზო**

1:0 ფრანჩესკინი (5), 2:0 კორინი (24), 2:1 ტონი (90)

**ჩეზენა 3:3 კოზენცა**

0:1 მალუსკი (47), 0:2 პისანო (58), 1:2 კამპოლონი (65), 2:2 ტალდო (69), 2:3 დე ფრანჩესკო (72), 3:3 კამპოლონი (73)

**ალძანო 4:2 პესკარა**

1:0 ფერარი (6), 1:1 ძანინი (8), 2:1 ფლორიანჩიჩი (21), 3:1 ბარონე (23), 4:1 გროსი (84), 4:2 ტაკონელი (92პ)

**ბრეშა 1:0 ემპოლი**

1:0 უბნერი (59)

სერია B-ში გასამართი ერთი ტურილა დარჩა. ამის მერე სერია A-ში გადამსვლელი ოთხი გუნდის ვინაობაც გაცხადდება. თუმცა ორმა კლუბმა ეს უფლება ადრევე მოიპოვა.

სტუმრად „პისტოიეზეს“ ძლევის შემდეგ „ნაპოლი“ მეხუთეადგილოსან „სამპდორიისთვის“ დაუწეველი გახდა და ნეაპოლელები ორი წლის მერე კვლავაც უძლიერესთა მარაქაში გაერივნენ. „ვიჩენცას“ კი ეს პატივი ადრევე გაუნაღდებია და „მონცასთან“ მარცხით გული არ დაწყვეტია.

ბოლო ტურში „ატალანტას“ და „ბრეშას“ თითო ქულის აღება ჰყოფნით. „სამპდორიას“ კი, ვისაც 1991 წელს სკუდეტო მოუგია, საქმე უფრო რთულად აქვს. გენუელებმა აუცილებლად უნდა მოიგონ და თან იმედი ჰქონდეთ, რომ „ატალანტა“ ან „ბრეშა“ დამარცხდება (თუ ორივე წააგებს კიდევ უკეთესი). ამ შემთხვევაში, თანაბარქულიანი გუნდები გადასასვლელ პლეი ოფში შეხვდებიან ერთმანეთს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიჩენცა | 37 | 19 | 7 | 11 | 66:43 | 64 |
| ნაპოლი | 37 | 17 | 12 | 8 | 54:41 | 63 |
| ატალანტა | 37 | 17 | 11 | 9 | 50:33 | 62 |
| ბრეშა | 37 | 16 | 14 | 7 | 52:36 | 62 |
| სამპდორია | 37 | 16 | 11 | 10 | 42:38 | 59 |
| ჯენოა | 37 | 15 | 9 | 13 | 48:41 | 54 |
| სალერნიტანა | 37 | 14 | 10 | 13 | 54:54 | 52 |
| რავენა | 37 | 11 | 15 | 11 | 40:37 | 48 |
| ტრევიზო | 37 | 12 | 12 | 13 | 49:47 | 48 |
| ემპოლი | 37 | 12 | 12 | 13 | 38:50 | 48 |
| კიევო | 37 | 11 | 14 | 12 | 46:49 | 47 |
| კოზენცა | 37 | 11 | 14 | 12 | 34:39 | 47 |
| პესკარა | 37 | 10 | 16 | 11 | 59:52 | 46 |
| მონცა | 37 | 9 | 19 | 9 | 42:43 | 46 |
| ტერნანა | 37 | 10 | 16 | 11 | 43:46 | 46 |
| ჩეზენა | 37 | 8 | 20 | 9 | 46:44 | 44 |
| პისტოიეზე | 37 | 12 | 10 | 15 | 37:42 | 42 |
| ალძანო | 37 | 10 | 12 | 15 | 37:48 | 42 |
| სავოია | 37 | 6 | 11 | 20 | 34:59 | 29 |
| ფერმანა | 37 | 6 | 11 | 20 | 35:64 | 29 |

### სერია C1/A

პლეი ოფი. ნახევარფინალი. საპასუხო მატჩები

პიზა — ბრუშელო 0:1 (1:1); ჩიტადელა — ვარეზე 0:1 (0:1); ლეკო — კრემონეზე 2:0 (1:2); ლუმეცანე — მონტევარკი 1:0 (0:0)

### სერია C1/B

პლეი ოფი. ნახევარფინალი. საპასუხო მატჩები

ანკონა — არეცო 2:1 (1:1); ასკოლი — ვიტერბეზე 1:0 (1:0); სტაბია — ატლეტიკო 1:0 (0:3); ფ. ანდრია — გუალდო 3:1 (0:1)

## მაისის ამბავი

აფრიკის კონტინენტმა აუცილებლად უნდა უმასპინძლოს მსოფლიოს ჩემპიონატს — განაცხადა ფრანც ბეკენბაუერმა. საოცარია, კაცი, რომელიც 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლად თავისი ქვეყნის კანდიდატურის გაყვანას ლამობს, ახლა მოულოდნელად კონკურენტებს — სამხრეთ აფრიკას და მაროკოს უჭერს მხარს. მაგრამ თუ ბეკენბაუერის გამონათქვამის მეორე ნაწილსაც მოვისმენთ, მისი ჩანაფიქრიც ნათელი გახდება. — არიან აფრიკელები მზად? ეშმაკურად კითხულობს კაიზერ ფრანცი და თავადვე პასუხობს — არა.

ბელგიის თასის ფინალში „გენკმა" „სტანდარდი" 4:1 დაამარცხა და მომავალ სეზონში უეფას თასზე იასპარეზებს. იოჰან ბოსკამპის გუნდმა წლევანდელი სეზონი წარუმატებლად ჩაატარა და საპრიზო ადგილზე ვერ გავიდა. ევროთასებზე მოხვედრის ერთადერთ იმედად გენკელებს თასის მოგებალა დარჩენოდათ და მიაღწიეს კიდეც მიზანს.

გერმანიის ჩემპიონატის ბოლო ტური დრამატული გამოდგა. „ლევერკუზენს" ისტორიაში პირველი ჩემპიონობისთვის სტუმრად „უნტერჰახინგთან" ქულაც ეყოფოდა, მაგრამ... ვერაფერი მოახერხა და დამარცხდა. ჩემპიონი მიუნხენის „ბაიერნი" გახდა. ბავარიელებმა ბრემენის „ვერდერი" 3:1 დაამარცხეს და ჩემპიონები მეთექვსმეტედ გახდნენ. რამდენიმე კვირის წინ კი ქვეყნის თასიც მოიგეს და ამრიგად დუბლი შეასრულეს. სამაგიეროდ, მიუნხენელებმა ევროტურნირებზე წაიფორხილეს: ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში მათ მადრიდის „რეალმა" სძლია.

დეპორტივო ესპანეთის ჩემპიონი გახდა, თავის 94-წლიან ისტორიაში გუნდი პირველად ეღირსა საპატიო ტიტულს. „ბარსელონა", კატალონიური გრანდი, საბოლოოდ მეორე ადგილზე გავიდა. ჩემპიონთა ლიგის საგზური „ვალენსიამ" და „რეალმაც" მოიპოვეს. მართალია, მადრიდელები მათთვის შეუფერებელ მეხუთე ადგილზე გავიდნენ, მაგრამ სამაგიეროდ, ჩემპიონთა თასს დაეუფლნენ და უპირველეს ევროპულ საკლუბო ტურნირზე „სარაგოსას" ნაცვლად მოხვდნენ.

ევროთასებზე თამაშის უფლების მოსაპოვებლად კლუბებს მალე საგანგებო ლიცენზია დასჭირდებათ, რომელსაც მხოლოდ მას მისცემენ, ვინც ოთხ პირობას დააკმაყოფილებს: ინფრასტრუქტურასთან, ადმინისტრაციულ, ფინანსურ-იურიდიულ და სპორტულ საკითხებთან დაკავშირებით. კიდევ ერთი, თუ უეფა შეიტყობს, რომ კლუბი ვალში, ან გაკოტრების პირასაა, იგი მას ლიცენზიას არ მისცემს.

ვიალის გუნდმა „ჩელსიმ" წლეულს ინგლისის ასოციაციის თასი მოიგო, მან ფინალში ჯონ გრეგორის „ასტონ ვილას 1:0 სძლია. 1923 წლიდან დღემდე ინგლისის ასოციაციის თასის ფინალი „უემბლიზე" იმართებოდა, მაგრამ წლეულს უკანასკნელად ჩატარდა — „უემბლი" ინგრევა და 2003 წლისთვის მის ადგილზე, ახალი სტადიონი აშენდება.

ზეიმმა მოიცვა.სრულიად თურქეთი. სტამბოლის „გალათასარაიმ" უეფას თასის ფინალში პენალტების სერიით ლონდონის „არსენალი" დაამარცხა და თურქული ფეხბურთის ისტორიაში პირველი ევროთასი მოიპოვა. „გალათასარაის" მწვრთნელმა ფათიჰ თერიმმა, რომელმაც ფინალამდე მართლაც საფეხბურთო ჯოჯოხეთი მოუწყო ნაქებ ინგლისურ, იტალიურ თუ გერმანულ კლუბებს, თურქებს პრესტიჟული ევროპული ჯილდო აჩუქა.

თანაკლუბელი როი კინის რეკომენდაციით, დევიდ ბექემმა სვირინგის ცნობილ ოსტატ ლოი ბულს მიაკითხა და ზურგზე ჯვარცმის ფრაგმენტი ამოიტვიფრა. წელზე კი შვილის სახელი დაიწერა: მინდა, მას ანგელოზი ჰფარავდეს. თუ ღმერთმა მე და ვიქტორიას შვილები კიდევ გვაჩუქა, მათ სახელებსაც ტანზე მივიწერო, თქვა „მანჩესტერ იუნაიტედის" ნახევარმცველმა.

იტალიის ჩემპიონატის ბოლოსწინა ტურში „იუვენტუსი" „პარმას" მასპინძლობდა. შეხვედრას ჩემპიონობისთვის ბრძოლაში ერთობ პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. ტურინელებმა პარმელებს 1:0 მოუგეს, რადგან მსაჯმა დე სანტისმა „იუვეს" კარში ფაბიო კანავროს მიერ გატანილი გოლი არ ჩათვალა. ეს კინალამ ტრაგედიის მიზეზი გახდა. „იუვენტუსის" მდევარ „ლაციოს" აღშფოთებულმა ქომაგებმა რომში, იტალიის ფეხბურთის ფედერაციასთან დემონსტრაცია



რაულ გონსალეს ბლანკო — მადრიდელთა კერპი

მოაწყვეს, რომელიც არეულობაში გადაიზარდა და პოლიციასთან შეტაკებით დასრულდა.

კერკრადეს „როდამ" ჰოლანდიის თასი მეორედ მოიპოვა — ფინალში „ნაიმეგენი" 2:0 დაამარცხა. კერკრადელები პრიზს ბოლოს 1997 წელს ფლობდნენ, სამი წლის შემდეგ კი წარმატება გაიმეორეს და მომავალ სეზონში უეფას თასზე იასპარეზებენ.

ლუის ვან გაალისა და „ბარსელონას" გზები საბოლოოდ გაიყარა, ჰოლანდიელმა მწვრთნელის პოსტი დატოვა. „ჩემს წასვლას კლუბის უტიტულოდ დარჩენასთან არაფერი აქვს საერთო — ბრძანა მწვრთნელყოფილმა — დიახაც, ვერაფერი მოვიგეთ, მაგრამ „ბარსელონას" ცუდად არ უთამაშია, მეტიც, ამ სეზონში გუნდი წინა წლებთან შედარებით უკეთესად გამოიყურებოდა".

მეტოქის დარტყმული ბურთი ანჯელო პერუცმ მოიგერია და მოწინააღმდეგის კარისკენ თავად დაიძრა. რამდენიმე წამში იგი მეტოქე კოლეგასთან პირისპირ დარჩა და ბურთი კარში შეაგორა. ანგარიში გახდა... თუმცა ანგარიში რა საკითხავია... რომში საქველმოქმედო შეხვედრა ჩატარდა, სადაც რობერტო ბაჯოს ფორმულა 1-ის პილოტებით — მიხაელ შუმახერითა და ჯანკარლო ფიზიკელათი — გაძლიერებული გუნდი იტალიის ესტრადის ვარსკვლავებს ეთამაშა.

ნამდვილად ვერ ვიტყვი, მსოფლიოში ყველაზე დიდხელფასიანი ფეხბურთელი ვიქნები თუ არა, მაგრამ ამას მნიშვნელობას არ ვანიჭებ, მე მოედანზე გასვლა და „რომას"მეტოქეთა კარში გოლების გატანა მინდა — განაცხადა არგენტინელმა ფორვარდმა გაბრიელ ბატისტუტამ, რომელიც „ფიორენტინადან" „რომაში" გადავიდა. ბატიგოლი ფლორენციულ გუნდს 9 წლის განმავლობაში ემსახურებოდა და სერია A-ს 269 შეხვედრაში 168 გოლი გაიტანა, რაც კლუბის რეკორდია. „ფლორენცია ყოველთვის ჩემს გულში დარჩება" — დასძინა ფეხბურთელმა.

ორი ქართველის — გიორგი დემეტრაძისა და კახა კალაძის გუნდმა კიევის „დინამომ" უკრაინის თასი მოიპოვა. კიეველებმა ფინალში „კრივბასი" 1:0 დაამარცხეს. ქართველებიდან მატჩი მხოლოდ კალაძემ დაიწყო, 70-ე წუთზე კი მოედანზე დემეტრაძეც გამოჩნდა.

პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციამ პრემიერლიგის საუკეთესო ფეხბურთელად „მანჩესტერ იუნაიტედის" კაპიტანი როი კინი დაასახელა. გამოკითხვის შედეგად, მეორე ნიდერლანდელი ბომბარდირი კევინ ფილიპსია, მესამე ადგილი ლიდსელ ჰარი კიუელს ხვდა წილად. კიუელი ამავე დროს ყმაწვილ ფეხბურთელთა შორისაც საუკთესოა.

ჟურნალისტებისა და პირდაპირი ტელერეპორტაჟების გარეშე თანამედროვე ფეხბურთი თითქმის წარმოუდგენელია. წლევანდელი სეზონის უეფას თასის ფინალის პირდაპირი ტელერეპორტაჟი 185 ქვეყანაში გადაიცა და მას 500 მილიონამდე ადამიანმა მიადევნა თვალყური. კოპენჰაგენის „პარკენის" სტადიონზე 17 კამერა დამონტაჟდა, მატჩის 300 რეპორტიორი და 140 ფოტოგრაფი დაესწრო.

რომის „ლაციომ" ქვეყნის თასის ფინალის საპასუხო მატჩში, „სან სიროზე", „ინტერთან" 0:0-ით (რომში 2:1) დუბლი შეასრულა: რამდენიმე დღის წინ მოპოვებულ სკუდეტოს თასიც დაურთო და „ტორინოს", „იუვენტუსისა" და „ნაპოლის" მერე მეოთხე გუნდი შეიქნა, ვისაც დუბლი გაუხერხებია.

საფრანგეთის თასი ზედიზედ მეორედ „ნანტმა" მოიგო. საოცარია, მაგრამ ტიტულის შარშანდელ მფლობელს მეოთხედივიზიონელი „კალეს" დამარცხება ერთობ გაუჭირდა და მხოლოდ შეხვედრის ბოლო წუთზე გატანილი პენალტით მიაღწია მიზანს. გასაკვირია, რომ მეოთხედივიზიონელმა კლუბმა „სტად დე ფრანსზე" 79 ათასი გულშემატკივარი შეკრიბა. თასის მოგებით „ნანტმა" უეფას თასზე ასპარეზობა გაინაღდა.

ტრანსფერი შედგა. ინგლისურმა „ტოტენჰემმა" კიევის „დინამოსა" და უკრაინის ნაკრების ფორვარდი სერგეი რებროვი შეიძინა. ლონდონელებმა „დინამოს" 11 მილიონი გირვანქა ჩაუთვალეს. რებროვმა „ტოტენჰემთან" ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა მას შემდეგ, რაც საფუძვლიანი სამედიცინო შემოწმება გაიარა.

უცნობმა ფანმა გაზეთიდან ინგლისის ყველაზე ცნობილი ცოლქმრის დევიდ და ვიქტორია ბექემების სურათი ამოჭრა, ზედ რაღაცეები დაახატა და მისის ბექემს სახლში გაუგზავნა. ფოტო ისე იყო გაკეთებული, რომ მოალერსე წყვილის ნაცვლად ასეთი სურათი იხატებოდა: დევიდი თავის ცოლს შუბლში ტყვიას ახლის, ვიქტორიას მიმზიდველი თავიდან კი სისხლი ჩქეფს. მას მინაწერიც ჰქონდა: „აი, რა მოგელის"...

ფრიად ავტორიტეტულმა აუდიტორულმა ფირმა „დელიო ენდ ტუშმა" პრემიერლიგის კლუბების ფინანსური ანგარიშები შეამოწმა. აღმოჩნდა, რომ ბოლო ერთ წელიწადში პრემიერლიგელთა კაპიტალბრუნვამ არნახულ მასშტაბებს მიაღწია და 670 მილიონი გირვანქა შეადგინა. შესაბამისად ხელფასების დონემაც მოიმატა. ჯერ კიდევ ორი წლის წინ პრემიერლიგაში მოთამაშე ფეხბურთელთა საერთო ჯამაგირი 86 მილიონი იყო. დღეს კლუბებს თანამშრომელთა კუთვნილი ანაზღაურებისთვის უკვე 397 მილიონი სჭირდებათ. გამოდის, რომ ხელფასები მთელი 300 პროცენტით გაზრდილა.

ქორწინდებიან მონა ღვთისა ტორე და მხევალი ღვთისა სანტი... ოსლოში ქორწილი იყო. ტორე ანდრე ფლომ და სანტი სკედალმა ჰელმონკოლენის ტაძარში ჯვარი დაიწერეს. თაფლობის თვისა რა ვთქვათ? სამ დღეში სიძეს „უემბლიზე" ინგლისის ასოციაციის თასის ფინალში უნდა ეთამაშა.

ღვაწლმოსილმა იტალიელმა მწვრთნელმა ჯოვანი ტრაპატონიმ „ფიორენტინას" თავკაცის პოსტი დატოვა — რაც შემეძლო გავაკეთე, კარგად იყავითო — განაცხადა მხცოვანმა სპეციალისტმა. ისიც თქვა, ოთხი-ხუთი თვეა, გადადგომას ვფიქრობ, მაგრამ არ ვამხელდი, სეზონის დასრულებას ველოდიო. ფლორენციულ გუნდში ტრაპატონის შემცვლელად „გალათასარაის" თავკაცი და უეფას თასის ტრიუმფატორი ფათიჰ თერიმი მიიწვიეს.

ყველაზე მაღალი პრემიები, თუკი ევროპის ჩემპიონატს მოიგებენ, ინგლისელ ფეხბურთელებს დაუწესეს. ჯგუფიდან გასვლის შემთხვევაში უკლებლივ ყველა — 22 მოთამაშე 25-25 ათას გირვანქას მიიღებს. მეოთხედფინალში გამარჯვება 40 ათასი გირვანქაა, ფინალში გასვლა 60 ათასადაა შეფასებული, ჩემპიონობა კი — 30 ათასად. თუ ინგლისელებმა ისტორიაში პირველად ევროპის თასი მოიპოვეს, ჯილდოდ თითოეული 155 ათას გირვანქას მიიღებს. ჰოლანდიელები და იტალიელები ანალოგიურ შემთხვევაში 120 ათას გირვანქას დაისაკუთრებენ.

შოტლანდიის თასი გლაზგოს „რეინჯერსმა" მოიპოვა და ამგვარად დუბლი შეასრულა. ფინალი „ჰემპდენ პარკზე" გაიმართა. „რეინჯერსი" „აბერდინს" დაუპირისპირდა, 4:0 მოუგო და საპატიო ჯილდოსაც დაეუფლა.

ჩემპიონთა ლიგის ფინალი — „რეალი" — „ვალენსია" 3:0. ტურნირის ისტორიაში პირველად მოხდა, რომ ფინალისტები ერთი ქვეყნიდან იყვნენ. პარიზის „სტად დე ფრანსზე" შეკრებილმა ათასობით და ტელეეკრანებთან მიმსხდარმა მილიონობით ქომაგმა სამეფო კლუბის მეფური თამაში იხილა. მორიენტესის თავური — ერთი, მაკმანამანის შეკუნტრუშებული — ორი, რაულის უეჭველიც — სამი, ვისენტე დელ ბოსკეს კუპერის „ვალენსია" დაჩაგრა. მადრიდის „რეალი" ჩემპიონთა თასის რვაგზის მფლობელია.

ცნობილ ბუქმეიკერულ კანტორა „უილიამ ჰილს" მავანმა პოლონელმა ქომაგმა დიდძალი ფული მოუგო. მოთამაშემ იტალიაში „ლაციოს" გაჩემპიონებაზე 48 ათასი გირვანქა, ხოლო უეფას თასზე „გალათასარაის" გამარჯვებაზე 120 ათასი გირვანქა შეიტანა...მოიგო, მაგრამ როდი მოეშვა, ახლა „ჩელსი" — „ასტონ ვილას" წყვილში ლონდონელების სასარგებლოდ შეიტანა ფსონი. ისევ გაუმართლა და შემდეგ უკვე „რეალს" ენდო, თანხა 340 ათას გირვანქამდე გაზარდა... სამეფო კლუბმა ჩემპიონთა თასი, ხოლო პოლონელმა 500 ათასი გირვანქა მოიგო.

ძალიან დრამატული გამოდგა სერია A-ს უკანასკნელი ტური. „იუვენტუსი" ისტორიაში 26-ე სკუდეტოს უმიზნებდა, „ლაციო" — მეორეს. ტურინელები პერუჯაში დამარცხდნენ, სადაც თავსხმა წვიმა მოვიდა და მინდორი დაიტბორა. მსაჯმა კოლინამ თამაში ერთ საათზე მეტი ხნის შემდეგ განაახლა, „იუვემ" „პერუჯასთან" 0:1 წააგო, „ლაციომ" კი „რეჯინას" მოუგო და ჩემპიონი გახდა. ლიდერი ორეულის გარდა ჩემპიონთა ლიგაში „მილანი" და „ინტერი" იასპარეზებენ. ამ უკანასკნელმა საგზურის საპლეიოფო შეხვედრაში „პარმა" დაამარცხა.

წლეულს პორტუგალიაში „პორტუსა" და „ბენფიკას" ბატონობის ეპოქა „სპორტინგმა" დაამხო. ლისაბონელ გულშემატკივართა ნაწილი თავისი საყვარელი გუნდის, „სპორტინგის" ჩემპიონობას 18 წელი ელოდა. მათ ნატვრა აუხდათ. ქვეყნის თასის ფინალში კი ერთმანეთს „სპორტინგი" და „პორტუ" დაუპირისპირდნენ. ამჯერად პორტუელებმა იმარჯვეს და საპატიო ჯილდოს დაეუფლნენ.

ჭარბი ემოციები ვერ დამალა და ლამის ბავშვივით ატირდა ლოთარ მათეუსი. მიუნხენის „ოლიმპიაშტადიონზე" შეკრებილმა 47 ათასმა ქომაგმა და მინდორზე სათამაშოდ გასულმა ფეხბურთის ვარსკვლავებმა უბერებელი ლიბერო გააცილეს... თუმც ოდნავ უცნაურია, მათეუსი ხომ ევრო 2000-ზე ითამაშებს. გერმანიის ნაკრებისა და „ბაიერნის" ამხანაგური მატჩი ფრედ დასრულდა — 1:1. მიუნხენელთა რიგებში კუბიდან გერმანიაში საგანგებოდ ჩასულმა დიეგო მარადონამ ითამაშა. დიდმა არგენტინელმა ჟურნალისტებს ფრიად საინტერესო გულისნადები გაუმხილა — სერიოზულად მოგახსენებთ, „ბარსელონას" მწვრთნელობა მსურსო.

ხოსეპ ლუის ნუნიესმა „ბარსელონას" პრეზიდენტის პოსტზე 22 წელი გაატარა. პრიმერადივიზიონში და ჩემპიონთა ლიგაში წარუმატებელი ასპარეზობის შემდეგ 68 წლის მოლვაწემ თანამდებობა დატოვა. კლუბის პრესმდივნის ცნობით, ნუნიესის შემცვლელს ივლისში დანიშნულ არჩევნებზე დაასახელებენ. სავარაუდო კანდიდატი გუნდის ამჟამინდელი ვიცე-პრეზიდენტი ხუან გასპარია.

ჯერჯერობით, ალბათ კარგა ხანს ვერ ითამაშებს ბრაზილიელი რონალდო, რომელიც მძიმედ დაშავდა. „ინტერის" ვარსკვლავი თავის ცოლ-შვილთან — მილენთან და რონალდთან ერთად სამშობლოში ჩავიდა.

ჰოლანდიის ჩემპიონატი წლეულს ერთობ უჩვეულოდ დასრულდა. ქვეყნის ორ სახელოვან გუნდს — „ფეიენოორდსა" და „აიაქსს" — უცნობმა „ჰერენვენმა" გადაუსწრო და ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობის უფლება მოიპოვა. ევროპის უძლიერეს საკლუბო ტურნირში ჰოლანდიას სამი წარმომადგენელი ეყოლება — პსვ, „ჰერენვენი" და „ფეიენოორდი", „აიაქსი" კი უეფას თასზე ითამაშებს.

# კამაჩო რეალელთა იმედად

**საფრანგეთის** მსოფლიოს ჩემპიონატზე, ესპანეთის ნაკრებისა არ იყოს, რაულმაც ძალიან სუსტად ითამაშა. მიზეზი ის გახლავთ, რომ მადრიდელმა მთელი ენერგია ჩემპიონთა ლიგაში „რეალის" გამარჯვებას შეალია. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ კვლავაც იგივე ამბავი უნდა განმეორდეს. ლიგის წლევანდელ ფინალში რაულმა თავი არ დაზოგა და... კუნთიც დაიჭიმა.

შაბათს ესპანეთი-შვედეთის ამხანაგურ მატჩში რაული არ მონაწილეობდა და საერთოდაც წინა კვირაში არ უთამაშია. როდის მომჯობინდება რეალელი ვარსკვლავი? ეს კითხვა ესპანეთის ნაკრების ქომაგებთან ერთად უპირველესად ხოსე ანტონიო კამაჩოს აწუხებს. „ამ კვირაში ლუქსემბურგს ვხვდებით. ალბათ, რაული იქამდე მომჯობინდება. ყოველ შემთხვევაში, ამის დიდი იმედი მაქვს. როგორც ვიცი, რაულის ტრავმა სერიოზული არ გახლავთ და ლუქსემბურგთან თუ არა, ევროპის ჩემპიონატის პირველ მატჩში აუცილებლად ითამაშებს" — თქვა კამაჩომ.

შვედებთან შეხვედრაში დებიუტი ჰქონდა იკერ კასილიასს. 12 თვის წინ მადრიდის „რეალის" მესამე შემადგენლობის უცნობ მოზარდ მეკარეს დღეს ნაკრების კარს ანდობენ. მეტი რა უნდა ინატროს? იგი ძალიან გახარებულია: „ბედნიერი ვარ, ცოტა ხნის წინ ამაზე ვერც ვიოცნებებდი. იქნებ არც დაიჯეროთ, მაგრამ სულ არ მინერვიულია".

### მეფე ჰასან II-ის თასი

ნახევარფინალი

**მაროკო 1:0 იამაიკა**

1:0 ზერუალი (61)

მაროკო: ზაზა, მარიანა, ელ კარკური, ელ ასასი, ბენხერიფა, აბრამი, ჰდიუდი (რუმანი 89), ჰადა, რამზი, ბასირი, სელამი (ზერუალი 46)

იამაიკა: რიკეტსი, მალკოლმი, დიქსონი, კ. დევისი, დეუსი, ჰალი (რიჩარდსი 70), ჰუე (გრიფიტსი 46), ჟ. ჯონსონი, ფ. დევისი (ო. სმიტი 85), მ. ჯონსონი, უილიამსი

70 000 მაყურებელი

**საფრანგეთი 2:2 (პენ.4:2) იაპონია**

0:1 ჰირაოკი (33), 1:1 ზიდანი (61), 1:2 აკინორი (68), 2:2 ჯორკაეფი (75)

საფრანგეთი: ბარტეზი, ტურამი, ბლანი, დესაი (ლებეფი 67), ლიზარაზუ, დეშამპი (ვიეირა 46), პეტი, ზიდანი (ანრი 89), პირესი (ჯორკაეფი 46), ვილტორდი (დიუგარი 46), ტრეზეგე (ანელკა 74)

მწვრთნელი: როჟე ლემერი

იაპონია: ნარაზაკი, ოივა, მორიოკა, მატსუდა, ნაკატა, იტო, ნანამი, ინამოტო, ნაკამურა (მიურა 67), ჰირაოკი, აკინორი (იანაგისავა 89)

70 000 მაყურებელი

### ოქროს თასი

ნახევარფინალი

**აშშ 4:0 სამხრეთ აფრიკა**

1:0, 2:0 ჯონსი (36, 44), 3:0 რეინა (65), 4:0 სტიუარტი (68)

აშშ: კელერი, რეჟისი, აგოსი, ლამოსა, სანე, ლუისი (ოლსენი 66), კ. რეინა, არმასი, სტიუარტი (რალსტონი 82), ჯონსი (კრისი 84), მაკბრაიდი (რაზოვი 70)

სამხრეთ აფრიკა: არენდსე, ნზამა, რაბუტლა, ისა, კანემეიერი (ლეკგეტო 73), მნგუენი (საპულა 46), ნგობე, მკალელე, მაკკინლი (ბაკლი 33), ბარტლეტი, ბენი მაკკარტი (კუმანტარაკისი 73)

მსაჯი: ანტონიო მარუფო (მექსიკა)

16 570 მაყურებელი

**მექსიკა 2:2 ირლანდია**

1:0 ოსორნო (38), 2:0 სანჩესი (54), 2:1 დანი (60), 2:2 ფოლი (71)

მექსიკა: ბერნალი, ბელტრანი, რამირესი (ხიმენესი 68), ალპიზარი, ლოპესი, ტორადო, პერესი, სანჩო, სანჩესი, გონსალესი, ოსორნო

ირლანდია: ა. კელი, კარი, დანი, ბრინი, ფილანი, მაკატირი, ჰოლანდი, ბ. ქუინი (კილბეინი 40), კენედი, რობი კინი (ფოლი 46), ნ. ქუინი

მწვრთნელი: მიკ მაკარტი

მსაჯი: კელვინ სკოტი (აშშ)

13 674 მაყურებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონფერენციათა ფინალები (ოთხ მოგებამდე)

# ფინალი: ლეიკერსი — ინდიანა



REUTERS ლოს ანჯელესიდან

ლეიკერსი — პორტლენდი. ნამატჩევს პორტლენდელმა სკოტი პიპენმა (მარცხნივ) და შაკილ ონილმა ორიოდ სიტყვა გაცვალეს

## დასავლეთი

| | |
|---|---|
| ლეიკერსი | 4 |
| პორტლენდი | 3 |

2 ივნისი

**პორტლენდი 103:93 ლეიკერსი**

პორტლენდი: სტუდემაიერი (14), სმიტი (26), პიპენი (9), ვოლესი (18), საბონისი (10 ქულა, 11 მოხსნა, 6 პასი); ველსი (20), გრანტი (6), შრემპფი

ლეიკერსი: ჰარპერი (7), ბრაიანტი (33), რაისი (12), გრინი (4), შ. ონილი (17 ქულა, 11 მოხსნა); შოუ (12), ჰორი (6), ფოქსი (2), ფიშერი, სეილი

4 ივნისი

**ლეიკერსი 89:84 პორტლენდი**

ლეიკერსი: ჰარპერი (9), ბრაიანტი (25 ქულა, 11 მოხსნა, 7 პასი, 4 დაფარება), რაისი (11), გრინი (1), შ. ონილი (18); ჰორი (12), შოუ (11), ფიშერი (2), ფოქსი, სეილი

პორტლენდი: სტუდემაიერი (5), სმიტი (18), პიპენი (12 ქულა, 10 მოხსნა), ვოლესი (30), საბონისი (6); ველსი (7), შრემპფი (6), გრანტი, ენტონი, ჯ. ონილი

მაშ ასე, ამ უქმეებზე ფინალისტთა ვინაობაც გაირკვა. აღმოსავლეთ კონფერენციაში „ნიუ იორკის“ მძლეველ „ინდიანას“ დასავლეთიდან „ლოს ანჯელეს ლეიკერსი“ შეუერთდა. ფინალში ფავორიტადაც უმთავრესად ამ უკანასკნელს მოიხსენიებენ, ლარი ბერდის ბიჭები ამ მონსტრთან ვერაფერს გახდებიანო. ჯერ კიდევ პლეი ოფის დაწყებამდე სპეციალისტები „ლეიკერსს“ მიიჩნევდნენ მომავალ ჩემპიონად და მის ყველაზე რეალურ მოწინააღმდეგედ „პორტლენდს“ სახავდნენ. „პორტლენდს“ შეეძლო კიდეც კალიფორნიელთა საჩემპიონოდ ანთებული გულები კონფერენციის ფინალში ჩაექრო, თუმც ვერ შეძლო და ეს უპირველეს ყოვლისა თავის თავს უნდა დააბრალოს.

„ლეიკერს“-„პორტლენდის“ დაპირისპირება მცირე ფინალად მოინათლა და სავსებით სამართლიანადაც. რამდენიმე წელია, ნბა-ს პლეი ოფებს მსგავსი დაძაბული სერია არ ახსოვს. „ბლეიზერსმა“ თითქმის შეუძლებელი შეძლო, 1:3 ჩამორჩენის შემდეგ ზედიზედ ორი გამარჯვება იზეიმა და ახლოს იყო, მესამეც მიეყოლებინა, მაგრამ სერიის გადამწყვეტ, მეშვიდე შეხვედრაში... თუმცა ყველაფერს თანმიმდევრულად მივყვეთ.

პარასკევს ღამით, ჩვენი დროით კი შაბათს სისხამ დილით გამართულ მეექვსე შეხვედრაში „ლეიკერსმა“ ვერ მოახერხა ძალების სრული მობილიზაცია და მასპინძლებს არცთუ იოლი, მაგრამ დამაჯერებელი გამარჯვების საშუალება მისცა. „ლეიკერსმა“ რომ სრულად ვერ გამოავლინა თავისი შესაძლებლობები, ეს, ცხადია, მასპინძელთა დამსახურებაა. „ბლეიზერსის“ ლიტველი ცენტრი არვიდას საბონისი ტოლსწორად შეება ზემძლავრ შაკილ ონილს და მოახერხა, „ლეიკერსისთვის“ ქულების ეს დაუშრეტელი წყარო კარგად გადაეკეტა. ლიტველმა 45 წუთს ითამაშა, რაც მისთვის უჩვეულოდ ბევრია. მასთან ერთად ყველა პორტლენდელი სანაქებოდ ირჯებოდა დაცვაში და მასპინძლებმა პირველი მეოთხედი თერთმეტი ქულის სხვაობით მოიგეს — 26:15, რის შემდეგაც მეტოქე ხუთ ქულაზე ახლოს არ გაიკარეს. ერთადერთი, ვინც სტუმართაგან არ ცხრებოდა, ეს გუნდის მეორე ლიდერი კობი ბრაიანტი გახლდათ, რომლის დაუშრეტელი ჟინი და უამრავი ქულა „პორტლენდს“ შორს გაჭრის საშუალებას არ აძლევდა. თუმც კობის მხარი ვერავინ აუბა და ინერტულად მოთამაშე „ლეიკერსი“ ადრევე გაიწირა წასაგებად. „დღეს ჩვენ ნამდვილად არ ვართ ბედნიერები. ბიჭები ხვდებიან, რომ ეს ნამდვილი ომია და აქ იმარჯვებს არა ის, ვისაც მანამდე უფრო ბევრი თამაში მოუგია, არამედ ის, ვისაც უფრო მტკიცე ნერვები აღმოაჩნდება. ჩვენ წავაგეთ ბრძოლა, მაგრამ არ წაგვიგია ომი“ — „ლეიკერსის“ თავკაცი ფილ ჯექსონი მეშვიდე თამაშის წინ ოპტიმისტურად იყო განწყობილი. გენერალური ბრძოლა ლოს ანჯელესში, გადაჭედილ „სტეიპლზ სენთერში“ ჩატარდა და აქ უფრო მტკიცე ნერვები საბოლოოდ „ლეიკერსს“ აღმოაჩნდა.

მეშვიდე შეხვედრა წინას ბევრით ჰგავდა თავდაპირველად. კვლავ „პორტლენდი“ დაწინაურდა, საბონისმა ისევ კარგად შეზღუდა შაკილ ონილის პარპაში და იგი საბოლოოდ 18 ქულას დასჯერდა. კვლვ და კვლავ ეულად ბობოქრობდა კობი ბრაიანტი, მაგრამ მეშვიდე შეხვედრა მეექვსისგან მაინც განსხვავდებოდა, უპირველესად ფინალით. „პორტლენდმა“ ვერ მოახერხა, საბოლოოდ გადაებიჯებინა ზღურბლისთვის, მეტოქემ იგი უფრო ფსიქოლოგიურად დაჯაბნა, ვიდრე ფიზიკურად. „ჩემს კარიერაში უდიდესი იმედგაცრუება იყო. გამარჯვებას ჩვენ უფრო ვიმსახურებდით, მაგრამ საზიზღრად ვითამაშეთ და მეტოქეს შეუძლებელი შევაძლებინეთ. ჩვენ ისინი ხელში გვყავდნენ. არ ვიცი როგორ, მაგრამ მათ სასწაული მოახდინეს“ — ამბობდა მატჩის შემდეგ „პორტლენდის“ თავდამსხმელი რაშიდ ვოლესი, რომელმაც იმ დღეს იქნებ კარიერის საუკეთესო მატჩიც ითამაშა, მაგრამ ეს შეხვედრა მის გონებაში მხოლოდ შავ მოგონებად თუ ჩაიბეჭდება.

ისეთი რა მოხდა მეოთხე მეოთხედში? არაფერი, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ბოლო თორმეტწუთეულში „პორტლენდმა“ ცამეტქულიანი უპირატესობა გაანიავა. დიახ, სტუმრები ბოლო მეოთხედის წინ 13 ქულის სხვაობით იგებდნენ და ალბათ გულში ომის მოგებას ზეიმობდნენ.



REUTERS ნიუ იორკიდან

ნიუ იორკი — ინდიანა. დეილ დევისმა ნიუიორკელ პატრიკ იუინგს დაუფარა

აქ „ლეიკერსმა“ საოცარი ბრძოლისუნარიანობა გამოავლინა და თანდათან იწყო სხვაობის შემცირება. „პორტლენდი“ ამაოდ ცდილობდა, დრო გაეყვანა. ამ საქმიდან ხეირიანი არაფერი გამოსდიოდა. მასპინძლებმა ისინი საკუთარ კალათს მიაჯაჭვეს. ამას ისიც დაერთო, რომ აიწყვიტა შაკილ ონილმა და ირგვლივ ყველაფრის მუსვრა დაიწყო. ზედიზედ ორ მატჩში თითქმის შეუცვლელად ნათამაშევი ხნიერი საბონისი ამაოდ ცდილობდა, გამკლავებოდა — ონილმა მას სამ წუთში ორი პერსონალური მიაღებინა. ლიტველს სულ ექვსი დაუგროვდა და ავტომატურად გამოეთიშა თამაშს. აქ უკვე მართლა გატყდა „პორტლენდი“. მას არავინ ჰყავდა ისეთი, აინც ამ მძიმე წუთებში გუნდს უშველიდა. სკოტი პიპენი კობი ბრაიანტის გაჩერებას გადაჰყვა, მაგრამ ვერც ამით წაეხმარა თავისიანებს. ბრაიანტის შეჩერებაც შეუძლებელი იყო. პიპენმა შეტევაშიც ვერაფერი მოიმოქმედა ხეირიანი და ამით ფაქტობრივად წასაგებად გაწირა თავისიანები. ონილის მხოლოდ უხეში ჯარიმებითღა აჩერებდნენ, მაგრამ სტუმრებმა ამით ვერაფერი იხეირეს. შაკილმა რამდენიმეწუთიან მონაკვეთში ექვსი საჯარიმოდან ოთხი გამოიყენა (სულ მან ხუთწუთიან მონაკვეთში ცხრა ქულა გააკეთა). მატჩის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე მან ორივე საჯარიმო ჩააგდო და ანგარიში გაათანაბრა — 77:77. წუთნახევარში „ლეიკერსი“ კობი ბრაიანტის ასევე ორი საჯარიმოს წყალობით წინ გავიდა — 81:79. აქ პორტლენდელ რაშიდ ვოლესს ნერვებმა უმტყუნა, ორი საჯარიმო ააცილა, რაც დასასრული აღმოჩნდა, რადგან „პორტლენდს“ სხვა შანსი აღარ მისცემია. მატჩის დამთავრებამდე ოცი წამით ადრე „ლეიკერსი“ უკვე ექვსი ქულის სხვაობით იგებდა — 88:82.

ხარობდა დარბაზში შეკრებილი ოცი ათასი კაცი რამდენიმე მილიონი ლოსანჯელესელი ქომაგი. „ლეიკერსი“ ბოლო ცხრა წლის განმავლობაში და შაკილ ონილის ხანაში პირველად გავიდა ფინალში.

## აღმოსავლეთი

| | |
|---|---|
| ინდიანა | 4 |
| ნიუ იორკი | 2 |

2 ივნისი

**ნიუ იორკი 80:93 ინდიანა**

ნიუ იორკი: ვორდი (6), ჰიუსტონი (10), სპრიუელი (32), ჯონსონი (7), იუინგი (18 ქულა, 12 მოხსნა); ჩაილდსი (6), ტომასი (1), კემბი

ინდიანა: ჯეკსონი (9), მილერი (34), როუზი (11), დევისი (9 ქულა, 16 მოხსნა), სმიტსი (4); ბესტი (10), პერკინსი (6), კროშერი (6), მაკკეი (4), ბენდერი

დედამიწის ზურგზე სულ სამი ადამიანია ისეთი, რომლებიც განსაკუთრებით სძულთ ამერიკის უდიდეს ქალაქში — ქალაქის მერი, მაიკლ ჯორდანი და რეჯი მილერი. თამამად შეიძლება ეს უკანასკნელი ამ სამეულში, პირველ ადგილზე დავაყენოთ. „ინდიანა“-„ნიუ იორკის“ სერიის შემდეგ კი მისდამი სიძულვილი კიდევ უფრო გაიზარდა. თავის მხრივ მათ არც მილერი ჩამორჩება. „მძულს „ნიუ იორკი“ და ეს ბუნებრივად მიმაჩნია, რადგან თუ შენ მეტოქე არ გეზიზღება, მას თამაშს ვერ მოუგებ. საშინელი ქალაქია ნიუ იორკი მიუხედავად იმისა, რომ ამ ბოლო წლების განმავლობაში ის ჩემთვის და ჩვენთვის (მთელი „ინდიანას“) მეორე მშობლიურ ქალაქად იქცა“ — ამბობს რეჯი მილერი.

რეჯი მილერი უზომოდ კმაყოფილია. ხუმრობა ხომ არაა, „ინდიანამ“ მისი შეწევნით „ნიუ იორკი“ დაამარცხა და კლუბის არსებობის ისტორიაში პირველად გავიდა პლეი ოფის ფინალში. „პეისერზს“ ფინალისკენ მიმავალი გზა „ნიუ იორკმა“ ორჯერ გადაუღობა. „ინდიანა“ უკეთეს დროს და ადგილს ვერ ინატრებდა სამაგიეროს გადასახდელად და მის ტრიუმფში ლომის წილი სწორედ რეჯი მილერმა დაიდო. „არ მინდოდა, შინ დამარცხებული დავბრუნებულიყავით და იქ გვეცადა ბედი. ჩავთვალეთ, ეს თამაში (რიგით მეექვსე) ჩვენთვის მეშვიდე იყო და უკანდასახევი გზა არ გვქონდა“ — თქვა მატჩის და მთლიანად სერიის გმირმა. მილერს იმ დღეს სულ 34 ქულა მოუგროვდა თამაშში, აქედან ზუსტად ნახევარი ბოლო, გადამწყვეტ მეოთხედში.

თვითონ თამაში, როგორც ამ გუნდების მონაწილეობით შემდგარი მატჩების დიდი უმრავლესობა, თანაბარი და დაძაბული გამოდგა. ტოლ-სწორად მოთამაშე მეტოქეებმა მშვიდობიანად გაწვლეს სამი მეოთხედი. მასპინძელთა მხრიდან ლატრელ სპრიუელი და პატრიკ იუინგი მარჯვობდნენ, სტუმართაგან — მთელი გუნდი. და აი, მესამე მეოთხედის ბოლო წამებზე მილერმა თავისი მძიმე არტილერია აამუშავა, მან პირველი სამქულიანი ჩააგდო და 62:62 გახადა. მეოთხედიც ასე დამთავრდა. მეოთხე თორმეტწუთეულის დაწყება და ინდიანელთა სნაიპერის მორიგი სამქულიანის ჩაგდება ერთი იყო. მომდევნო ოთხ წუთში მილერმა კიდევ ორჯერ დალაშქრა მასპინძელთა კალათა შორი დისტანციიდან. მანამდე დალაგებულად მოთამაშე „ნიქსი“ საბოლოოდ მოიშალა. მასპინძლები გუნდთან საბრძოლველად გამოვიდნენ მოედანზე და ხელში კი ის გამხდარი კაცი შერჩათ, რომელიც ლამის მარტო ეომებოდა ვიცე-ჩემპიონს. ნიუიორკელები მილერის შეჩერებას ჯარიმების წყალობითღა ახერხებდნენ, მაგრამ ფონს ვერც ამგვარად გავიდნენ. რეჯი სამქულიანებს არ აცილებს და რაღა საჯარიმოების სროლისას გაუწყრებოდა ღმერთი. ოთხჯერ დაჯარიმდნენ და მანაც რვა სროლიდან ყველა ჩააგდო, მიუხედავად იმისა, რომ „მედისონ სკვერ გარდენში“ შეკრებილი ორი ათეული ათასი კაცი თავზე მთელი ძალით დაჰყვიროდა. ყველაფერი ამით დასრულდა. დარბაზში მყოფთაგან მხოლოდ რამდენიმე ათეული ადამიანი ხარობდა — მათი „ინდიანა“ ფინალში გავიდა. დადუმებულიყო ათასობით გულშემატკივარი და თუ ვინმე პირს გააღებდა, ისიც გინების სათქმელად.

...იმ დღეს მშვენივრად ირჯებოდა ნიუიორკელი პატრიკ იუინგი. მან 18 ქულა გაუხერხა მშობლიურ „ნიქსს“ და საერთოდ ასაკისა და ხშირი ტრავმიანობის მიუხედავად, კვლავ რჩება ლიგის ერთ-ერთ საუკეთესო ცენტრად მაგრამ... ბოლო ორი პლეი ოფის განმავლობაში „პეისერზი“ და „ნიქსი“ ორ სერიაში 12-ჯერ წარდგნენ ერთმანეთის წინაშე, აქედან იუინგმა ექვს მატჩში ვერ ითამაშა ტრავმის გამო. ამ ექვსი მატჩიდან „ნიუ იორკმა“ ხუთი მოიგო, ხოლო იუინგთან ერთად ჩატარებულთაგან ამდენივე წააგო.

**ირაკლი ფირცხვილი**

საქართველოს ჩემპიონატი
ნახევარფინალი
III მატჩი

**აზოტი — სტუ 2:1**

3 ივნისი. რუსთავი

**აზოტი 80:78 სტუ**

I ტაიმი 44:40
**აზოტი:** ა. ღლენტი (13), გაბისონია (16), გოგობერიშვილი (30), ბაბიაშვილი (7), მ. ბერუაშვილი (13); წიკლაური (1), ლ. ჩაჩუა
**სტუ:** თორთლაძე (22), ტუღუში (9), ლოსაბერიძე (10), ორმოცაძე (10), ოთიურიძე (3); ჩუბინიძე (11), კორძაძე (6), მიქაძე (3), მინაშვილი (2), მოისწრაფიშვილი (2), სულაძე
**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი
**კომისარი:** როლანდ ხომერიკი

# აქედან თორთლაძე, იქიდან გოგობერიშვილი

**ირაკლი ფირაშვილი** რუსთავიდან



კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა დუდუ დადიანმა (შუაში) მსაჯები დაძაბულობას გამოარიდა



ფარქვეშ შესულ ამროსი ორმოცაძეს (№13) აზოტელი ზაზა გაბისონია გადაეღობა

შინაურ დარბაზში პირველივე ოფიციალურ შეხვედრაში მარცხნაჭამმა სტუ-მ სერიაში მომდევნო ორი შეხვედრა მეტოქის მოედანზე გაცილებით სოლიდურად ჩაატარა, ვიცე-ჩემპიონებს ერთი შეხვედრა მოუგო და ფინალში გასვლა რამდენიმე დღით გადაუვადა. როგორც ჩანს, სტუდენტებმა კარგად გააანალიზეს პირველ მატჩში დაშვებული შეცდომები და შესაბამისი დასკვნებიც გამოიტანეს. ჭკუანასწავლი სტუ გაცილებით უკეთ ირჯებოდა: შინ რუსთავის „აზოტმა“ სულ სხვა გუნდი იხილა მეტოქედ. რუსთავში პირველი გამარჯვების შემდეგ სტუდენტებს მეორე თამაშის მოგების შანსიც ჰქონდათ, მაგრამ სერიის მესამე მატჩში „აზოტმა“ დამსახურებულად იმარჯვა და სერიაშიც დაწინაურდა.

თვითონ შეხვედრა დაძაბული გამოდგა. ერთობ ღელავდნენ როგორც მოედანზე მყოფნი (მსაჯების ჩათვლით), ასევე „აზოტის“ პატარა დარბაზში მოგროვილი გულშემატკივრები. ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ ვერც ერთმა გუნდმა ვერ მოახერხა ისეთი სოლიდური უპირატესობის მოპოვება, რომ ორიოდე წუთით ამოესუნთქა. გუნდებს შორის სხვაობაც თერთმეტ ქულას არ გასცილებია. ამ მხრივ გრძელი სკამის მქონე სტუ გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში იყო. სტუდენტთა დამრიგებელი ნუგზარ ჭეიშვილი შემადგენლობას ხშირად ცვლიდა, მაგრამ ეს მისი გუნდის თამაშის ხარისხზე ნაკლებად მოქმედებდა.

ანგარიში სტუმრებმა გახსნეს ამროსი ორმოცაძის ორი საჯარიმოს შემდეგ. ნახევარ წუთში გამოცდილი ორმოცაძის ყმაწვილმა თანაგუნდელმა კოტე ტუღუშმაც ივაჟკაცა, სამქულიანი ჩააგდო და სტუ 5:0 დაწინაურდა. რუსთაველთაგან სტუმრებს პირველმა რამაზ გოგობერიშვილმა უპასუხა, როცა ბერუაშვილის აცილებულს ფარქვეშ დაამატა. რამდენიმე წუთის შემდეგ მანვე თავისი პირველი სამქულიანი ჩააგდო და „აზოტი“ პირველად დაწინაურდა — 11:10. მერეც ძირითადად მასპინძლები ბატონობდნენ მოედანზე, თუმცა არც სტუმრებს დაუზოგავთ თავი. ისინი „აზოტს“ სხვაობის გაზრდის საშუალებას არ აძლევდნენ. განსაკუთრებით ჩუბინიძე აქტიურობდა და პირველ ნახევარში სტუდენტთა შორის საუკეთესოც გახლდათ. ტაიმის დამთავრებამდე რვა წუთით ადრე „აზოტი“ თერთმეტი ქულით (34:23) დაწინაურდა, მაგრამ მეტოქე მაინც ვერ გატეხა. პირიქით, სტუდენტებს უფრო მიეცათ გული, გაალმასებით ეკვეთნენ მასპინძლებს და ორ წუთში ოთხი ქულით წამოეწივნენ ლიდერს — 36:32. დარჩენილ დროში „აზოტმა“ კვლავ გაიბრძოლა, მაგრამ სხვაობა ველარ გაზარდა. ჩუბინიძემ თავისიანთა ზედიზედ სამი შეტევა წარმატებით დააგვირგვინა და ტაიმიც 44:40 დამთავრდა.

აქვე აღვნიშნოთ რუსთაველი რამაზ გოგობერიშვილის კარგი თამაში პირველ ტაიმში. რამაზმა 18 ქულა მიითვალა და ლიდერის ჭაპანიც რიგიანად გასწია. ამიტომ შესვენების შემდეგ მოიქანცა და ოდნავ ჩრდილში მოექცა, მაგრამ თურმე მატჩის ბოლოსთვის ინახავდა ძალებს. პირველ ნახევარში გუნდები მეტ ყურადღებას შეტევას უთმობდნენ, ამასთან ბურთს პერიმეტრზე ათამაშებდნენ და იშვიათად უტევდნენ ფარქვეშიდან. ნაკლებად ჩანდნენ მასპინძელთა მაღლები. ბერუაშვილი და ბაბიაშვილი ხშირად ამოდიოდნენ ფარს გარეთ და შორი და საშუალო მანძილებიდან სროლას ამჯობინებდნენ, ამ დროს კი სტუდენტებს ფარქვეშა სივრცეში მეტი თავისუფალი სივრცე ექმნებოდათ.

მეტოქეებს დაცვაში თამაშით არც მეორე ტაიმში მოუკლავთ თავი. ორმხრივ სწრაფ შეტევებში სტუდენტებმა უფრო იხეირეს. გამოცდილმა ორმოცაძემ შორი მანძილიდან ივარგა და სტუ პირველი ნახევრის დასაწყისის შემდეგ პირველად დაწინაურდა — 53:50. თუმცა ამას რუსთაველთა სამწუთიანი აფეთქება მოჰყვა და სტუმრებმა ლიდერობა კვლავ „აზოტმა“ გადაულოცეს. სამწუთიანი მონაკვეთის 14:3 მოგებაში ლომის წილი მასპინძელთა უკანახაზელმა ზაზა გაბისონიამ დაიდო, რომელმაც ზედიზედ ორჯერ დალაშქრა სტუმართა კალათი.

დაძაბულ თამაშს ინციდენტის გარეშე არ ჩაუვლია, რომელიც არა მოთამაშეებს, არამედ მსაჯსა და გულშემატკივრებს შორის მოხდა. მეორე ნახევრის შუაწელში ქუთაისელმა მსაჯმა ზაზა მაჩალაძემ მაყურებლის გინებას გინებითვე უპასუხა, რის შემდეგაც რუსთაველმა გულშემატკივრებმა ტრიბუნიდან მოედანზე გადაინაცვლეს და მასზე გაიწიეს. არბიტრს კარგი დღე არ დაადგებოდა, თავად მოთამაშეებს რომ არ დაეშოშმინებინათ აბობოქრებული ხალხი. თამაში ათიოდ წუთით შეწყდა, მაგრამ მალე ყველაფერი მოგვარდა, მსაჯები გამოჩნდნენ და მატჩიც განახლდა.

სტუ რვა ქულის სხვაობით აგებდა, თუმცა ამას არ შეუშინებია. სტუმრები კვლავ მთელი მონდომებით უტევდნენ მასპინძელთა ფარს და დაცვაც უფრო გაამკაცრეს. რუსთაველებმა დროის გაყვანა დაიწყეს და ცდილობდნენ, შეტევისთვის განკუთვნილი 30 წამი ბოლომდე გამოეყენებინათ, მაგრამ სტუდენტები ამის საშუალებას არ იძლეოდნენ და მეტოქეს იძულებულს ხდიდნენ, 15-18 წამით ადრე შეეტიათ. შეხვედრის ბოლო წუთი კი გუნდების ლიდერების — რამაზ გოგობერიშვილისა და დავით თორთლაძის დუელად იქცა. ძირითადად ეს ორი კაცი თამაშობდა, თუმცა, გოგობერიშვილისაგან განსხვავებით, თორთლაძეს ხელს არავინ უშლიდა. რუსთაველი ბურთს მიიღებდა თუ არა, სტუდენტები მასზე დაუყოვნებლივ ჯარიმდებოდნენ, რამაზიც საჯარიმოს ხაზიდან იშვიათად ცდებოდა და მეტოქეს ამოცანას ურთულებდა. თორთლაძეს კი, რომელიც მანამდე არაფრით გამოირჩეოდა, რუსთაველთაგან არავინ ზღუდავდა. მან მაშინღა მიიპყრო მასპინძელთა ყურადღება, როდესაც ბოლო წუთის განმავლობაში ზედიზედ მესამე სამქულიანი ჩააგდო და სხვაობა ერთ ქულამდე დაიყვანა — 77:76. აქ გოგობერიშვილმა კვლავ ორი საჯარიმო შეასრულა ზუსტად, დამთავრებამდე 20 წამით ადრე, რასაც კვლავ თორთლაძემ უპასუხა, ოღონდ ამჯერად არა სამქულიანით, არამედ ორი საჯარიმოთი. თავის მხრივ, იგი მაშინვე დაჯარიმდა ღლენტზე და რუსთაველთა გამთამაშებელმაც ერთი ჯარიმა გამოიყენა — 80:78. სტუდენტებს კიდევ ათი წამი ჰქონდათ, მაგრამ თორთლაძემ გმირობა ველარ ჩაიდინა, სამი წამით ადრე ბურთი დაკარგა და გამარჯვებაც მასპინძლებს გადაულოცა.

საქართველოს ჩემპიონატი
ნახევარფინალი
III მატჩი

**ბასკო — სდასუ 3:0**

3 ივნისი. ბათუმი

**ბასკო 70:40 სდასუ**

I ტაიმი 37:19
**ბასკო:** მაისურაძე (6), კვაჭაძე (13), ბეჟანიშვილი (6), ქარაბაკი (4), ვ. კილაძე (8); ბელიაევი (3), აბრამიძე (7), კეშელავა (7), არხიპოვი (14), ჭეიშვილი (2), გ. კილაძე
**სდასუ:** ხოშტარია (2), გ. ჩხეიძე (2), ანდღულაძე (4), სუხიშვილი (9), მაჭარაძე (11); ლ. აბულაძე, უძილაური (3), ნ. ნოზაძე (9), არჩვაძე
**მსაჯები:** ზურაბ აბაშიძე, როლანდ გელოვანი
**კომისარი:** ნოდარ დარახველიძე

# ბასკოს რუსმა აჭარული იცეკვა

**გიორგი ბიკაშვილი** ბათუმიდან

„ბასკოს“ რუსი ლეგიონერი, ანდრეი ბელიაევი საქართველოში გამომგზავრებამდე და მერეც, ალბათ, ვერც კი წარმოიდგენდა, რომ კალათბურთის თამაშის გარდა ბათუმელ ქომაგს სხვა რამითაც მოაწონებდა თავს. „სხვა რამ“, არც მეტი, არც ნაკლები მისი ცეკვაა: მატჩის შემდეგ ანდრეიმ მაყურებლის თხოვნით აჭარული ჩაახვია (ცხადია, შეძლებისდაგვარად) და ასე ორიგინალურად აღნიშნა ზღვისპირულმა გუნდმა მისთვის პირველი ხელშესახები წარმატება — ქვეყნის ფინალისტობა.

ყოველივე მხოლოდ წამიერად გაგრძელდა და სიხარულით გამოწვეული ემოციებიც მალევე ჩაცხრა. მოკრძალებულად იზეიმა „ბასკომ“ ფინალში გასვლა, შემდეგ მეტოქის გულწრფელი მილოცვაც მიიღო და ყველაფერიც თავის ადგილზე დალაგდა. იმ წუთიდან მოყოლებული მხოლოდ ერთი საზრუნავი შერჩათ ბათუმელებს — ჩემპიონობა...

სტუდენტური სდასუ ნამდვილად არ აღმოჩნდა ის გუნდი, ფინალისკენ მიმავალ გზაზე „ბასკოსთვის“ გადაესწრო. პლეი ოფის ნახევარფინალის მეორე ბათუმურმა შეხვედრამ ყოველივე კიდევ უფრო მკაფიოდ წარმოაჩინა. აშკარად სხვა კლასისა და გაქანების გუნდები წარსდგნენ შაბათს ერთმანეთის წინაალმდეგ. სრულიად სხვადასხვა იყო მეტოქეთა მოტივაციაც: „ბასკო“ მხოლოდ მოსაგებად და ფინალის საგზურის დასაბევებლად იყო მომართული, სდასუ კი, ისე ჩანდა, მარცხს წინდაწინვე შეჰგუებოდა.

საამმატჩოდ მასპინძლებმა დისკვალიფიკაციამოხდილი ვალერი კილაძე შეიმატეს და ამით „ბასკოს“ წინა ხაზი კიდევ უფრო მძლავრი გახდა. წინა დღით დაშავებული ალეკო დავითულიანის არყოფნა კი, მენჯ-ბარძაყის სახსრის დაჭიმულობა რომ დაუდგინეს ექიმებმა, დიდად არც დასტყობია ზღვისპირულ გუნდს.

„ბასკოს“ სასტარტო ხუთეულში დავით კვაჭაძე რომ გამოჩნდა, ვერ გეტყვით, დავითულიანის ტრავმას მივაწეროთ თუ გუნდის მთავარი მწვრთნელის, ზურაბ ტომარაძის მიგნებას, მაგრამ ამან ძალიან გაამართლა. კვაჭაძე სდასუელთა ლიდერსა და კაპიტანს, ირაკლი ხოშტარიას დაუდგა და... პირველი ბურთი სტუდენტთა ბომბარდირმა მეათე წუთზე ჩააგდო, სულ კი ორ ქულას დასჯერდა.

მართალია, ხოშტარია თავიდანვე ფეხს იტკიებდა და ტაიმის მიწურულს შეცვლაც კი სთხოვა მწვრთნელ ლევან მოსეშვილს, მაგრამ ეს ოდნავადაც არ ჩრდილავს დავით კვაჭაძის ძალიან კარგ თამაშს. იგი შეტევაშიც მშვენივრად მოქმედებდა და ანტონ არხიპოვის შემდეგ თანაგუნდელთა შორის ყველაზე მეტი ქულაც მოინაგრა.

ანგარიში გიორგი ჩხეიძემ გახსნა და სდასუ დააწინაურა, მერე კი მთელი შეხვედრა „ბასკოს“ უპირატესობით წარიმართა და ახლოს აღარც გაიკარა მოწინააღმდეგე, რასაც ბათუმელებმა დაცვაში გონივრული და შეთანხმებული თამაშის წყალობით მიაღწიეს. ამ კომპონენტში მათ სიძლიერეზე გაშვებულ ქულათა რაოდენობაც მეტყველებს, ტაიმში სულაც 19 ქულის მოგროვება შეძლო სდასუ-მ.

ჩხეიძის ჩაგდებულიდან მოყოლებული „ბასკომ“ სამწუთიანი მონაკვეთი 9:0 მოიგო, რაც კვაჭაძისა და კილაძის აქტიურობის შედეგი გახლდათ. ვერც მოსეშვილის წუთშესვენებამ და სდასუ-ს მხრიდან წინა მატჩის მსგავსად დაცვაში ზონურად გამაგრებამ შეცვალა საერთო სურათი. ბათუმელები კვლავაც ლიდერობდნენ და სტუდენტებმა ახლა მანამდე უსაქმოდ მყოფი შოთა მაჭარაძის გამოყენება გადაწყვიტეს — თამაში ფარქვეშ გადაიტანეს.

სდასუ-მ ოდნავ გამოისწორა მდგომარეობა და შოთა უძილაურის სამქულიანის შემდეგ ხუთ ქულამდე მიუახლოვდა „ბასკოს“, მაგრამ მერე მოედანზე მამუკა აბრამიძე გამოჩნდა, რომელმაც რამდენჯერმე კარგი პასებით ხელსაყრელ პოზიციებში დატოვა პარტნიორები. დავით კვაჭაძის ზედიზედ ორი გარღვევაც და ახლა უკვე თერთმეტქულიანი სხვაობა დაფიქსირდა — 28:17.

სწორედ ამ ეპიზოდში ითხოვა შეცვლა სდასუელმა ირაკლი ხოშტარიამ, რომლის მოედნიდან გასვლის შემდეგ სტუდენტთა შეტევებს ერთიორად მოაკლდა სიმწვავე. „ბასკომ“ პირიქით, საკუთარი თავის მეტად ირწმუნა და ტაიმის ბოლომდე დარჩენილი დროც ალმავლობით ჩაატარა. აბრამიძის სამიანის შემდეგ სხვაობამ 18 ქულას უწია, რაც სრულიად ლოგიკური გახლდათ.

მეორე ნახევარში ლევან მოსეშვილის შეძახილი — ჩათვალეთ, ნულით ნულია და ყველაფერი თავიდან იწყება — იმაზე მიგვანიშნებდა, რომ სდასუ მხოლოდ სხვაობის გაზრდაში თუ შეუშლიდა ხელს მეტოქეს. თავის მხრივ, ცხადია, ტაიმის მოგებასაც შეეცდებოდა. „ბასკომ“ სტუდენტთა ჩანაფიქრის არაფერი იცოდა და შესვენების შემდეგაც მაქსიმალურად მობილიზებული შეეგება სტუმართ, რითაც მათი მოკრძალებული მიზანიც განუხორციელებელი დატოვა. „ბასკომ“ კიდევ უფრო განიმტკიცა ლიდერობა და ზურაბ ტომარაძეც ერთთავად ექსპერიმენტებს მიეძალა. თვალნათლივ ჩანდა, რომ ფიქრით უკვე სულ სხვაგან იყო მწვრთნელი...

# გააშველეთ!

## ქურიძემ მომხდურებს ხურდა დაუბრუნა, ქლენტმა კი აზოტი ფინალში გაიყვანა

საქართველოს ჩემპიონატი
ნახევარფინალი IV მატჩი
ფინალი

**აზოტი — სტუ 3:1**

5 ივნისი. სტუ-ს დარბაზი

**სტუ 69:86 აზოტი**

I ტაიმი 27:44

სტუ: თორთლაძე (5), მიქაძე (6), ტუღუში (8), ორმოცაძე (8), კორძაძე (3); მოისწრაფიშვილი (2), სულაძე, ოთიურიძე, ლოსაბერიძე (6), მინაშვილი (19), ჩუბინიძე (12)

აზოტი: ა. ქლენტი (38), ლ. ჩაჩუა (2), გოგობერიშვილი (19), ბაბიაშვილი (4), მ. ბერუაშვილი (10); გოგოლაძე (8), კოქლამაზაშვილი (2), წიკლაური (3)

მსაჯები: მურმან ქურიძე, დავით ბერეკაშვილი

კომისარი: როლანდ ხომერიკი

**როლანდ ლაბუჩიძე**

მორჩა, მიმდინარე ჩემპიონატის ნახევარფინალები ისტორიის კუთვნილება გახდა. რუსთავის „აზოტმა“ სტუ-ს თბილისში დაწყებული რბევა თბილისშივე დაასრულა და ზედიზედ მესამედ გავიდა ფინალში, სადაც ერთი დღით ადრე ადგილი ეროვნული ჩემპიონატის დებიუტანტმა და რეგულარულის საუკეთესო გუნდმა ბათუმის „ბასკომ“ დაიბევა. რა შედეგითაც არ უნდა დამთავრდეს მიმდინარე გათამაშება, ქართული კალათბურთის ისტორიაში მაინც განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს. იგი ხომ პირველი ჩემპიონატია, როცა თბილისის გუნდები ფინალს მიღმა დარჩნენ, ოქროს მედლებისთვის კი რეგიონის წარმომადგენლები იბრძოლებენ. თუნდაც ერთი წლის წინ რომ ვინმეს ასეთი პროგნოზი გაეკეთებინა, ხუმრობად ჩაეთვლებოდა. ვერაფერს იტყვი, მართლაც რომ სასიამოვნო მოულოდნელობაა. თუ რუსთაველთა ფინალისტობას დიდი ხანია, შევეჩვიეთ, ეროვნული ჩემპიონატის დაწყებამდე „ბასკოს“ ფინალში გასვლას აბა, ვინ იფიქრებდა.

მოგეცათ ლხენა, მარტო სასიამოვნო თემაზე გვიხდებოდეს საუბარი, მაგრამ ვაი, რომ არ არის ასე. მუშტიკრივით დაწყებული ნახევარფინალური მატჩების სერია გუშინ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სავარჯიშო დარბაზში უფრო ამაზრზენი ფაქტით, მამისტოლა მსაჯის ცემა-ტყეპით დასრულდა. რა ავალდებულებდა ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატს, საქართველოს კალათბურთის ფედერაციის მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარეს, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯ მურმან ქურიძეს, სამსაჯოდ გასულიყო მოედანზე? მხოლოდ კალათბურთის სიყვარული და მეტი არაფერი. ცხენს ვერაფერი დააკლო, უნაგირს წაუშინაო, სწორედ იმ პირებზე ითქმის, ვინც გუშინ ბატონ მურმანს შეურაცხყოფა მიაყენეს. შეუძლებელია, გუშინდელ მსაჯობაზე ვინმეს აუგი დასცდენოდა. მაშინ რამ გაამწარა მოედანზე გადასული რამდენიმე გულშემატკივარი, რომლებმაც მსაჯს მუშტი-კრივი გაუმართეს?

მოვუსმინოთ თვითონ დაზარალებულს, ბატონ მურმან ქურიძეს:

— „თამაშის დამთავრებამდე ზუსტად 53 წამი რჩებოდა და ანგარიში 84:67 იყო „აზოტის“ სასარგებლოდ. რაკი ვერ შევამჩნიეთ, ვისგან დატოვა ბურთმა მოედანი, ჩემმა კოლეგა დავით ბერეკაშვილმა სადავო დანიშნა. ბურთთან მივედი, რათა თამაშში შემეყვანა. ამ დროს მოედანზე ორი ახალგაზრდა შემოვიდა, რომელთაც ფიზიკური შეურაცხყოფა მომაყენეს. ვალში არც მე დავრჩენილვარ. შემდეგ გამშველებლები ჩაერივნენ საქმეში და უკვე ძნელი იყო რაიმეს გარჩევა.“

ქურიძის თქმით, მან ვერ იცნო მოედანზე შესული ახალგაზრდები. თვითმხილველებმა კი მათ შორის ეროვნულ ჩემპიონატში მოასპარეზე კალათბურთელები ამოიცნეს.

თვითონ ქურიძის საქმეა, იცნო თუ არა მან ხულიგნები, აპატიებს თუ არა მათ შეურაცხყოფას, მაგრამ არამც და არამც არ უნდა წაუყრუოს აღნიშნულ ფაქტს კალათბურთის ფედერაციამ, რომელმაც ერთი შეცდომა უკვე დაუშვა და სავარჯიშო დარბაზში დანიშნა ისეთი მნიშვნელოვანი შეხვედრები, რომლებიც ფინალისტის ბედს წყვეტდა. სად გაგონილა, სათამაშო მოედნის ხაზის გასწვრივ გულშემატკივრები ისხდნენ. მე შენ გეტყვი, პოლიცია იცავს სპორტსმენებს და მსაჯებს, თუ შინაგანი ჯარი. ქართველები ხომ ყოველთვის საკუთარ შეცდომებზე ვსწავლობთ.

დავუბრუნდეთ შეხვედრას, რომელიც სტუ-მ, ისევე, როგორც ნახევარფინალის პირველი მატჩი, პირწმინდად დათმო, ხოლო „აზოტმა“ თავისი ერთ-ერთი საუკეთესო თამაში ჩაატარა. მოედანზე მყოფმა ყველა აზოტელმა სული და გული ჩადო შეხვედრაში და დაუფასდათ კიდეც. ვერც სტუდენტებზე იტყვის კაცი, არ მოინდომესო, მაგრამ მეტოქეს აშკარად ჩამოუვარდებოდნენ.

სტუმართაგან ამ დღეს განსაკუთრებით გამოირჩა გამთამაშებელი არჩილ ქლენტი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მის კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი იყო. განსაკუთრებით სასიამოვნოა გამთამაშებლის გამორჩევით თამაში, რადგან ქართულ კალათბურთს ყველაზე მეტი პრობლემა უკანა ხაზში დაუგროვდა. ქლენტი შესანიშნავად ათამაშებდა ბურთს, კარგად ისროდა საჯარიმოებს (20 შესაძლებლიდან 18 ჩააგდო), ჩინებული იყო სამქულიანებში და ფარის ქვეშ ოსტატური თამაშითაც არაერთხელ დაიმსახურა გულშემატკივართა ოვაციები.

როგორც ყოველთვის, ჩვეული ოსტატობით თამაშობდა რამაზ გოგობერიშვილი, ფარზე კი ბაბიაშვილი და ბერუაშვილი გაბატონდნენ. ტრავმირებული გაბისონიას ნაცვლად სასტარტო ხუთეულში ლევან ჩაჩუამ ითამაშა. მას თავიდან გაუჭირდა, მაგრამ შემდეგ შეეწყო თანაგუნდელებს და განსაკუთრებით დაცვაში იყოჩაღა.

მასპინძელთაგან პირველ ტაიმში მხოლოდ ვახტანგ მინაშვილი გამოირჩეოდა, მეორე ნახევარში ზურაბ ჩუბინიძეც გამოცოცხლდა, რასაც სტუ-ს სხვა კალათბურთელებზე ვერ ვიტყვით.

თამაშის დასაწყისში არავინ იფიქრებდა, რომ სტუ კვლავ შერცხვებოდა საკუთარ მოედანზე. ანგარიშიც მასპინძლებმა გახსნეს ტუღუშის ზუსტად შესრულებული სამქულიანის შემდეგ. ეს იყო და ეს, ამის შემდეგ სტუ აღარ დაწინაურებულა. სულ მალე რამაზ გოგობერიშვილმა გაათანაბრა სამქულიანით. შემდეგ კი დაიწყო სტუმრების შტურმი, რომელმაც მიწასთან გაასწორა მასპინძელთა დაცვა. მეცხრე წუთის ბოლოს ანგარიში 21:5 იყო „აზოტის“ სასარგებლოდ. ნოკდაუნში მყოფი სტუდენტებიდან პირველად გონს მინაშვილი მოეგო, რომელმაც რვა წუთის განმავლობაში 5 ქულაზე გაყინულ სტუ-ს ფარის ქვეშ კარგი თამაშით ორი ქულა მოუტანა.

სანახაობრივად, თუ არ ჩავთვლით ბოლო წუთებში მომხდარ ინციდენტს, მეორე ტაიმი ბევრად უფრო საინტერესო გამოდგა. მართალია, მოგვიანებით, მაგრამ თამაშის იმტაზე მოსულმა სტუ-მ აზარტში შესულ „აზოტს“ მაინც გაუწია სერიოზული წინააღმდეგობა. ოცდაერთქულიანი სხვაობა ცხრამდე კი დაიყვანა, მაგრამ მეტის გაკეთება ვერ შეძლო. მე-18 წუთის შემდეგ ბურთს ძირითადად ქლენტი ფლობდა და არავის ანებებდა. სტუ-ს ისღა დარჩენოდა, დროის მოგებით მიზნით ჯარიმებზე ეთამაშა, მაგრამ იღბალი არ გინდა? ქლენტი უნაკლოდ ასრულებდა საჯარიმო სროლებს, დაცვაში კი გასაქანს არ აძლევდა მეტოქეს.

ტაიმის ბოლო წუთზე მოედანზე მომხდარი ვანდალიზმის გამო მატჩი 10-15 წუთით შეწყდა. მართალია, შემდეგ იგი განახლდა, მაგრამ, შეხვედრამ ფორმალური სახე მიიღო, რადგან აღარც სპორტსმენები იყვნენ თამაშისა და ზეიმის ხასიათზე და მაყურებელსაც გუნება წაუხდა.



ზურაბ ჩუბინიძე (№15) და აზოტელი მიხეილ ბერუაშვილი



სტუდელი გოდერძი კორძაძე მეტოქის კალათს უტევს

ესპანეთი. ACB

## ინტერნაციონალური სამეულის სამქულიანებით



ABC

რეალელი ალექსანდრ ჯორჯევიჩი (ბურთით) ენტონი გოლდვაიერს დაეჯახა

პლეი ოფის ფინალი
(სამ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| ბარსელონა | 2 |
| რეალი | 2 |

**რეალი 71:80 ბარსელონა**

რეალი: ა. ანგულო (17), სტრიულენსი (8), ჯორჯევიჩი (18), ლ. ანგულო (10), გალილეა, ერეროსი (5), სკოტი (6), მიხაილოვი (2), იტურბე (5)

ბარსელონა: როდრიგესი (5), გოლდვაიერი (9), ალსტონი (6), ელსონი, დიგბო (17), გუროვიჩი (8), დუენიასი (5), ნავარო (13), რენციასი (4), გასოლი (13)

მადრიდის „რეალმა“ დიდებული შანსი დაკარგა. შინ, „პაბელონ დეპორტეს რაიმუნდო საპორტაში“ „ბარსელონა“ რომ დაემარცხებინა, სამეფო კლუბი ესპანეთის ჩემპიონი გახდებოდა. პირიქით მოხდა, „ბარსელონამ“ იმარჯვა და გადამწყვეტ მატჩში თავად უმასპინძლებს მადრიდელებს „პალაუ ბლაუგრანაში“.

„ბარსელონა“ თავიდანვე დაწინაურდა და მალე ათქულიანი უპირატესობა მოიპოვა — 15:5. „რეალი“ ბევრს ეცადა, მაგრამ მხოლოდ სამ ქულამდე მოახერხა ანგარიშის შემცირება (31:28). პირველი ტაიმის ბოლო წუთებზე ბარსელონელმა პაუ გასოლმა რამდენიმე საჯარიმო ჩააგდო და შესვენებაზე მისი გუნდი შვიდქულიანი მარაგით წავიდა — 35:28.

მადრიდელებმა კარგად დაიწყეს მეორე ტაიმი და 42:40 დაწინაურდნენ კიდეც. ეს მასპინძელთა ბოლო გაბრწყინება აღმოჩნდა. „ბარსამ“ მალევე მოიგო ერთი მონაკვეთი 11:0. ამ ხნის განმავლობაში იუგოსლაველმა მილან გუროვიჩმა, ფრანგმა ალენ დიგბომ და ამერიკელმა ენტონი გოლდვაიერმა სამქულიანები ჩააგდეს. „რეალი“ წამოწევას ვერ ახერხებდა, მისმა მწვრთნელმა, იტალიელმა სერჯო სკარიოლომ ბოლო ავანტიურას მიმართა: თამაშში ჩართო ალბერტო ერეროსი, რომელსაც ფინალურ სერიაში აქამდე არ ეთამაშა. ჩანს, ერეროსს ბოლომდე არ მოურჩენია ტრავმა, რადგან ჩვეული სიზუსტით ვერ ესროდა და ათ წუთში მხოლოდ ერთი სამქულიანი (სამი სროლიდან) და ორი საჯარიმო ჩააგდო.

„ბარსელონამ“ ქულათა თითქმის ნახევარი (38) საჯარიმოებით დააგროვა. „რეალის“ კალათბურთელები 33-ჯერ დაჯარიმდნენ, ხოლო ბარსელონელებმა 52 საჯარიმო ესროლეს. მადრიდელებიდან ხუთ-ხუთი პერსონალურის გამო ნაადრევად გავარდნენ ერიკ სტრიულენსი, ალექსანდრ ჯორჯევიჩი და იკერ იტურბე, ხოლო ლუსიო ანგულოს და ბრენტ სკოტს ოთხ-ოთხი ჯარიმა ჰქონდათ. „ბარსელონაში“ საუკეთესო იყო ფრანგი ალენ დიგბო: 21 წუთში მან სამიდან სამი ორქულიანი, ოთხიდან სამი სამქულიანი და ორი საჯარიმო ჩააგდო.

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | შვეიცარია. მე-14 ტური | | | |
| | 7 ივნისი | | | |
| 001 | ბაზელი-ლოზანა | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 002 | ქსამაქსი-ლუცერნი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 003 | სენტ გალენი-გრასჰოპერი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 004 | ივერდონი-სერვეტი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | რუსეთი. მე-11 ტური | | | |
| | 8 ივნისი | | | |
| 005 | ანჟი-ცსკა | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 006 | ნ.ნოვგოროდი-როტორი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 007 | დინამო-ფაკელი | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| 008 | სატურნი-სპარტაკი | 6,5 | 3,2 | 1,5 |
| 009 | ჩერნომორეცი-კრილია | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| 010 | ტორპედო-ლოკომოტივი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 011 | ზენიტი-ურალანი | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| 012 | როსტსელმაში-ალანია | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | პოლონეთი. თასის ფინალი. | | | |
| | I მატჩი | | | |
| | 6 ივნისი | | | |
| 013 | ამიკა-ვისლა | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| | ამხანაგური მატჩები | | | |
| | 7 ივნისი | | | |
| 014 | ლუქსემბურგი-ესპანეთი | 8,0 | 4,4 | 1,25 |
| | ჰასანის თასი (მაროკოში) | | | |
| | 6 ივნისი | | | |
| 015 | მაროკო-საფრანგეთი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| | ტურნირი აშშ-ში | | | |
| | 6 ივნისი | | | |
| 016 | აშშ-ირლანდია | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | 7 ივნისი | | | |
| 017 | მექსიკა-სამხრეთ აფრიკა | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| | ჰოკეი | | | |
| | 8 ივნისი | | | |
| 018 | ნიუ ჯერსი- დალასი | 1,7 | 4,0 | 2,4 |
| | კალათბურთი | | | |
| 019 | | | | |

### ევროპის ჩემპიონატი

ჩემპიონი/ფინალში გასვლა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 101 | ჰოლანდია | 3,7 | 201 | ჰოლანდია | 2,0 |
| 102 | იტალია | 4,0 | 202 | იტალია | 2,5 |
| 103 | ინგლისი | 4,0 | 203 | ინგლისი | 2,5 |
| 104 | გერმანია | 5,0 | 204 | გერმანია | 3,0 |
| 105 | საფრანგეთი | 6,0 | 205 | საფრანგეთი | 3,5 |
| 106 | ესპანეთი | 6,0 | 206 | ესპანეთი | 3,5 |
| 107 | ბელგია | 10,0 | 207 | ბელგია | 5,0 |
| 108 | იუგოსლავია | 15,0 | 208 | იუგოსლავია | 7,0 |
| 109 | ნორვეგია | 15,0 | 209 | ნორვეგია | 7,0 |
| 110 | ჩეხეთი | 15,0 | 210 | ჩეხეთი | 7,0 |
| 111 | შვედეთი | 20,0 | 211 | შვედეთი | 10,0 |
| 112 | პორტუგალია | 20,0 | 212 | პორტუგალია | 10,0 |
| 113 | დანია | 30,0 | 213 | დანია | 15,0 |
| 114 | რუმინეთი | 40,0 | 214 | რუმინეთი | 20,0 |
| 115 | თურქეთი | 50,0 | 215 | თურქეთი | 25,0 |
| 116 | სლოვენია | 100,0 | 216 | სლოვენია | 50,0 |

(დასაშვებია ორი გუნდის გადამრავლება)

ჯგუფში I ადგილი/ჯგუფიდან გასვლა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 301 | ინგლისი | 1,9 | 401 | ინგლისი | 1,2 |
| 302 | გერმანია | 1,9 | 402 | გერმანია | 1,25 |
| 303 | პორტუგალია | 5,0 | 403 | პორტუგალია | 2,5 |
| 304 | რუმინეთი | 8,0 | 404 | რუმინეთი | 3,5 |
| 305 | იტალია | 1,8 | 405 | იტალია | 1,3 |
| 306 | ბელგია | 2,5 | 406 | ბელგია | 1,6 |
| 307 | შვედეთი | 3,5 | 407 | შვედეთი | 2,0 |
| 308 | თურქეთი | 10,0 | 408 | თურქეთი | 4,0 |
| 309 | ესპანეთი | 1,9 | 409 | ესპანეთი | 1,3 |
| 310 | იუგოსლავია | 3,0 | 410 | იუგოსლავია | 1,8 |
| 311 | ნორვეგია | 3,0 | 411 | ნორვეგია | 1,8 |
| 312 | სლოვენია | 15,0 | 412 | სლოვენია | 6,0 |
| 313 | ჰოლანდია | 1,7 | 413 | ჰოლანდია | 1,15 |
| 314 | საფრანგეთი | 2,5 | 414 | საფრანგეთი | 1,6 |
| 315 | ჩეხეთი | 4,0 | 415 | ჩეხეთი | 2,2 |
| 316 | დანია | 9,0 | 416 | დანია | 4,0 |

(დასაშვებია სხვადასხვა ჯგუფის გამარჯვებულების გადამრავლება)

(დასაშვებია გადამრავლება არაუმეტეს ორი გუნდისა თითოეული ჯგუფიდან)

გადამრავლება შეიძლება მხოლოდ ერთი და იმავე სახის ფსონების
(მაგ: ჯგუფიდან გასვლა მრავლდება მხოლოდ ჯგუფიდან გასვლაზე და ა.შ.)

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

ჭადრაკი

## სწრაფად, უფრო სწრაფად

მაია ჩიბურდანიძემ სწრაფი ჭადრაკის ორივე პარტია მოუგო უნგრელ ილდიკო მადლს და ბათუმში მიმდინარე ევროპის პირადი პირველობის მეოთხედფინალური მატჩი თავის სასარგებლოდ დაასრულა — 3:1, რის შემდეგაც ნახევარფინალში დაგეგმილი ოთხიდან ორი პარტიაც ითამაშა რუს ეკატერინა კოვალევსკაიასთან. ქართველმა მსოფლიოს ექსჩემპიონმა მოიგო პირველი, მაგრამ წააგო მეორე, ამიტომ დარჩენილი ორი პარტია გადამწყვეტი მნიშვნელობისაა. მეორე ნახევარფინალური წყვილი შეადგინეს რუსმა ტატიანა სტეპოვაიამ და უკრაინელმა ნატალია ჟუკოვამ, რომელმაც შეუპოვარი ბრძოლით, მხოლოდ ბლიცპარტიებში წაართვა ნახევარფინალის საგზური სლოვაკ რეგინა პოკორნას, ახლა კი ფინალამდეც ერთი ნაბიჯია — პირველი ორი შეხვედრა სტეპოვაიასთან უკრაინელმა დამაჯერებლად მოიგო და ბოლო ირში ნახევარი ქულაც ჰყოფნის.

ნახევარფინალების მესამე პარტიები დღეს იმართება.

დავით გულუა

კრივი

## გაუპატიურებულ ქალთა ცენტრი აცხადებს: დაითვალეთ ტაისონის გაგახულები

პარასკევს მაიკ ტაისონის ბრიტანეთში არშეშვების ბოლო მცდელობა წარუმატებლად დასრულდა. იმ ორგანიზაციის სახელის ზუსტად თარგმნა გაგვიჭირდა, ამიტომ გაუპატიურებულთა უფლებების დაცვის ცენტრი დავარქვათ და ეს სიმართლესთან ძალიან ახლოს იქნება. სწორედ ზემოთხსენებული ცენტრი იბრძოდა ამერიკელი მოკრივის დიდ ბრიტანეთში გამოჩენის წინააღმდეგ და უპირველეს და მყარ არგუმენტად ქვეყნის საიმიგრაციო კანონი ჰქონდა, სადაც ცხადად არის მითითებული, რომ უცხოელს, ვისაც პატიმრობაში წელიწადზე მეტი დაუყვია, ალბიონზე არ შეუშვებენ. ჩამოვთვალოთ ახლა ტაისონის დანაშაულობანი, რომელთა გამოც სასამართლოებისა და ვირის აბანოს ხშირი სტუმარი იყო? მკითხველმა იცის... ანუ მაიკისთვის თითქოს მართლაც კარები უნდა ჩაეკეტათ, მით უფრო, ხსენებული ცენტრის წარმომადგენლებს (ძირითადად ქალებს, ცხადია) საამისოდ მორალური და ფსიქოლოგიური არგუმენტებიც მოჰყავდათ. „უმნიშვნელოვანესი პროცესი იყო — ტუტრუცანობდა პარასკევს ცენტრის სპიკერი, სენდი ბრინდლი — დღეს ჩვენ ფაქტის წინაშე ვართ: მავანს, ეტყობა, შემოსავლები უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნია, ვიდრე გაუპატიურებელი ქალების სულიერი დრამები. კიდევ რითია ცუდი ტაისონის შემოშვება? დღეის ამას იქით შოტლანდიაში გაუპატიურება უფრო მისაღები და დასაშვები გახდება, იგი უფრო მოერგება ადამიანთა აზროვნებას. ეს სახუმარო არ არის..."

იქით კი პრომოუტერი ფრენკ უორენი აღფრთოვანებას ვერ მალავდა. აბა, რა იქნებოდა, გლაზგოს სასამართლომ ტაისონს ქვეყანაში შემოსვლის ნება დართო და 24 ივნისს იგი თვისტომ ლუ სავარეზეს დაეტაკება გლაზგოშივე. საიმიგრაციო კანონიც არ დარღვეულა, იქ „განსაკუთრებულ გამონაკლისებზეცაა" ლაპარაკი და ტაისონი სწორედ ასეთია. სავარეზესთან ბრძოლა 60 000-კაციან დარბაზშია დაგეგმილი და ორი მესამედი ადგილებისა უკვე გაყიდულა გვარიან ფასებში. სხვაც ბევრი რამ გაიყიდება, რითაც შოტლანდიის ბიუჯეტი ნამდვილად არ დაზარალდება. გასაგებია, მოკრივეს ნება რად მისცეს, თუმცა სექსუალური ძალადობის მსხვერპლთათვის მებრძოლნი გაჩუმებას არ აპირებენ, ახლა რამდენიმე სკოტი პარლამენტარიც მიუმხრიათ და უფრო მძლავრად დაქუხებანიც განუზრახავთ.



მაიკ ტაისონი

დავით გულუა

მძლეოსნობა

## ბეილი გზის თავში

სწორედ ასე თქვა კანადელმა სპრინტერმა დონოვან ბეილიმ 4 ივნისს, 100 მეტრის წარუმატებლად გარბენის შემდეგ, ახლა ზუსტად იმ გზის დასაწყისში ვდგავარ, რომელმაც 4 წლის წინ ატლანტის ოლიმპიადის ოქრო მომიტანაო. გზა რომში კი არ მიდის (როგორც ყველა დანარჩენი), არამედ სიდნეის ოლიმპიადისკენ და აქედანვე ითქმის — ბეილის მისი ღირსეულად გავლა გაუჭირდება, მით უფრო, თუ გუშინწინდელივით გააგრძელა. კვირას ბეილიმ ინგლისურ ბედფორდში ირბინა. წლეულს იგი პირველად გამოჩნდა სარბენ ბილიკზე. გეხსომებათ, წინა ოლიმპიადის შემდეგ კანადელი ტრავმათა გამო მეტად და მეტად შეფერხდა, არაფერი ღირებული არ გაუკეთებია. ამჯერადაც მან 100 მეტრის გასალევად 10,27 წამი დახარჯა, ეს კი შოტლანდიელი იან მაკისაზე სამი მეოთხედით ნაკლები იყო. მაკი ხომ სიხარულით გადაირია (უბედნიერესი ათლეტი ვარ მსოფლიოშიო, ასე თქვა. ბეილიზეც ბევრი საქებარი სიტყვა მოაყოლა), გასაკვირია და არც კანადელი ჩანდა უკმაყოფილო. ჯერ ერთი, თვითმფრინავით ჩამოფრენამ ისე დამღალა, მეგონა, მარათონულ დისტანციას გავრბოდიო, აღნიშნა ბეილიმ, მეორეც: „წლევანდელ სეზონში უსწრაფესი შედეგი ვუჩვენე, დღევანდელი შეჯიბრი სიდნეის ოლიმპიადისთვის საკმაოდ წარმატებულ რეპეტიციად მიმაჩნია. მზადებას გეგმიანად გავაგრძელებ". მაგრამ სიდნეიში მაკი იქნებ არც იყოს. იქ სხვები იქნებიან, ჰო-ჰო, რა მრისხანე გვარ-სახელის პატრონები: მორის გრინი, ატო ბოლდონი... იმათ გვერდით 100 მეტრის 10,27 წამში გარბენა კატასტროფაზე არანაკლებს ნიშნავს. თუმცა ბეილი ირწმუნება, ფორმაში შევალ და მერე მნახეთო.

ვნახოთ...

დავით გულუა

# კულთჰარდს სლემი, შუმის არაფერი

თითქმის ერთი წელია, უფრო ზუსტად კი ზედიზედ 12 რბოლაა, რაც კვალიფიკაციის მომგები მეორე დღეს გამარჯვებას ვერ აღწევს. ტრადიცია არც ამჯერად დარღვეულა.

შაბათს პოულისთვის დიდი ნადირობა გაჩაღდა — ლიდერი რვაჯერ შეიცვალა. ორიენტირი დევიდ კულთჰარდის დრო გახდა — 1.21.316. რამდენიმე წუთში მიხაელ შუმახერმა ამ შედეგს ზუსტად ნახევარი წამი ჩამოაკლო, მერე მცირე ხნით ლიდერობა იარნო ტრულის „ჯორდანმა" გადაიბარა. საკვალიფიკაციო საათის გასრულებამდე ათიოდე წუთით ადრე იგივე განმეორდა: იტალიელმა მეორედ შეძლო შუმის მაჩვენებლის გაუმჯობესება, მაგრამ ორგზის ჩემპიონისა და მისი სისხლისფერი ბედაურის დონემ მაინც თავისი გააკეთა და გერმანელმა კარიერაში 25-ე პოული დაიბევა (მესამე მონტე კარლოში). მისმა უმთავრესმა კონკურენტმა მიკა ჰაკინენმა თავიდან მესამე დრო კი აჩვენა, მაგრამ მომდევნო ორი ცდისას ტრასაზე მყოფმა მეტოქეებმა შეაფერხეს, რის გამოც თანდათან მე-17 ადგილამდე დაეშვა. თუმცა საკონტროლო ვადამდე ორი წუთით ადრე ფინელმა მაინც მოახერხა მდგომარეობის გამოსწორება — საკუთარ შედეგს ორი წამით აჯობა და სასტარტო კიბეზეც ერთბაშად 12 საფეხურით აინაცვლა. აღსანიშნავია, რომ ტრულის 53-რბოლიან კარიერაში ეს საუკეთესო კვალიფიკაცია იყო.

მონაკოს დიდი პრიზი ყოველმხრივ გამორჩეული ეტაპია. მონტე კარლოს აღმართ-დაღმართიან ქუჩებში გამავალი ტრასა ყველაზე მოკლეცაა, ვიწროც და ამასთან ყველაზე ნელიც. აქეთ-იქიდან რკინის რელსებიან ორღობეში მომწყვდეული პილოტები უმთავრესად გზაზე თავის შეკავებას ცდილობენ, ვიდრე გასწრებას ან ზღვრულ სიჩქარემდე გაქანებას. იქ ერთიცა და მეორეც პრაქტიკულად გამორიცხულია. საბოლოო წარმატებასაც ის აღწევს, ვინც თავის ბოლიდიანად ბოლომდე გაუძლებს ჯოჯოხეთურ დატვირთვას. იოტისოდენა შეცდომაც საკმარისია, რომ მანქანა ტყლაპივით მიებჯდოს ბარიერს. განსაკუთრებით მუხთალია სტარტის შემდგომი არც თუ რთული მოსახვევი, რომელიც მართალია დიდი სიმრუდით არ გამოირჩევა, მაგრამ ბევრისთვის რბოლა სწორედ იქ მთავრდება. გუშინწინ, სამჯერ დაწყებულ ეტაპზე, ექვსი ბოლიდი მიეჭყლიტა რელსებს.

სამი სტარტის მიზეზი კი ის გახდა, რომ ჯერ ალექსანდრ ვურცის „ბენეტონი" ვერ დაიძრა ადგილიდან, მეორედ კომპიუტერმა აურია და წითელი დროშები გამოფინეს. ბოლოს, ორმოცწუთიანი შეყოვნების შემდეგ, ყველაფერი მოგვარდა და მონაკოს 47-ე დიდი პრიზის გათამაშებაც მშვიდობიანად დაიწყო.

ყველაზე წინ მდგომმა შუმახერმა, ცხადია, ახლოს არავინ გაიკარა, თავიდანვე აიწყვიტა და ხუთიოდ წუთში საგრძნობლად დაშორდა ქარავანს — მისი „ფერარი" ყოველ წრეზე თითქმის წამს უგებდა მდევრებს. სტარტზე შეყოვნებულ შუმის თანაგუნდელს ორმა გაასწრო, მათ შორის უმცროსმა შუმახერმა, რომელმაც რუბინიოს ჟან ალეზი და ჯანკარლო ფიზიკელაც მიაყოლა და უცბად ექვსეულშიც აღმოჩნდა.

10 წრის შემდეგ ლიდერის უპირატესობა ტრულისთან ათ, ჰაკინენთან კი 15 წამამდე გაიზარდა. ერთი შეხედვით ინერტული რბოლის ნახევარი ისე გაილია, რომ ექვსეულში ცვლილება არ მომხდარა. გალაღებული მიხაელი უსწრაფესი წრეების კოლექციას აგროვებდა, უკან კი ედი ჯორდანის ბიჭები მისთვის მუშაობდნენ და „მაკლარენებს" ამუხრუჭებდნენ — ტრული კულთჰარდს, ხოლო ფრენცენი — ჰაკინენს. გასასწრებად ჩემპიონის არაერთ ცდას შედეგი არ მოჰყოლია და ლიდერთან ჩამორჩენაც მალე კატასტროფულად — 35 წამამდე გაიზარდა.

საკმაო სიცხემ და ჩახლართულ გზაზე ძრავისთვის ურთულესმა რეჟიმმა ბევრს, მათ შორის ლიდერებსაც გაუმწარა ყოფა. პრობლემები ერთდროულად შეექმნათ ჰაკინენსა და ტრულის. მაგრამ თუ იტალიელის სანაქებო „ჰონდას" ძრავას არაფერი ეშველა, მიკას ბოლიდს ბოქსებში მართალია დიდხანს, მაგრამ მაინც ისე უწამლეს, რომ სულ მალე უსწრაფესი წრეც გააჩერხა.

რაკი თვალწინ ტრული აღარ უტრიალებდა, კულთჰარდმაც აიშვა და ზედიზედ რამდენჯერმე გააუმჯობესა ტრასის რეკორდი, თუმცა შუმახერის უზარმაზარ უპირატესობას მაინც ვერაფერი დააკლო. მართალია, საწვავისთვის მიხაელის რვაწამიანი შეყოვნების შემდეგ მათ შორის სხვაობა საგრძნობლად შემცირდა, მაგრამ საგანგაშო სულაც არ გამხდარა, რადგან შოტლანდიელსაც ელოდა პიტსტოპი. შარი თურმე სხვა მხრიდან მოდიოდა — ფინიშამდე ოციოდე წრით ადრე ლიდერის ბედაურს წინა მარჯვენა ბორბლის შეკიდულობა გაუტყდა და სამზე შემდგარი ძლივს მიბობღდა ბოქსებამდე. მექანიკოსების მცდელობის მიუხედავად შუმიმ ვეღარ შეძლო უკან დაბრუნება. წლეულს პირველად მოხდა, რომ გერმანელმა ფინიშამდე ვერ მიაღწია და უქულოდ დარჩა.

ტრასის მომსახურე პერსონალს, მარშლებს რომ ეძახიან, კვირას საქმე თავზე საყრელად ჰქონდათ — გზიდან დაზიანებული მანქანების ევაკუაციას ვერ აუდიოდნენ. ბოლო უიღბლო გახდა ფრენცენი, რომელიც რვა წრით ადრე შეენარცხა რკინის კედელს იმ ავბედით მოსახვევში. ძირითადი მეტოქის გამოთიშვით ჰაკინენმა მაინც ვერ იხეირა, რადგან მხოლოდ ქულასღა გამოჰკრა ხელი და შუმახერთან ჩამორჩენაც თითქმის უცვლელი დარჩა.

სამაგიეროდ, იყოჩაღა ბარიკელომ — უხეირო სტარტის შემდეგ, როცა ლამის მთელი გზა ექვსეულში შესაღწევად წვალობდა, ბოლოს მეორე ადგილზე გასვლა ბრწყინვალე შედეგია. ამით „ფერარიმ" ზედიზედ პოდიუმიანი რაუნდების სერია ათამდე აიყვანა.

მიხაელის მარცხის მერე კულთჰარდისთვის მოგება დიდ სირთულეს აღარ წარმოადგენდა. 29 წლის შოტლანდიელმა მერვედ გაიმარჯვა კარიერაში, პირველად მონტე კარლოში და საპატიო თასი თავად მონაკოს თავად რენიე მესამის ხელიდან მიიღო.

პრესკონფერენციაზე დევიდი კმაყოფილებას ვერ მალავდა.

— ჩემთვის ოთხი უმთავრესი ეტაპია, რომელთა მოგებაც განსაკუთრებით მსურდა: სპა, რადგან ის ჩემი საყვარელი ტრასაა, დიდი ბრიტანეთისა, რაკი მშობლიური რბოლაა, იტალიისა, რადგან ფორმულაში იქაური გულშემატკივრების მსგავსნი არსად არიან და ბოლოს, მონტე კარლოსი — ტექნიკურად ყველაზე რთულ და მომთხოვნ ტრასაზე. უზომოდ მიხარია, რომ დღეს ჩემი საკუთარი დიდი სლემი შევკარი.

**ირაკლი ნიკოლაძე**



განმეორებითი სტარტის მერე გზა დე ლა როსას „ეროუსმა" ჩახერგა

## რბოლის შედეგები

### მონაკოს დიდი პრიზი

4 ივნისი. მონტე კარლო

დისტანცია — 78 წრე — 262,860— კმ

1. კულთჰარდი (მაკლარენი) 1:49.28,213 (144,072 კმ/სთ) 10 ქულა
2. ბარიკელო (ფერარი) ჩამორჩა 15.889 წრით 6 ქულა
3. ფიზიკელა (ბენეტონი) 18.522 4 ქულა
4. ირვინი (იაგუარი) 1,05.924 3 ქულა
5. სალო (ზაუბერი) 1,20.774 2 ქულა
6. ჰაკინენი (მაკლარენი) 1 წრით 1 ქულა
7. ვილნევი (BAR) 1 წრით
8. ჰაიდფელდი (პროსტი) 1 წრით
9. ჰერბერტი (იაგუარი) 2 წრით
10. ფრენცენი (ჯორდანი) 8 წრით

### საუკეთესო წრე

ჰაკინენი 1.21,571 (148.729 კმ/სთ)

### რბოლას გამოეთიშნენ

| | |
|---|---|
| ვერსტაპენი (ეროუსი) | გაიარა 60 წრე |
| მ. შუმახერი (ფერარი) | 55 |
| ზონტა (BAR) | 48 |
| რ. შუმახერი (უილიამსი) | 37 |
| ტრული (ჯორდანი) | 36 |
| დინიცი (ზაუბერი) | 30 |
| ალეზი (პროსტი) | 29 |
| მაცაკანე (მინარდი) | 22 |
| ჟენე (მინარდი) | 21 |
| ვურცი (ბენეტონი) | 18 |
| ბატონი (უილიამსი) | 16 |
| დე ლა როსა (ეროუსი) | 0 |

## სტარტზე განლაგება

- 21 მაცაკანე მინარდი 1.23,794
- 20 ჟენე მინარდი 1.23,721
- 23 ზონტა BAR 1.22,324
- 16 დინიცი ზაუბერი 1.22,136
- 15 ჰაიდფელდი პროსტი 1.22,017
- 22 ვილნევი BAR 1.21,848
- 19 დე ლა როსა ეროუსი 1.21,832
- 18 ვერსტაპენი ეროუსი 1.21,738
- 10 ბატონი უილიამსი 1.21,605
- 17 სალო ზაუბერი 1.21,561
- 12 ვურცი ბენეტონი 1.20,871
- 8 ჰერბერტი იაგუარი 1.20,792
- 7 ირვინი იაგუარი 1.20,743
- 9 რ. შუმახერი უილიამსი 1.20,742
- 11 ფიზიკელა ბენეტონი 1.20,703
- 14 ალეზი პროსტი 1.20,494
- 4 ბარიკელო ფერარი 1.20,416
- 1 ჰაკინენი მაკლარენი 1.20,241
- 5 ფრენცენი ჯორდანი 1.19,961
- 2 კულთჰარდი მაკლარენი 1.19,888
- 6 ტრული ჯორდანი 1.19,746
- 3 მ. შუმახერი ფერარი 1.19,475

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

| | ავსტრალია 12.03.00 | ბრაზილია 26.03.00 | სან-მარინო 9.04.00 | დ.ბრიტანეთი 23.04.00 | ესპანეთი 7.05.00 | ევროპა 21.05.00 | მონაკო 4.06.00 | კანადა 18.06.00 | საფრანგეთი 2.07.00 | ავსტრია 16.07.00 | გერმანია 30.07.00 | უნგრეთი 13.08.00 | ბელგია 27.08.00 | იტალია 10.09.00 | აშშ 24.09.00 | იაპონია 8.10.00 | მალაიზია 22.11.00 | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 მ.შუმახერი ფერარი, გერმანია | 10 | 10 | 10 | 4 | 2 | 10 | – | | | | | | | | | | | 46 |
| 2 კულთჰარდი მაკლარენი, ბრიტანეთი | – | – | 4 | 10 | 6 | 4 | 10 | | | | | | | | | | | 34 |
| 3 ჰაკინენი მაკლარენი, ფინეთი | – | – | 6 | 6 | 10 | 6 | 1 | | | | | | | | | | | 29 |
| 4 ბარიკელო ფერარი, ბრაზილია | 6 | – | 3 | – | 4 | 3 | 6 | | | | | | | | | | | 22 |
| 5 ფიზიკელა ბენეტონი, იტალია | 2 | 6 | – | – | – | 2 | 4 | | | | | | | | | | | 14 |
| 6 რ.შუმახერი უილიამსი, გერმანია | 4 | 2 | – | 3 | 3 | – | – | | | | | | | | | | | 12 |
| 7 ვილნევი BAR, კანადა | 3 | – | 2 | – | – | – | – | | | | | | | | | | | 5 |
| 8 ფრენცენი ჯორდანი, გერმანია | – | 4 | – | – | 1 | – | – | | | | | | | | | | | 5 |
| 9 ტრული ჯორდანი, იტალია | – | 3 | – | 1 | – | – | – | | | | | | | | | | | 4 |
| 10 ირვინი იაგუარი, ბრიტანეთი | – | – | – | – | – | – | 3 | | | | | | | | | | | 3 |
| ბატონი (უილიამსი, ბრიტანეთი); სალო (ზაუბერი, ფინეთი) — 3; ზონტა (BAR, ბრაზილია); დე ლა როსა (ეროუსი, ესპანეთი) — 1 ქულა | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 ფერარი | 16 | 10 | 13 | 4 | 6 | 13 | 6 | | | | | | | | | | | 68 |
| 2 მაკლარენი | – | – | 10 | 16 | 16 | 10 | 11 | | | | | | | | | | | 63 |
| 3 უილიამსი | 4 | 3 | – | 5 | 3 | – | – | | | | | | | | | | | 15 |
| 4 ბენეტონი | 2 | 6 | – | – | – | 2 | 4 | | | | | | | | | | | 14 |
| 5 ჯორდანი | – | 7 | – | 1 | 1 | – | – | | | | | | | | | | | 9 |
| BAR — 6; ზაუბერი; იაგუარი — 3; ეროუსი — 1 ქულა | | | | | | | | | | | | | | | | | | |

# სოჭელი ჟენია და მისტერ ჰაიდი



ევგენი კაფელნიკოვი

**ჩოგბურთის** სამყაროში ევგენი კაფელნიკოვს ადამიან-გამოცანას უწოდებენ. კვირების, ზოგჯერ კი თვეების მანძილზეც რუსს უბრალოდ ეზარება თამაში და, ტურნირის ორგანიზატორებისა თუ გულშემატკივრების გულის გასახეთქად, გაცილებით სუსტ მეტოქეებს მოგებას ჩუქნის.

ავსტრალიის ღია პირველობისა და ევროპის დარბაზის ტურნირებზე წარმატებით ასპარეზობის შემდეგ ყველაზე ნელ და ფიზიკურად მომთხოვნ საფარზე, თიხნარზე ოფლისღვრას სოჭელმა იოლად აარიდა თავი — პირველ ან მეორე წრეში მეტოქეებს უბრალოდ „უწვებოდა".

მაგრამ თუ რიგით ATP-ის ტურნირებზე კორტზე უმეტესად მისტერ ჰაიდს იხილავთ, „მეიჯორების" დროს, რომელთა მნიშვნელობაც ჟენიას შესანიშნავად მოეხსენება, დოქტორ ჯეკილის დროც დგება — ჩვეულებრივ უჯიგროდ და ინდიფერენტულად მოთამაშე კაფელნიკოვი საფრანგეთის ღია პირველობაზე სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძვის, არასოდეს ნებდება და უკვე სამი დაძაბული, ხუთსეტიანი მატჩის მოგებაც მოასწრო. და ეს მაშინ, როცა ფეხზე ერთბაშად რამდენიმე კოჟრი აქვს.

„ასეთი მარათონული შეხვედრები მხოლოდ ამ ტურნირებზეა და მერწმუნეთ, ღირს კიდეც წვალებად. „მეიჯორებზე" წაგება ყოველთვის განსაკუთრებით მწყვეტს გულს. არ მინდა ვთქვა, რომ უფრო პატარა პირველობებზე ნაკლებად მონდომებულად ვთამაშობ, მაგრამ აქ სულ სხვა სტიმული მაქვს" — დანაშაულის აღიარებამდე სულ ცოტა დააკლდა რუსს.

მერვედფინალში ესპანელ მოთიხნარე ფერნანდო ვისენტესთან შეხვედრაში კაფელნიკოვის ბედი ბეწვზე ეკიდა — გადამწყვეტ ხელში ის 2:5-ს აგებდა და რამდენჯერმე სულ ორი ქულა უკლდა მარცხს. ტრიბუნაზე მჯდომ ევგენის მეორე ნახევარს, მაშას კორტისკენ გახედვისაც ეშინოდა და თვალებზე ხელის აფარებით შველოდა თავს.

სამაგიეროდ, თავად სოჭელი ყველაზე მნიშვნელოვან მომენტებშიც აუღელვებლად ირჯებოდა, უშიშრად გადიოდა ბადესთან და გარისკვის სურვილი 126(!) უნებლიე შეცდომის დაშვების მიუხედავადაც არ გაქრობია.

დარჩენილი 7 გეიმიდან კაფელნიკოვმა 6 მოიგო, საბოლოოდ 5:7, 6:3, 5:7, 7:6 (7:4), 8:6 იმარჯვა და 1997 წლის შემდეგ პირველად გააღწია როლან გაროსის მეოთხედფინალში.

„ძალიან ბედნიერი ვარ, რომ კიდევ ერთხელ გადავრჩი, დიდი გამოცდილება დამეხმარა. ფიზიკურად გასავათებულად სულაც არ ვგრძნობ თავს, ყველაფერი ახლა იწყება" — განაცხადა პრესკონფერენციაზე რუსმა.

კაფელნიკოვის მომდევნო მოწინააღმდეგე ბრაზილიელი გუსტავო კუერტენი იქნება, რომელმაც კიდევ ერთი სახიფათო მეტოქე, ეკვადორელი ნიკოლას ლაპენტი ჩამოიშორა გზიდან 6:3, 6:4, 7:6 (7:4).

1997-ში მეოთხედფინალში რუსი სწორედ „გუგასთან" დამარცხდა და ერთი საინტერესო ისტორიაც გაიხსენა იმ დროიდან.

„მახსოვს, მერვედფინალში კუერტენი ანდრეი მედვედევს ეთამაშებოდა და ვლოცულობდი, მოიგოს-მეთქი. მაშინ მედვედევთან მუდმივად ვაგებდი და ფსიქოლოგიურად ჩემთან უპირატესობა ჰქონდა. „გუგამ" მართლაც მოიგო, მაგრამ მერე მეც ზედ მიმაყოლა, რადგან არ ველოდი, თუ ისე კარგად გაირჯებოდა და რამდენიმე იდიოტური გეიმით თავად გამოვიჭერი ყელი. მაშინ მას არავინ იცნობდა".

**კაცები. მესამე წრე: მაგნუს ნორმანი (3, შვედეთი) — სარგის სარგსიანი (სომხეთი) 6:4, 6:1, 6:2; სედრიკ პიოლინი (6, საფრანგეთი) — ალბერტ პორტასი (ესპანეთი) 6:4, 6:3, 6:3; ალბერტ კოსტა (ესპანეთი) — ტომას ენკვისტი (7, შვედეთი) 5:7, 7:6 (7:2), 6:1, 3:6, 6:4; ლეიტონ ჰიუიტი (9, ავსტრალია) — ატილა სავოლტი (უნგრეთი) 6:1, 6:4, 6:0; მარატ საფინი (12, რუსეთი) — ტიმი ჰაასი (გერმანია) 7:6 (7:2), 6:3, 6:3; იუნეს ელ აინაუი (15, მაროკო, — ჯეისონ სტოლტენბერგი (ავსტრალია) 6:4, 5:5 — ტრავმა; ანდრეი მედვედევი (უკრაინა) — აგუსტინ კალერი (არგენტინა) 6:3, 3:6, 6:4, 6:3; ფრანკო სკილარი (არგენტინა) — კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) 6:1, 6:4, 4:6, 6:4.**

**მერვედფინალი: ალექს კორეტხა (10, ესპანეთი) — როჯერ ფედერერი (შვეიცარია) 7:5, 7:6 (9:7), 6:2; ხუან კარლოს ფერერო (16, ესპანეთი) — მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) 6:2, 6:2, 3:6, 6:3.**

მარტინა ჰინგისს ძალიან არ უყვარს დილით ადრე ადგომა, მით უმეტეს, მაშინვე კორტზე სათამაშოდ წასვლა და სიცივეში წალმა-უკულმა სირბილი. არადა, საფრანგეთის ღია პირველობის ორგანიზატორები 19 წლის შვეიცარიელის მატჩებს მუდმივად ნაადრევად ნიშნავენ.

„თუ მზიანი ამინდი აღარ იქნება, ასე ადრე კორტზე გასვლაზე აღარ დავთანხმდები — ნახევრად სერიოზულად განაცხადა ჰინგისმა — ან შარვალს მაინც ჩავიცვამ, გარეთ ყინვაა. ავსტრალიაში და ფლორიდაში, სადაც ახლა ვცხოვრობ, მუდმივად ცხელა, ევროპაში ჩამოვდივარ და ველარ ვთბები. ჩემი სხეული ამას უკვე აღარაა მიჩვეული, ზურგის კუნთები მეჭიმება და მოძრაობისაც მეშინია, რაიმე ტრავმა არ მივიღო. დღეს კბილებს ვაკაწკაწებდი".

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა მერვედფინალში რუმინელ რუქსანდრა დრაგომირს პირველი ხელი იოლად მოუგო, მაგრამ მერე ყურადღება სრულიად გაეფანტა, რამდენიმე წუთის მანძილზე ბურთის კორტზე მოხვედრებას ვერ ახერხებდა და 0:4-ზე ძალების გადამწყვეტი სეტისთვის მოტოვება გადაწყვიტა.

რისკმა გაამართლა, ჰინგისმა 6:3, 0:6, 6:1 იმარჯვა და ორგანიზატორების გაკრიტიკების გარდა საკუთარი თავის შექებისთვისაც მოიცალა: „მე მწამს საკუთარი ძალების. ფსიქოლოგიური სიძლიერე კი იქიდან მომდინარეობს, რომ ბევრი მატჩი მომიგია და ვიცი, დაძაბულ, მნიშვნელოვან მომენტებში ტექნიკა, დარტყმები არ დამალალატებს".

იგივეს თქმა ნამდვილად არ შეიძლება 20 წლის ამელი მორესმოზე. ლესბოსელ ფრანგს სისწრაფესა და ჯან-ღონეში ცოტა თუ გაეჯიბრება, სამაგიეროდ, უაზრო შეცდომებს ყველაზე უადგილო დროს გამოურევს ხოლმე.

ტურნირის ერთ-ერთ საუკეთესო შეხვედრაში „როლან გაროსის" სამგზის ჩემპიონ მონიკა სელეშს ჭყვიტინის გარდა მორესმო არაფერში ჩამორჩა, ნაკლებად მობილურ მეტოქეს თავქუდმოგლეჯილს დაარბენინებდა აქეთ-იქეთ, მაგრამ მერე სრულიად ცარიელ კორტს აცილებდა ბურთს.

როგორც ყოველთვის, ფრანგების გულშემატკივრობა ხშირად დასაშვების ფარგლებს ცილდებოდა: ისინი ტაშს უკრავდნენ სელეშის ორმაგებს, ზედ მოწოდების წინ ხმამაღლა გაჰყვიროდნენ, მაგრამ ამერიკელმა ნერვები არ აიშალა და მეტოქის ხელშეწყობით საქმე მშვიდად მიიყვანა ბოლომდე 7:5, 6:3.

„ცოტა ძნელი იყო ამდენ მოწინააღმდეგესთან გამკლავება, მაგრამ კონცენტრაცია შევინარჩუნე და მთავარი სწორედ ეს გახლდათ. ამელი საოცრად ნიჭიერი ჩოგბურთელია და ცოტა გამოცდილების შეძენის შემდეგ კიდევ უფრო მოუმატებს" — აღნიშნა მონიკამ.

**ქალები. მერვედფინალი: ვინუს უილიამსი (4, აშშ) — ანკე ჰუბერი (11, გერმანია) 7:6 (7:4), 6:2; კონჩიტა მარტინესი (5, ესპანეთი) — აი სუგიამა (იაპონია) 5:7, 6:3, 6:4; მარი პირსი (6 საფრანგეთი) — ასა კარლსონი (შვედეთი) 6:2, 6:1; არანჩა სანჩეს-ვიკარიო (8, ესპანეთი) — ბარბარა შეტი (16, ავსტრია) 0:6, 6:4, 6:2; ჩანდა რუბინი — ნატაშა ზვერევა (ბელარუსი) 6:4, 7:5; მართა მარერო (ესპანეთი) — როსანა დე ლოს რიოსი (პარაგვაი) 4:6, 6:0, 6:4.**

**ავთანდილ სვანიძე**



მონიკა სელეში

## სხვადასხვა

**როგორ** გგონიათ, შეიძლება თუ არა, პირველად გაზეთებიდან შეიტყო იმის შესახებ, რომ ქორწინდები? ცხადია, შეიძლება, თუ მომავალი მეუღლე ამ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას შენდა უკითხავად მიიღებს, ან რატომღაც ჟურნალისტს გაენდობა.

ტანმშვენიერი მარი პირსი და „კლივლენდ ინდიანსის" მულატი ვარსკვლავი რობერტო ალომარი უკვე რამდენიმე წელია ხვდებიან ერთმანეთს და, კარგა ხანია, დანიშნულებიც არიან. კეტბურთელი ხშირად დაჰყვება ფრანგს ტურნირებზე და ხანგრძლივი შეხვედრების დროს სტუმართა ლოჟაში ჯდომასაც არ იზარებს.

ზემოთქმულის მიუხედავად, საოჯახო უღელში თავის შეყოფას და ერთმანეთისთვის სამუდამო ფიცის მიცემას ჯერჯერობით არც ერთი არ ჩქარობდა. ამიტომ ცოტათი მოულოდნელი გამოდგა გაზეთ „ნიუ იორკ დეილი ნიუზის" მიერ გავრცელებული ინფორმაცია, რომ ალომარი და პირსი წლეულს დეკემბრის ბოლოს, პუერტო რიკოში გადაიხდიდნენ ქორწილს.

ამ ისტორიამ ყველაზე მეტად მთავარი მოქმედი პირი გააოცა. „ეს ჩემთვის სიურპრიზია, მართლა დავინტერესდი" — ასეთი გახლდათ თავად მარი პირსის რეაქცია, როდესაც პრესკონფერენციაზე სასიამოვნო ამბავი მიულოცეს.



მარი პირსი

ასე რომ, წყვილისთვის საქორწინო საჩუქრების შერჩევა ჯერ მეტად ნაადრევია. შეგახსენებთ, რომ წლეულს მასმედიამ ჯერ შტეფი გრაფი და ანდრე აგასი შეაუღლა, მერე — ანა კურნიკოვა და პაველ ბურე, თუმცა მენდელსონის მარში ჟურნალ-გაზეთების ფურცლებს არ გასცდენია.

* * *

**ახლა, როცა მარატ საფინი ესპანელ მწვრთნელ რაფაელ მენსუასთან აღარ ვარჯიშობს, თანაც კორტზეც და მის მიღმაც „ადიდასის" რეკლამებში ბლომად მწვანეებს ხვეტს, მას ვალენსიიდან (სადაც 8 წელი ცხოვრობდა) სხვაგან გადაბარგება სურს.**

**ერთადერთი პრობლემა ის არის, რომ 20 წლის ზორბა რუსს ადგილი ვერ შეურჩევია. სად სჯობს — ბარსელონაში, სადაც თითქმის ყველა ესპანელი ჩოგბურთელი ცხოვრობს, მონტე კარლოში, სადაც გადასახადებისგან ჯიბეში არავინ ჩაუძვრება, თუ პარიზში, მისი ახალი მწვრთნელის, ანდრეი ჩესნოკოვის მახლობლად?**

**ერთადერთი, რაც მარატმა დანამდვილებით იცის, ისაა, რომ აშშ-ში არავითარ შემთხვევაში არ წავა: „ამერიკაში, ვერ ვიცხოვრებ, იქ, ალბათ, თავს მოვიკლავდი. მათი ცხოვრების წესი ჩემთვის მიუღებელია. მოსკოვში დავიბადე, მერე ესპანეთში გადავედი და ჩემი ცხოვრების ყოველი დღე დღესასწაულს ჰგავს."**

**იანკების ქვეყანაში დასახლების სურვილს რუსს არც ის უღვივებს, რომ მისი ძველი ნაცნობი და თანამემამულე ანა კურნიკოვა შესანიშნავად შეეგუა ატლანტიკის გაღმა ყოფნას: „ის 10 წლიდან იქ ცხოვრობს და უკვე ამერიკული მენტალიტეტიც ჩამოუყალიბდა, მე კი სულ სხვანაირი ვარ."**

**საფინი შინ, მოსკოვში დაბრუნებაზე არც კი ფიქრობს, არადა, მის კოლეგებს — ლინა კრასნაროუცკაიასა და ანასტასია მისკინას თუ დავუჯერებთ, მასზე რუსი გოგოები ჭკუას კარგავენ.**

* * *

**ავსტრალიელი** ენდრიუ ილი ჩოგბურთში სტრიპტიზის მოდის კანონმდებელია. ყველა ხეირიანი მეტოქის დამარცხებას ის მაისურის ეფექტური შემოხევით აღნიშნავს.

სამწუხაროდ, მას ქალი ჩოგბურთელები ჯერჯერობით არ ბაძავენ და ტრადიციას ძირითადად ისევ ავსტრალიელი მოთამაშეები მისდევენ, მაგრამ ილი მაინც დიდი პოპულარობით და ჯამბაზის რეპუტაციით სარგებლობს.

როლან გაროსის მეორე წრეში ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტ მარატ საფინთან შეხვედრაში, ჩასკვნილი ოზი გამარჯვებასთან ახლოს იყო, მაგრამ მეხუთე სეტის დასაწყისში ხელის კრუნჩხვები დაეწყო, 0:5-ზე კი თამაშის გაგრძელებაზე უარი თქვა, არ მინდოდა, მშრალად წამეგოო.

სწორედ მაშინ ერთი ჟურნალისტი დაინტერესდა, როგორ იზეიმებდა ილი მოგებას.

„სიმართლე გითხრათ, თავიდან უბრალოდ მაისურის შემოხევას ვაპირებდი, რადგან საფინი მართლაც კარგი სკალპი იქნებოდა. მეოთხე სეტის ბოლოსთვის უკვე შარვლის ჩახდაზეც თანახმა ვიყავი, საქმეები ისე ცუდად წავიდა მეხუთე ხელის „დასაწყისში კი მივხვდი, რომ წულებისა და ქვედა საცვლის გახდაც კი ველარ მომაგებინებდა."

* * *

**„როლან გაროსის" ძირითად ბადეში კვალიფიკაციის გავლით მოხვედრილმა არგენტინელმა აგუსტინ კალერიმ პირველ-მეორე წრეში ორი ძალიან ძლიერი ჩოგბურთელი — ესპანელი ფელიქს მანტია და სლოვაკი დომინიკ ჰრბატი (14) დაამარცხა და მერე შარშანდელ ფინალისტ ანდრეი მედვედევსაც წინააღმდეგობა გაუწია.**

**სამხრეთამერიკელები, მით უმეტეს, არგენტინელები პარიზში ბლომად ასპარეზობდნენ, მაგრამ კალერი ამ წარმატების გარდა სხვებისგან იმით გამოირჩევა, რომ თავის დროზე ჩოგბურთელის კარიერას... მტვირთაობა არჩია.**

**23 წლის ჩოგბურთელმა თავისი პირველი სეზონი პროფესიონალებში, 1995-ში, კლასიფიკაციაში 431-ემ დაასრულა, სპორტზე გული აიცრუა და მშობლიურ ქალაქ რიო კუარტოში მამის კუთვნილ მაღაზიაში დაიწყო მუშაობა.**

**„მთელი წლის განმავლობაში დილის ცხრის ნახევრიდან საღამომდე ღვინის კასრებს ვათრევდი. მხოლოდ მაშინ მივხვდი, თუ რა ბედნიერება ყოფილა პროფესიონალი ჩოგბურთელობა".**

**ბოლოს და ბოლოს, შვილის ცოდვით გულდამწვარმა მამამ, ხუანმა დაარწმუნა კალერი, ვარჯიში განეახლებინა.**

**წარმატებები სწრაფად არ მოსულა, ორი სეზონის მანძილზე არგენტინელი ძირითადად ჩელენჯერებზე თამაშობდა. შარშან ფეზ ტურზე მან პირველად უწია მეოთხედფინალს, საფრანგეთის ღია პირველობის შემდეგ კი კარიერაში პირველად კლასიფიკაციის საუკეთესოთა ასეულშიც აღმოჩნდება.**

**„ახლა ჩემი მიზანი საუკეთესოთა შორის ადგილის შენარჩუნებაა" — ამბობს კალერი, რომელსაც უახლოეს მომავალში მხოლოდ ჩოგნებისა და ქალაქიდან ჩემოდნების თრევა ემუქრება. სავსე კასრებს ხომ ყველაფერი სჯობს.**

# გაძელი! უთხრა თავს გარძელიმ და...

## ჯირო პატარამ და მუშამ მოიგო

ᲬᲛᲘᲜᲓᲐ წყლის ფორმალობა იყო „ჯიროს“ 21-ე ეტაპი ტურინსა და მილანს შორის. როგორც მოსალოდნელი იყო, მან საერთო ჩათვლაში დიდი ცვლილებები ვერ მოახდინა და „ჯირო დ იტალიას“ გამარჯვებული სტეფანო გარძელი გახდა. 189 კილომეტრი „მერკატონე უნოს“ დროებითი ლიდერი თანაგუნდელებმა ციმციმ ატარეს და კარიერაში უმნიშვნელოვანესი წარმატების მოპოვებაც გაუადვილეს. კორსო სემპიონეზე (მილანის შანზ-ელიზე) კი იტალიელმა მარიონო პიკოლიმ მიასწრო ყველას. მან შეტევის კომპანიონებს სპრინტში აჯობა, დიდმა პეპლებმა (მრბოლი, რომელიც საფინალო სპრინტშია მხოლოდ ძლიერი) კი პელოტონში დაასრულეს რბოლა, რადგან მათმა თანაგუნდელებმა ბოლო იერიშის გაუვნებლება ვერ შეძლეს.

აქამდე კი ორი გადამწყვეტი ეტაპი გაიმართა და მათზე უფრო დაწვრილებით ღირს შეჩერება.

პარასკევს მრბოლებს ალპებში უნდა ეცადათ ბედი. სტარტი სალუძოში იყო, ფინიში კი ფრანგულ ქალაქ ბრიანსონში. ეტაპის მთავარი მოვლენა მარკო პანტანის მშვენიერი გამოსვლა გახლდათ. მეორე ადგილზე გასულმა „მეკობრემ“ დაამტკიცა, რომ სასურველ ფორმას თითქმის მიაღწია და „ტურ დე ფრანსის“ მოგების ერთ-ერთი უმთავრესი პრეტენდენტი იქნება. მისი ძალა იზოარის ალმართზე გამოჩნდა. მანამდე კი მერკატონელი ნამდვილი (მრბოლი, რომელიც დიდი ტურების მოგების შემძლე და გუნდის ლიდერია) თავისი გრეგარს (ნამდვილის და პეპლის დამხმარე მრბოლი) სამსახურში ჩადგა და თავი ანაცვალა.

ოცამდე მრბოლმა ადრევე განახორციელა შეტევა, მაგრამ „ჯიროს“ სახურავზე — ანიელის მთაზე (2748 მ. ზღვის დონიდან) მათ ვარდისფერმაისურიანი ფრანჩესკო კასაგრანდეს ჯგუფი დაეწია, რომელშიც გარძელიც იყო და ჯილბერტო სიმონიც. მდევრებმა ლტოლვილებს მალე გაასწრეს და მათგან მხოლოდ კოლუმბიელი ჩეპე გონსალესი იახლეს. მოუსვენარმა სიმონიმ იმდენი მოახერხა, ანიელის მწვერვალზე სხვებს 20 წამით აასწრო, თუმცა დაშვებისას კასაგრანდე ექვსი მხლებელითურთ დაეწია წინწასულს, მაგრამ ეს თუ მაინც მოსალოდნელი იყო, პანტანის მათ რიგებში გამოჩენას არავინ ელოდა.

მალე დაწინაურებულები იზოარის ალმართსაც მიადგნენ და სიმონიმაც განაახლა შეტევები. ის, ალბათ, კასაგრანდეს და გარძელის ჩამოიტოვებდა კიდეც, მაგრამ მთებში ჭიპმოჭრილი პანტანი საკუთარი გრეგარის გამარჯვებისთვის ილწვოდა. სწორედ მას უნდა უმადლოდეს გარძელი, რომ სიმონის არ ჩამორჩა. „მეკობრემ“ „პატარა მეკობრე“ (გარძელის ასე ეძახიან იტალიელები) ბორბალში ჩაისვა და ალმართის უმეტესი ნაწილიც ასე ატარა, თან სიმონისაც არ აძლევდა გაქცევის საშუალებას. უმალ წამოეწეოდა ხოლმე მას და ხანდახან პედლების ტრიალსაც ანებებდა თავს, რათა გარძელი დასწეოდათ. პანტანის ამ ტაქტიკით კასაგრანდემაც ისარგებლა და ვარდისფერი მაისურაც კიდევ ერთი დღით შეინარჩუნა.

ოთხეულის შეუთანხმებელი მოქმედებით „მაპეიმ“ იხეირა. მისი ორი წევრი, პაოლო ლანფრანჩი და პაველ ტონკოვი ლიდერებს მოუახლოვდნენ და, თუ რუსი მერე მაინც ჩამორჩა წუთზე ცოტა მეტით, სამაგიეროდ, ლანფრანჩიმ შეძლო საბოლოო წარმატებული იერიშის განხორციელება. ტონკოვის 31 წლის გრეგარმა ფინიშამდე ათიოდ კილომეტრით ადრე შეუტია და ბედსაც ეწია.

შაბათს პელოტონი, საფრანგეთიდან იტალიას დაუბრუნდა, უფრო სწორად, თითოეული მრბოლი ცალ-ცალკე დაბრუნდა. სწორედ ამ ინდივიდუალურ რბოლაში გადაწყდა „ჯიროს“ ბედიც. 34-კილომეტრიანი და ორი სიძნელის შემცველი ეტაპი პროლოგის გამარჯვებულმა, ჩეხმა იან ჰრუსკამ მოიგო, მაგრამ მისი წარმატება დაიჩრდილა, რადგან ვარდისფერ მაისურას ახალი პატრონი გამოჩნდა.

კასაგრანდეს მცირედი უპირატესობა (25 წამი) პირველივე კილომეტრებზე დადნა. ტოსკანელი მთავარ კონკურენტ გარძელისთან მალე აგებდა წუთზე მეტს და ამ ჩამორჩენის გაბათილება უძნელესი საქმე იყო. სესტრიერის ალმართზე გარძელიმ კიდევ რამდენიმე წამი მოუგო მესამეადგილოსან ჯილბერტო სიმონისაც და, პირველობა ფაქტობრივად, გაინაღდა. მხოლოდ მეორე ადგილის მფლობელიღა რჩებოდა გასარკვევი. საბოლოოდ კასაგრანდემ, მარცხენა ფეხის ტკივილის მიუხედავად, სიმონისთან ექვსწამიანი უპირატესობა შეინარჩუნა, ბოლო კილომეტრები „ვინი კალდიროლის“ ლიდერი ველოსიპედს თითქმის მარტო მარჯვენა ფეხით მიერეკებოდა.

„სახეზე ეტყობოდა, რომ ძლიერ იტანჯებოდა“ — თქვა მისმა მეტოქე გარძელიმ. კასაგრანდეს ტანჯვა ვერც იმან შეუმსუბუქა, რომ ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის კლასიფიკაციაში პირველობა ფრანგ ლორან ჟალაბერს ჩამოართვა.

„პანტანი ჩემზე უფრო ოპტიმისტია და სტარტამდეც დარწმუნებული იყო, რომ მოვიგებდი. ჩვენი შედარება არ შეიძლება. ის ჩემპიონობისთვისაა დაბადებული, მე კი ნელ-ნელა ვიზრდები“ — თქვა „ჯიროს“ გამარჯვებულმა.

როგორც მოსალოდნელი იყო, „ჯიროს“ გზა ისე იყო შერჩეული, რომ მთიელებისთვის (მრბოლები, რომლებიც ალმართებში არიან ძლიერები) იყო ზედგამოჭრილი და პოდიუმზეც მხოლოდ ისინი ავიდნენ. ახლა ყველა „ტურ დე ფრანსის“ მოლოდინშია, მაგრამ მასში „ჯიროს“ პირველი სამეულიდან, ალბათ, არავინ მიიღებს მონაწილეობას. გარძელის სეზონისწინა პროგრამაში „ტური“ არ შედიოდა და ჯერ უცნობია, შეცვლის თუ არა მისი სპორტული დირექტორი ამ გეგმას. კასაგრანდეს და სიმონის გუნდები კი ორგანიზატორებმა არ მიიწვიეს. ასე რომ, ისინი იქ თავიანთ სიძლიერეს ვერ დაამტკიცებენ.

**ᲒᲐᲘᲝᲖ ᲗᲐᲚᲐᲙᲕᲐᲫᲔ**



წინ „პირატი“, უკან „პირატინო“





სტეფანო გარძელი: ტკბილია ჯირო!

### ᲛᲔᲪᲮᲠᲐᲛᲔᲢᲔ ᲔᲢᲐᲞᲘ

სალუძო — ბრიანსონი (საფრანგეთი), 176 კმ

1. პაოლო ლანფრანჩი (იტალია, მაპეი) — 5 სთ 32 წთ 07 წმ
2. მარკო პანტანი (იტალია, მერკატონე უნო) — +54 წმ
3. ჯილბერტო სიმონი (იტალია, ლამპრე) — +1 წთ 01 წმ
4. ფრანჩესკო კასაგრანდე (იტალია, ვინი კალდიროლა)
5. სტეფანო გარძელი (იტალია, მერკატონე უნო) — ორივეს იგივე დრო

### ᲛᲔᲝᲪᲔ ᲔᲢᲐᲞᲘ

ბრიანსონი — სესტრიერი, ინდივიდუალური რბოლა, 34 კმ

1. იან ჰრუსკა (ჩეხეთი, ვიტალიციო) — 59 წთ 49 წმ
2. ანდრეა ნოე (იტალია, მაპეი) — +1 წთ 14 წმ
3. სტეფანო გარძელი — +1 წთ 17 წმ
4. სერგეი გონჩარი (უკრაინა, ლიკიგასი) — +1 წთ 41 წმ
5. დარიო ფრიგო (იტალია, ფასა ბორტოლო) — +1 წთ 47 წმ

### ᲝᲪᲓᲐᲛᲔᲔᲠᲗᲔ ᲔᲢᲐᲞᲘ

ტურინი — მილანი, 189 კმ

1. მარიანო პიკოლი (იტალია, ლამპრე) — 4 სთ 44 წთ 12 წმ
2. ჯუზეპე კალკატერა (იტალია, საეკო)
3. მირკო გალდი (იტალია, მობილვეტა)
4. ოსკარ პოძი (იტალია, ამიკა)
5. დანიელე კონტრინი (იტალია, ლიკიგასი) — ყველას იგივე დრო

### ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝ ᲩᲐᲗᲕᲚᲐ

1. სტეფანო გარძელი — 98 სთ 30 წთ 14 წმ
2. ფრანჩესკო კასაგრანდე — +1 წთ 27 წმ
3. ჯილბერტო სიმონი — +1 წთ 33 წმ
4. ანდრეა ნოე — +4 წთ 58 წმ
5. პაველ ტონკოვი (რუსეთი, მაპეი) — +5 წთ 28 წმ



PLAY OFF

ფინალი

# ლარი და სამი პროფესიონალი

### ᲓᲐᲚᲐᲡᲘ — ᲜᲘᲣ ᲯᲔᲠᲡᲘ 1:2

ᲓᲐᲚᲐᲡᲘ — ᲜᲘᲣ ᲯᲔᲠᲡᲘ 1:2

**1:1 0:1 0:0**

**1:0 კოტი 13'08 (2); 1:1 არნოტი 18'06 (7); 1:2 სიკორა 52'27 (9)**

წარმოუდგენელია — დალასი, რომელსაც ასეთი დაბალანსებული შემადგენლობა ჰყავს, ახლა ორადორი მოთამაშის შემყურეა. სადღაა გუნდი, რომლის ყველა სამეულიც თითქმის ყოველ მატჩში თანაბრად გამოირჩეოდა. ფინალში „ვარსკვლავთა“ ბედს ისლა წყვეტს, შეძლებს თუ არა მოდანო ზუსტი პასის ჰალისთვის მოწოდებას, ხოლო „ოქროს ბრეტი“ — ძლიერი დარტყმით კარის დალაშქვრას. ეს განსაკუთრებით ბოლო ორ შეხვედრაში შეიმჩნევა. საქმე მხოლოდ ის როდია, რომ ტეხასელთა გოლში ამ დუეტის ხელი ურევია (ამჯერად მათი კომბინაციის შემდეგ მცველმა სილვენ კოტმა გაიტანა), არამედ ის, რომ ფაქტობრივად ყველა სახიფათო მომენტს მოდანო და ჰალი უყრიდნენ საფუძველს. იქნებ ვინმე შეგვედავოს, ნიუ ჯერსიშიც ხომ წამყვან ტრიოს გააქვს გადამწყვეტი გოლებიო, მაგრამ, დალასური წყვილისგან განსხვავებით, ისინი სამნი არიან და სამივე დიდებულად თამაშობს. „ვამაყობ ბიჭებით. პირველი მატჩის შემდეგ ელიაშსა და მის პარტნიორებს გულითადი მადლობა ვუთხარი. ვიცი, როგორც განიცდიდნენ ისინი მეორე მატჩში წარუმატებლობას, თუმც დღეს კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ ნამდვილი პროფესიონალები არიან“ — ნიუჯერსელთა თავკაცი ლარი რობინსონი გაოცებას ვერ მალავდა. მართლაც, ელიაში, სიკორა და არნოტი ჩინებულად თამაშობდნენ. თუმცა ლიდერებს შეძლებისდაგვარად სხვებიც დაეხმარნენ და ერთიანი ძალით მაღალი ტემპი მოახვიეს მეტოქეს თავს, ამან კი დალასელთა მცველები ძლიერ მოქანცა. არც პარტნიორებისგან მიტოვებული, საკუთარი თავის იმედად დარჩენილი მოდანოსა და ჰალის გაუვნებლება იყო ძნელი საქმე.

რაც შეეხება მატჩის სცენარს, მისი კვანძი, ალბათ, პირველ პერიოდში გაიხსნა. საკმაოდ საინტერესო და ცოცხალი დებიუტის შემდეგ, როცა გუნდები შეტევას შეტევაზე ახორციელებდნენ, სტუმრებმა ლამის დაილუპეს თავი. წინა შეხვედრებში ერთობ კორექტულად მოთამაშე „ეშმაკებმა“ სამჯერ დაარღვიეს წესი და პირველივე ჯარიმა ძვირად დაუჯდათ. ჰალის იერიშის შემდეგ მარტინ ბროდოს მოგერიებული შაიბა კოტს მიუვიდა, რომელმაც იოლად დალაშქრა ნიუჯერსელთა კარი. სტუმრებს მომდევნო 49 წამში უმცირესობაში ძალიან გაუჭირდათ. მაგრამ ეს იყო და ეს, როგორც კი საჯარიმო დრო მიიწურა, არნოტის სამეულმა დიდებულად ითამაშა და საბოლოოდ თავისას მიაღწია — ბრაიან რაფალსკიმ გრძელი პასით ორი მცველი უსაქმოდ დატოვა და არნოტმა წამით დაასწრო კარიდან გამოვარდნილ ედ ბელფორს. წარმატებამ ნიუჯერსელები არ მოადუნა, სისწრაფითა და ფიზიკური მზადყოფნით მეტოქე დაჩრდილეს და ნაყოფიც მოიმკეს. მასპინძლებმა ორჯერ დაარღვიეს წესი და „ეშმაკებმა“ მეორე ცდა ჩინებულად გამოიყენეს — სიკორამ უძლიერესი გარტყმით გააოგნა მეკარე. მატჩის მიწურულს სურათი შეიცვალა: ნიუჯერსელები გაფრთხილდნენ, დალასელებმა კი ბოლოჯერ გაიბრძოლეს, მაგრამ პრესინგით ვერ იხეირეს.

დაბოლოს, სტატისტიკური მონაცემი: უკანასკნელი 21 წლის განმავლობაში 18-ჯერ საბოლოო წარმატებას იმ გუნდებმა მიაღწიეს, რომლებმაც ფინალურ სერიაში თანაბარი ანგარიშის (1:1) შემდეგ მესამე შეხვედრა მოიგეს.

**ᲡᲐᲛᲕᲔᲚ ᲚᲐᲠᲘᲒᲘᲐᲜᲘ**





REUTERS

ნიუჯერსელთა გამარჯვებას საფუძველი ჯეისონ არნოტმა ჩაუყარა

ეროვნული ბიბლიოთეკა



REUTERS ჰონკონგიდან

## მოატყუა ერთი, მეორე...

მავანი ჰონკონგელი, ჯერჯერობით დაუდგენელი მიზეზით, შაბათს სამხრეთ ჩინეთისა და იუგოსლავიის ფეხბურთელთა მატჩისას მოედანზე გადაეშვა და მცველებს, წესრიგისას, ცხადია, ისეთი ფინტები გაუკეთა, თქვენი მოწონებული. ეგაა, გოლის გატანა აღარ აცალეს, თუმცა ხალხი უამისოდაც არ მოწყენილა — ჰონკონგელებმა 4:2 მოიგეს.

## ბორისი და ბორბალი

რა საერთოა ჩოგბურთსა და ფორმულა 1-ს შორის? ალბათ ის, რომ იქ ბურთი და აქ მანქანა უსწრაფესად დაქრის. მოკლედ, ბევრი რომ არ ვილაპარაკოთ, კვირას მონაკოს დიდი პრიზის სტუმართა შორის ფოტორეპორტიორებმა ბორის ბეკერიც აღმოაჩინეს და სამახსოვროდაც ჩაასურათეს.



REUTERS მონტე კარლოდან



## დედა ნახე, მამა ნახე...

*ფეხბურთს დროებით ჩამოცილებულმა რუუდ გულიტმა შაბათს მესამედ იქორწინა. ამჯერად მისი რჩეული კრუიფთა ოჯახიდანაა — დიდი იოჰანის ძმისშვილი, ესტელ კრუიფი. ამათ თუ ბიჭი ეყოლათ, მერე ნახეთ ფეხბურთი...*

# ლაქიანი ულაქო

*ათას შარში გახვეულ დიეგო მარადონას ცხოვრებაში თეთრი ლაქა არ არსებობს — მისი ყოველი ნაბიჯი ჟურნალისტებს სააშკარაოზე გამოაქვთ. მაგალითად:*

*შაბათს დიეგო შეხვდა ცნობილ არგენტინელ ჟურნალისტს მარიანო გრონდონას. შეხვედრამ გულთბილ ვითარებაში ჩაიარა.*

*კვირას დიეგომ ტელევიზორში უყურა არგენტინა-ბოლივიის მატჩს და თანამემამულეთა გოლებით ძალიან გაიხარა.*

*ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ჰავანაში ხდება. გაგრძელება იქნება.*



REUTERS ჰავანიდან



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ზურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, უცხოური განყოფილება გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, ნინო კეღელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge